

**პატრიარქი პორფირა:
მსოფლიოში ეკლესიის მისიის
დედაარსი უპოვართა სიყვარულია“**

ბელგრადის წმინდა საბას სახელობის ტაძარში აღვლენილი საღმრთო ლიტურგიის შემდეგ სერბეთის მართლმადიდებელი ეკლესიის წინამძღვარმა საშობაო ტრაპეზზე უპოვარი და უსახლკარო ადამიანები მიიწვია.

ტრაპეზის დროს სერბეთის პატრიარქმა სტუმრებთან სხვადასხვა ცხოვრებისეულ თემაზე ისაუბრა და აღნიშნა, რომ შობის სიხარულის განცდა მოითხოვს ერთობას, სიყვარულსა და მზაობას, გულითადად მივყვეთ სახარებისეულ პრინციპებს. პატრიარქი პორფირე შეეცადა, უპოვართათვის აეხსნა, როგორ გადალახონ ის წინაღობები და პრობლემები, რომლებსაც გადააწყდნენ ცხოვრებაში.

ტრაპეზის დაწყებამდე ხვოსტანის ეპისკოპოსმა იუსტინემ და მღვდელმა ვლადიმირ მარკოვიჩმა პატრიარქის სახელით უპოვრებს საშობაო საჩუქრები დაურიგეს.

**ალექსანდრიის პატრიარქი:
„უფალმა შეუნდოს მათ, ვინც სხვა
ეკლესიის ტერიტორიას ეპოტინება!“**

ახალი წლის წინა საღამოს, ალექსანდრიის საპატრიარქოს დიდი დარბაზიდან მრევლისადმი მიმართვისას ალექსანდრიისა და სრულიად აფრიკის ეკლესიის მეთაურმა ისაუბრა იმ ეკლესიების შესახებ, რომლებსაც ალექსანდრიის მართლმადიდებელი ეკლესიის სამისიონერო ადგილების ხელყოფა სურთ:

„ვაგზავნი შეტყობინებას იმ ეკლესიათა გასაგონად, რომელთაც სურთ, ხელყონ ის წმინდა საქმე, რასაც მისიონერობა ეწოდება. მათ არ იციან,

რომ ამდენი წლის განმავლობაში ჩვენი საპატრიარქო უმოქმედოდ არ ყოფილა, არამედ იღვწოდა, რათა ამ მოქცეული ადამიანებისათვის ღვთის იმედი მიენიჭებინა. დაე, უფალმა შეუნდოს მათ ამ ქმედების გამო!“

ალექსანდრიის საპატრიარქო სინოდის საგანგებო და რიგგარეშე სხდომებს გამართავს

**2022 წლის 10-12 იანვარს ალექსანდრიის
საპატრიარქოს წმინდა სინოდის
სხდომაში გაიმართება.**

გავრცელებული ინფორმაციით, სინოდის რიგგარეშე და საგანგებო სხდომების გამართვა რუსეთის ეკლესიის ქმედებებმა გამოიწვია. პირველ დღეს უმთავრესი განსახილველი საკითხი იქნება აფრიკის კონტინენტზე სხვა მართლმადიდებლურ ეკლესიათა შეჭრის საკითხი. ამ თემაზე სინოდს მოხსენებას წარუდგენს კამერუნის მიტროპოლიტი გრიგოლი, რის შემდეგაც გაიმართება დისკუსია.

მეორე დღეს სინოდი განიხილავს აფრიკის კონტინენტზე მღვდლებისათვის ხელფასების გაცემის საკითხს. ამ თემის მომხსენებელი ზიმბაბვისა და ანგოლის მიტროპოლიტი სერაფიმე იქნება.

სინოდის სხდომათა მესამე დღეს კი განხილულ იქნება ის გამოწვევები და შეზღუდვები, აგრეთვე მათი გადაჭრის გზები, რომლებიც კორონავირუსულმა პანდემიამ სამისიონერო საქმიანობას შეუქმნა. თემაზე მოხსენებით არუსის ეპისკოპოსი აგათონიკე წარდგება.

აღსანიშნავია ისიც, რომ სინოდის ამ სხდომაზე ალექსანდრიის პატრიარქი თეოდორე სინოდს წარუდგენს თავისი 2021 წლის საქმიანობის ანგარიშს.

სინოდი მუშაობას 12 იანვრის ნაშუადღევს დაასრულებს.

ისტორიის ფურცელი

დეკანოზი დავით დუმბაძე

1849-1918

„მე, როგორც გამოწვდილს და მწოდნეს სრულის საეკლესიო ქართულის გალობისა, ის მაქვს სასიამოვნოდ, რომ ყოველი ეკლესიური გალობა გადადის ნოტებზედ“

დეკანოზი ანტონ დუმბაძე

I ნაწილი

დეკანოზი დავით ანტონის ძე დუმბაძე 1849 წელს ქუთაისის გუბერნიაში, ოზურგეთის მაზრის სოფ. შემოქმედში, აზნაურის ოჯახში დაიბადა. სანამ უშუალოდ მამა დავითზე ვისაუბრებთ, ორიოდ სიტყვით საჭიროა ვახსენოთ მამამისის, **სრული მგალობელის - ანტონ დუმბაძის** დიდი დამსახურება ქართული გალობის განვითარების საქმეში.

ანტონ დუმბაძე მთელ საქართველოში გალობის ერთ-ერთ საუკეთესო მცოდნედ და ავტორიტეტულ პიროვნებად ითვლებოდა. იყო პოლიციის პორუჩიკი. მას ცხრა შვილი ჰყავდა, რომელთაგან უმეტესობა მაღალ თანამდებობებზე მუშაობდა. მისი 7 ვაჟიდან ექვსმა სამხედრო კარიერა აირჩია, მათგან ოთხმა - იოსებმა, ნიკოლოზმა, სამსონმა და ივანემ

- გენერალ-მაიორის წოდებას მიაღწია.

ყველაზე ცნობილი იყო ივანე დუმბაძე (1851-1916), რომელიც იყო რუსეთის არმიის გენერალი, სახელმწიფო მოღვაწე, იალტის გენერალ-გუბერნატორი და რუსეთის იმპერატორ ნიკოლოზ II-სთან დაახლოებული პირი. 1880-1887 წლებში იყო ოზურგეთის მაზრის ბოქაული. 1887 წელს დუმბაძე გადაიყვანეს მე-3 კავკასიურ დრუჟინაში, სადაც დაინიშნა სამხედრო მოსამართლედ. 1894 წლის 26 თებერვალს მან მიიღო ვიცე-პოლკოვნიკის წოდება, ხოლო 1900 წელს — სრული პოლკოვნიკისა. ამ პერიოდში დუმბაძე დაახლოებული იყო ქართულ ნაციონალისტურ ჯგუფებთან.

1900 წლის 16 აგვისტოდან იყო კრასნოვოდსკის მე-8 სარეზერვო ბატალიონის მეთაური. 1903 წლის 26 მაისს დუმბაძე დაინიშნა მე-16 ფეხოსანთა პოლკის მეთაურად და ამ პოსტზე დარჩა 1907 წლის 15 ოქტომბრამდე. ამ დროიდან დუმბაძემ განწყვიტა კავშირი ქართველ ნაციონალისტებთან და დადგა რუსიფიკატორული პოლიტიკის მხარეს. 1905 წლის რევოლუციის შემდეგ დუმბაძე აქტიურად ჩაერთო იმპერიაში მიმდინარე პოლიტიკურ მოვლენებში. 1905 წლის ოქტომბრის მანიფესტის გამოცემისა და სოციალური მღელვარების გაზრდის შემდეგ, 1906 წლის 26 ოქტომბერს, შინაგან საქმეთა მინისტრმა პ. სტოლიპინმა საგანგებო მდგომარეობა გამოაცხადა კურორტ იალტაში. სამოქალაქო, საკანონმდებლო და აღმასრულებელი ორგანოები (ერობა) დაითხოვეს და ძალაუფლება გადაეცა ტავრიდას გუბერნატორს, გენერალ ვასილ ნოვიცკის; რადგან გუბერნატორის რეზიდენცია იალტიდან შორს, სიმფეროპოლში იყო, ნოვიცკიმ იალტის უმაღლეს სამხედრო კომენდანტად დაინიშნა ივანე დუმბაძე, რათა ამ უკანასკნელს დაეცვა მეფის საზაფხულო რეზიდენცია, რომელიც იალტის ახლომდებარე დაბა ლივადიაში მდებარეობდა. 1907 წლის 31 მაისს იგი გახდა გენერალ-მაიორი. 1907 წლის 15 ოქტომბრიდან 1908 წლის 10 ივლისამდე ივანე დუმბაძე იყო 34-ე ქვეითი დივიზიის მე-2 ბრიგადის სარდალი. 1908 წლის 2 აგვისტოს დაინიშნა იალტის უმაღლეს მთავარმმართველად. 1912 წლის 23 ივლისიდან გახდა მე-13 ქვეითი დივიზიის მე-2 ბრიგადის სარდალი. 1912 წლის 4 აგვისტოს, სამხედრო მინისტრის ბრძანებით, გადააყენეს ქვეითთა დივიზიაში დაკავებული თანამდებობიდან და იმავე თვეში გაა-



ანტონ დუმბაძე ვაჭიშვილებთან ერთად

თავისუფლეს იალტის მთავარმმართველობიდან. ის ჩაირიცხა სამხედრო სამინისტროს რეზერვში. 1912 წლის დეკემბერში ნიკოლოზ II-ემ ი. დუმბაძე ჩაირიცხა მისი საიმპერატორო უდიდებულესობის ამაღლაში და მალე, იმპერატორის პირადი სურვილით, აღადგინეს იალტის მმართველის თანამდებობაზე. ი. დუმბაძემ მიიღო რამდენიმე უცხოური ორდენი, მათ შორის, ლომისა და მზის სპარსული ორდენი, ამომავალი ვარსკვლავისა და ოქროს ვარსკვლავის ბუხარის ორდენები, მხსნელის ბერძნული ორდენი და წმ. დანიელის ჩერნოგორიული ორდენი. 1914 წელს, „ორმოცწლიანი შესანიშნავი სამსახურისთვის“, დუმბაძემ მიიღო განსაკუთრებული ნიშანი წმ. გიორგის ბაფთაზე. ივანე დუმბაძემ მონაწილეობა ვერ მიიღო I მსოფლიო ომში ავადმყოფობის გამო. 1916 წლის გაზაფხულზე მას კიევში ჩაუტარდა ოპერაცია, რომელიც უშედეგოდ დასრულდა. 1916 წლის 15 აგვისტოს იგი საკუთარი სურვილით გადადგა იალტის მმართველის პოსტიდან, მაგრამ დარჩა იმპერატორის ამაღლაში. გარდაიცვალა 1916 წლის 1 ოქტომბერს.

გენერალ-მაიორ ივანე დუმბაძის გარდაცვალებასთან დაკავშირებით გაზეთი „საქართველო“ წერდა: „იალტის ყოფილ მმართველს, განსვენებულ გენერალ დუმბაძეს, თითქმის ყველა რუსულმა გაზეთებმა ნეკროლოგები უძღვნეს, რომელშიაც ერთხმად აღიარებენ, რომ განსაკუთრებულ სისასტიკესთან და უცნაურ ახირებულობასთან ერთად, დუმბაძე იშვიათი პატიოსნების კაცი იყო და უდრეკი თავის მოვალეობის წინაშე. ამ დროს პეტროგრადული გაზეთი „რეჩი“ იტყობინებოდა: „მძიმე ხანგრძლივი ტანჯვის შემდეგ იალტაში გარდაიცვალა გენერალ-მაიორი ივანე ანტონის ძე დუმბაძე. მძიმე ავადმყოფ-

ფობამ აიძულა იგი გადამდგარიყო სამსახურიდან ჯერ კიდევ ამ სამი თვის წინად და იმ ხანებში ვცადეთ, რამდენადაც შესაძლებელი იყო, დაგვეხასიათებინა ეს კაცი, რომელიც შეიძლება უდიდეს როლს არ თამაშობდა, მაგრამ მის გარშემო დიდი ხმაურობა იყო და ძველი რუსეთის თვალსაჩინო მოღვაწედ ითვლებოდა. ეხლა, როდესაც ჯერ კიდევ არ გაცივებულია საფლავი იმ კაცისა, რომლის მოქმედება ხშირად სასტიკად მოგვიხსენებია, შეუძლებელია, რომ ავტენტოტ ძველი კამათი. უნდა დრომ გაიაროს, რომ შესაძლებელი იქმნეს ყველა მასალის გამოქვეყნება და მიუდგომელი დახასიათება დუმბაძისა, რომლის სახელი სავსებით დაუკავშირდა ძველი რუსეთის წეს-წყობილების ახალში გარდასვლის ისტორიას. ეხლა კი მხოლოდ შემდეგი შეგვიძლია ვთქვათ: ყველა თავის თანამოაზრეთა და პატრიოტული რუსეთის დამცველთა შორის, ი. ა. დუმბაძე იყო იშვიათი უანგარო და პირადათ პატიოსანი. იგი მოქმედებდა პირადი რწმენით და, ყოველ შემთხვევაში, არა ანგარებისათვის და მარტო ამისათვის მომავალი მიუდგომელი ისტორიკოსი მრავალს აპატიებს ან გარდაცვალებულს აბსოლიუტიზმის რომანტიკოსს“.

ანტონ დუმბაძე 1844 წლიდან გურიის საკათედრო ტაძარში სამღვდელმთავრო გუნდში გალობდა. გურიის ეპისკოპოსი გაბრიელი (ტუსკია) 1878 წლის 26 მარტს მის შესახებ წერდა: „იგია უფროსი ყველა მგალობლებშიდ გურიის ეპარქიისა, ნიჭიერებისა გამო და სწავლასა ავრცელებდა გალობისას ამხანაგებში და სამღვდელთათა შორისაცა, რომელიცა ეხლაც ავრცელებს გალობის სწავლად აქაურ ეპარქიაშიდ“.

თავად ანტონ დუმბაძე გაზეთ „ივერიაში“ წერდა: „დიდი ხანი არ არის, რაც მთელს საქართველოში იყი აძრული ლაპარაკი შესახებ იმისა, რომ შესაძლო იყო თუ არა გარდალება ქართულის საეკლესიო გალობისა ნოტებზედ, რომელზედაც მე იჭვნეული ვიყავი. ეხლა, მადლობა ღმერთს, ამ მოკლე ხანში, ამგვარ იჭვნეულობას და ლაპარაკს მოელო ბოლო და მიეცა დასასრული, მით რომ ეს მეხუთე თვე არის, რაც პატივცემული ფილიმონ ქორიძე ყოველ დღე დაულალავად მუშაობს და შრომობს ამ საქმეზედ ქ. ოზურგეთში, ერთად ჩემისა და ჩემის შვილის — მღვდლის დავითისა და ერთის ჩემის შეგირდის — მოლარიშვილის დახმარებით.“

მე, როგორც გამოცდილს და მცოდნეს სრულის საეკლესიო ქართულის გალობისა, ის მაქვს სასიამოვნოდ, რომ ყოველი ეკლესიური გალობა გადადის ნოტებზედ, ისე შეუცვლელ და უნაკლულად იმ კილოზედ, როგორიც არსებობდა და არსებობს გურია-იმერეთში.

ამას გარდა, კიდევ გამოგვიჩნდა ერთი ყოვლად-

პატიოსანი მამულიშვილი და გულშემატკივარი ამ კარგის საქმისა, რომელიც გულმოდგინედ შეუდგა განხორციელებას ამ ძვირფასის საუნჯისას. მან არ მიხედა არც შრომას, არც ნივთიერ ხარჯსა და სარჯელს და საუკუნოდ ავალებს საზოგადოებას. ეს კაცი არის ისევე ერთი გურულთაგანი — **მაქსიმე შარაძე** — და მას ეხმარებიან მისი ამხანაგნიც“.

ანტონ დუმბაძე 1907 წელს გარდაიცვალა.

მღვდელმა დავით დუმბაძემ ღირსეულად გააგრძელა თავისი მამისა და დუმბაძეთა გვარის სასულიერო და სამგალობლო ტრადიციები. მან დაამთავრა ოზურგეთის სასულიერო 3-წლიანი სასწავლებელი. 1869 წლის 6 დეკემბერს დავითი საკათედრო ტაძრის კერძო დიაკვნად დაინიშნა. 1869 წლის 30 დეკემბერს გურიის ეპისკოპოსმა გაბრიელმა (ტუსკია) დიაკვნად აკურთხა. 1870 წლის 6 იანვარს კი — მღვდლად დაასხა ხელი და საკათედრო ტაძრის კრებულში დაადგინა. 1872 წლის 15 აგვისტოს შემოქმედის წმ. გიორგის ეკლესიაში გადაიყვანეს და ოზურგეთის ოლქის მთავარხუცესად დაინიშნა. 1875 წლის 25 აგვისტოს მღვდელი დავითი ოზურგეთის წმ. მარინეს სახ. ტაძარში განამწესეს. ამავე წელს ოლქის სამღვდელთა ოზურგეთის სასულიერო სასწავლებლის მმართველ საბჭოს წევრად აირჩია. 1877 წლის 3 აპრილიდან 1878 წლის 1 სექტემბრამდე, რუსეთ-თურქეთის ომის დროს, სამხედრო ჰოსპიტალის მღვდლად იყო. 1877 წლის ივლისში იგი ფრონტის ხაზზე დიდი რისკის ფასად დაჭრილი ჯარისკაცებისთვის ასრულებდა საეკლესიო წესებს.

1877-1878 წლების რუსეთ-თურქეთის ომის შედეგად მოხერხდა აჭარის თურქეთის 300-წლიანი ბატონობისაგან გათავისუფლება. ეს დიდი ისტორიული მოვლენა იყო. ეს ძირძველი ქართული კუთხე ფორმალურად რუსეთის იმპერიას, ხოლო ფაქტობრივად — დედასამშობლოს დაუბრუნდა. ახალშემოერთებული მხარე და მისი მოსახლეობა მაშინვე მოექცა „კავკასიაში ქრისტიანული სარწმუნოების აღმდგენი საზოგადოების“ ყურადღების ცენტრში. როდესაც რუსეთის ჯარი ბათუმში შევიდა, მას თან ახლდნენ როგორც რუსი, ასევე ქართველი ეროვნების სასულიერო პირები. ერთ-ერთი მათგანი იყო მღვდელი დავით დუმბაძე. ბათუმში საზეიმოდ შემოსულ რუსეთის ჯარს საეკლესიო ზარების გუგუნით მიეგება წმ. ნიკოლოზის სახ. ბერძნული მართლმადიდებლური ეკლესია და ამ ეკლესიის მრევლი. ეს იყო პირველი შემთხვევა ზარების რეკვისა, რადგან ადრე თურქები არ აძლევდნენ ეკლესიებზე ზარების დარეკვის უფლებას.

ამ მოვლენის აღსანიშნავად ბათუმში გაიმართა საზეიმო ბანკეტი, რომელსაც ესწრებოდნენ რო-

გორც საერო, ასევე საეკლესიო ხელისუფლების წარმომადგენლები. ბანკეტზე სიტყვით გამოვიდა ბერძნული ტაძრის წინამძღვარი, მღვდელი ალექსი და დადებითი შეფასება მისცა ამ ისტორიულ მოვლენას. მან დიდი სიყვარულით მოიხსენია მამა დავით ღუმბაძე, რომელიც მანამდე რამდენჯერმე იყო ბათუმში ნამყოფი. ამ ვიზიტების დროს იგი ეცნობოდა ბერძნულ და ბათუმში არსებული სხვა ეკლესიების წარმომადგენლებს. ინტენსიურად ხვდებოდა ბათუმელ ქრისტიანებს, ანუგეშებდა მათ და არწმუნებდა, რომ მალე ეს მხარე თურქთა ბატონობისაგან გათავისუფლდებოდა. **„ჩვენ ვიცოდით, – აღნიშნავდა მამა ალექსი – რომ, მამა დავითი ქრისტიანული სამისიონერო საზოგადოების წევრი იყო და მას ვანვდიდით ინფორმაციებს ბათუმში ქრისტიანთა მდგომარეობის შესახებ“.** მამა



მღვდელი დავით ღუმბაძე

ალექსიმ დასასრულს ისიც აღნიშნა, რომ ის დიდად მადლობელი იქნებოდა, თუ მღვდელი დავით ღუმბაძე, სხვებთან ერთად, დაჯილდოვდებოდა მედლით იმ თავდადებისათვის, რომელიც მან გამოიჩინა ამ დიდი ისტორიული მოვლენის განხორციელების საქმეში. შემდგომში, 1880 წლის 1 თებერვალს, იგი მართლაც დაჯილდოვდა წითელი ჯვრის საზოგადოების სამახსოვრო ჯვრით. ამავე პერიოდში დაჯილდოვდა რუსეთის იმპერატორ ალექსანდრე III-ის სახელობის ვერცხლის მედლით.

1878 წლის 18 აგვისტოს მღვდელი დავითი გურიის ეპარქიის საეკლესიო ქონების აღმწერი კომისიის წევრად დანიშნეს. 1879 წლის 19 ივლისს, ოზურგეთის ოლქის სამღვდლოების თხოვნით, საქართველო-იმერეთის სინოდალურმა კანტორამ დაამტკიცა მთავარხუცესის პოსტზე. მისი მთავარხუცესობის პერიოდში, მღვდელ დავითის მეცადინეობითა და ხელმძღვანელობით, აშენდა ოთხი ახალი ტაძარი: 1875 წელს იკურთხა ნიგოეთისა და გორისგვერდის წმ. გიორგის, შუხუთის ღვთისმშობლის ეკლესიები, ხოლო 1881 წელს კი წითელმთის წმ. გიორგის ეკლესია. 1882 წლის 8 თებერვალს, სინოდალური კანტორის გადაწყვეტილებით, მამა დავითი გურიის ეპარქიის სასულიერო სასამართლოს ხაზინადრად დაინიშნა.

1883 წლის 24 მარტს გურიის ეპისკოპოსი ალექსანდრემ (ოქროპირიძე) თხოვნით მიმართა საქართველო-იმერეთის სინოდალურ კანტორას, მოქა-

ლაქეობრივი გმირობის გამო დაეჯილდოებინათ მთავარხუცესი მღვდელი დავით ღუმბაძე. საქმე იმაში მდგომარეობს, რომ 1881 წლის 13 ივლისს გურიის ეპისკოპოსი გაბრიელი (ტუსკია) შემოქმედის მონასტრის მოსალოცად და რევიზიის ჩასატარებლად მისულა. უკან გამობრუნებისას, მდინარე ბუჟის ადიდების გამო, მეუფე ცხენიდან გადმოვარდა და წყალმა ხუთ საუენზე წაიღო. მამა დავითი მაშინვე წყალში შევარდნილა და დიდი წვალებით გამოუყვანია წყლიდან ეპისკოპოსი გაბრიელი. 1884 წლის 9 მარტს, წმინდა სინოდის დადგენილებით, რუსეთის იმპერატორმა ალექსანდრე III-მ მღვდელი დავით ღუმბაძე ოქროს მედლით დააჯილდოვა. 1884 წლის 2 მაისს, თავისივე თხოვნის საფუძველზე, მამა დავითი გათავისუფლდა მთავარხუცესობიდან.

1886 წელს მღვდელი დავითი და მამისი, ანტონ ღუმბაძე ცილისწამების მსხვერპლი გახდნენ და სასამართლოში მოუწიათ თავის მართლება. საქმის ვითარება შემდეგი იყო: 1886 წლის 7 ნოემბერს, ქ. ბათუმში, ქუთაისის ოლქის სასამართლო განყოფილება იხილავდა ანტონ და დავით ღუმბაძეების საქმეს, რომელთაც გურიის ეპისკოპოს გაბრიელის (ტუსკია) თარჯიმანის სვიმონ იორაიშვილის მკვლელობა ბრალდებოდათ. მათთან ერთად საბრალდებო სკამზე იჯდა ახალგაზრდა ყმანვილი კაცი გრიგოლაშვილი, რომელსაც ბრალდებოდა, ვითომ მას ღუმბაძეების ჩაგონებით მოეყვანა ყაჩალი მამულაშვილი იორაიშვილის მოსაკლავად. ბრალდებულებს იცავდა ადვოკატი ნიკო ყიფიანი. ეს პროცესი რამდენიმე დღე გაგრძელდა და გაზეთმა „ივერიამ“ თითქმის სრულად გააშუქა. როგორც ამ საქმიდან ჩანს, ღუმბაძეებსა და იორაიშვილს შორის მართლა ყოფილა დაპირისპირება, რადგან ორივენი გავლენიან პირებად ითვლებოდნენ ეპისკოპოს გაბრიელის (ტუსკიას) გარემოცვაში. ეს შუღლი და მტრობა წლების მანძილზე გრძელდებოდა. ერთხელ შერიგებულან კიდევ და სვიმონ იორაიშვილის მოუწათლავს მღვდელ დავით ღუმბაძის ერთ-ერთი შვილი. საბოლოოდ ისინი ისევ დაპირისპირებიან ერთმანეთს და ამის მიზეზი მღვდელი ნიკოლოზ ინკირველი ყოფილა, რომელმაც სვიმონ იორაიშვილს მიმართა დახმარებისთვის და მამა დავით ღუმბაძე დაადანაშაულა საეკლესიო ყულაბიდან ფულის ამოღებაში. იორაიშვილის მტკიცედ მოუკიდია ამ საქმისთვის ხელი და



მღვდელი დავით ღუმბაძე და
მამამისი — ანტონ ღუმბაძე

საქმის სასამართლოში გატანას აპირებდა. სწორედ ამ დროს „შეუთვლია“ დავით ღუმბაძეს: „ან დამეხსენი, ან მე შენ უნდა მოგკლაო... მღვდლობა რას მიქვიან, თუ შენის გულისათვის ციმბირში გამგზავნიანო“. ასეთი მდგომარეობა იყო მათ შორის, როდესაც 1884 წლის 31 მარტს, 75 წლის მოხუცი, სვიმონ იორაიშვილი საკუთარ სახლში თოფით მოკლეს. ვიდრე გარდაიცვლებოდა, მის საზიარებლად მღვდელი მოიხმეს და მამა დავითი სწრაფად გაეშურა მისი სახლისკენ, მაგრამ, სამწუხაროდ, ცოცხალს ვეღარ მიუხსნო. თავდაპირველად პოლიციამ იორაიშვილის მოსამსახურე დააპატიმრა. როგორც ამ ამბის შემსწრენი ამბობდნენ — „დავით ღუმბაძე ძრიელ შენუხებუ-ლი იყოვო, ტიროდა კიდევცაო“. ამასობაში გურიაში მოჰკლეს ყაჩაღი ივანე მამულაშვილი. მისი მოკვლის

შემდეგ გამოჩნდა კაცი, რომელიც ამტკიცებდა, რომ ვითომც მისთვის ეთქვა მამულაშვილს, რომ მე მოვკალ სვიმონ იორაიშვილი ღუმბაძეების შთაგონებით, რომ ღუმბაძეები ამის გულისთვის 200 მანეთს შემპირდნენ და, გარდა ამისა, ოსმალეთში უნდა გავეპარებინო; მაგრამ არც ფული მომცეს და არც გაქცევაში დამეხმარნო. გარდა ამისა, გამოჩნდა კიდევ ვილაც კაცი, რომელიც ამტკიცებდა, რომ მამულაშვილი ღუმბაძის სახლში ვნახეო. საქმე იქამდე მივიდა, რომ მამა-შვილი ღუმბაძეები დაიჭირეს. საქმეს ქუთაისის სასამართლო იხილავდა, რომელმაც პირველ განხილვაზე მოსპო ძიება მასალების არქონის გამო, მაგრამ სასამართლო პალატამ ეს გადაწყვეტილება უკანონოდ სცნო და კვლავ ოლქის სასამართლოს დაუბრუნა საქმე ხელახლა განსახილველად. ოლქის სასამართლოს განყოფილებამ საქმე მეორედ განიხილა, ღუმბაძეები ხელახლა უდანაშაულოდ სცნო და სასჯელისაგან სრულიად გაათავისუფლა.

წყარო: საქართველოს სახელმწიფო ცენტრალური საისტორიო არქივი, ფ. 489, აღწერა 1, საქმე №38881; საქმე №42029; Журнал „Духовный вестник Грузинского Экзархата“ 1894წ. №10; 1899წ. №11; 1905წ. №11-12; გაზეთი „ივერია“ 1886წ. №250, გვ. 3-4; №251, გვ. 3-4; 1893წ. №212, გვ. 1; 1894წ. №155, გვ. 2; 1897წ. №225, გვ. 4; 1905წ. №30, გვ. 3; გაზეთი „ცნობის ფურცელი“ 1897წ. №126, გვ. 3; 1900წ. №1084, გვ. 1; ჟურნალი „ემშაკის მათრახი“ 1907წ. №6, გვ. 6; №8, გვ. 8; Журнал „Вестник Грузинского Экзархата“ 1912წ. №11; 1913წ. №23; 1914წ. №10; გაზეთი „ახალი ივერია“ 1914წ. №18, გვ. 3; გაზეთი „ერთობა“ 1917წ. №16, გვ. 3; №174, გვ. 4; გაზეთი „საქართველო“ 1916წ. №223, გვ. 1; №225, გვ. 3; 1917წ. №58, გვ. 3; 1918წ. №99, გვ. 2; 1919წ. №97, გვ. 1.

ლიტ: ილ. თავბერიძე „XIX საუკუნის ქართველი მოღვაწეები და საეკლესიო გალობა“ ქ. თბილისი, 2005წ. გვ. 87-96.

პირველი ნაწილის დასასრული

**სტატია მოამზადა მღვდელმა
გიორგი მაჩურიშვილმა**

**თუ თქვენს საოჯახო არქივში მოიპოვება სასულიერო პირთა და საქართველოს ეკლესია-მონასტართა ფოტოები, გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ, რათა ერთობლივი ძალისხმევით დავინახავს გან ვიხსნათ ისინი.
ჩვენი ტელეფონებია: 593 19 36 04; 599 88 66 90; 2 32 48 66; 2 98 95 41**

გთხოვთ, გახათს გაუფრთხილდეთ მასში დაგაქცილი მასალების გამო
საბანკო ანგარიში: სს „ლიბერთი ბანკი“ ბანკის კოდი: LBRTGE22.
ანგარიში: № GE57LB0115123530407000. სახაზინო კოდი — 45 01 56.
რედაქტორის მოადგილის ელ.ფოსტა: bokuchavanana1@gmail.com.
მის: ერეკლე II-ის მოედანი 1, საქართველოს საპატრიარქოს პრესცენტრი. ტელ. 2 98-95-41



რედაქტორის მოადგილე: ნანა ბოქუჩავა ტ. 599 23 10 54
სარედაქციო კოლეჯია: მიტროპოლიტი დიმიტრი (შოლაშვილი), მარიამ გაგუა, ნინო გაგომაშვილი, თამარ ასათიანი, მღვდელი გიორგი მაჩურიშვილი, ია ხაზარაძე, სერგო კერესელიძე, ბულაღტური: ვლასი ჯიბლაძე; გაერცვლება: ცარო ვარდიშვილი, მამუკა კვაჭანტირაძე; დასავ. საქართველოში გაერცვლება ზაზა უგულავა 595343056
დამკაბადონებელი: ვალერიან ჯუღელი

ლისგან მოცემული თავისუფლება", — აღნიშნა სერბეთის პატრიარქმა პორფირემ.

ალექსანდრიის პატრიარქის ნაწილი მსოფლიო პატრიარქს

ალექსანდრიის პატრიარქის წერილი, რომლითაც იგი ოფიციალურად იტყობინება ალექსანდრიის საპატრიარქოში რუსეთის ეკლესიის შეჭრის შესახებ, უკვე მსოფლიო პატრიარქის ხელთაა.

შაბათს, 2022 წლის 22 იანვარს, მსოფლიო საპატრიარქოს ალექსანდრიის ეკლესიის წარმომადგენლები - კამერუნის მიტროპოლიტი გრიგოლი, ზამბიის მიტროპოლიტი იოანე და ტოლიარისა და სამხრეთ მადაგასკარის ეპისკოპოსი პროდრომოსი ეწვივნენ. მათ მსოფლიო პატრიარქს ალექსანდრიისა და სრულიად აფრიკის პაპისა და პატრიარქის წერილი გადასცეს.

კამერუნის მიტროპოლიტი გრიგოლის თქმით, „ალექსანდრიის პატრიარქმა თავისი მოვალეობა უკვე აღასრულა - რუსეთის ეკლესიის ქმედებები უმწვავესად გააკრიტიკა. ახლა კი სინოდალური გადაწყვეტილების დროა“.

ალექსანდრიის საპატრიარქოს შემდეგი ნაბიჯი ადგილობრივი ეკლესიების მეთაურებისთვის რუსეთის ეკლესიის ქმედებების შესახებ წერილის დაგ-

ზავნა იქნება. ალექსანდრიის საპატრიარქო შექმნილი პრობლემის მოგვარებას ითხოვს კრებაზე, რომელსაც პრესვიგენული ეკლესიებისა და კვიპროსის ეკლესიის მეთაურები დაესწრებიან.

უგანდაში სახალხო ნათლობები გრძელდება

ალექსანდრიის საპატრიარქოს კურთხევითა და მზრუნველობით, უგანდაში სახალხო ნათლობები გრძელდება.

უგანდაში, კიტის წმინდათა უვეცხლოთა სახელობის ტაძრის სამრევლოს 49 ახალნათელეული შეემატა. ნათლობის საიდუმლო გასულ კვირას, უშუალოდ საღვთო ლიტურგიის შემდგომ შესრულდა და ადგილობრივი ეკლესიისათვის უდიდესი სიხარულის მიზეზად იქცა.

ახალმონათლულნი უმეტესწილად ბავშვები და ახალგაზრდები არიან, რაც კარგად წარმოაჩენს, რომ მისიონერული საქმიანობა ამ ქვეყანაში, ძირითადად, ახალგაზრდებისკენაა მიმართული.

წმინდათა უვეცხლოთა სახელობის ტაძრის სამრევლოს მამა გიორგი ლულე ხელმძღვანელობს, რომელიც ამ მოვალეობას 2019 წლის ივნისიდან ასრულებს.

ისტორიის ფურცელი

დეკანოზი დავით დუმბაძე

1849-1918

II ნაწილი

„ზნეობრივ და გონებრივ საზრდოსთან სულიერი საზრდოც უნდა გვახსოვდეს“

1888 წლის 26 მაისს მღვდელი დავითი ოზურგეთის წმ. მარინეს სახ. საკათედრო ტაძრის წინამძღვრად დაინიშნა.

1893 წელს მაქსიმე შარაშისა და წმ. ექვთიმე კერესელიძის ძალისხმევითა და ფინანსური თანადგომით წმ. ფილიმონ ქორიძე ოზურგეთში, ქართული საეკლესიო საგალობლების გადასაღებად ჩავიდა. მას ამ საქმეში სწორედ ანტონ დუმბაძისა და მღვდელი დავითის დიდი იმედი ჰქონდა. იმავე წელს უკვე მზად იყო ნოტებზე გადაღებული საგალობლები. საგალობლები გადაიღეს „პარაკლიტონის (რვა ხმათა) პირველი ხმიდან. ი, ეს საგალობლები: 1) სამწუხრონი ლოცვანი; 2) მოადევით ერნო სიონსა; 3) ყოვლისა სოფლისა დიდებასა; 4) დასდევ საცოი პირსა ჩემსა; 5) ღმერთი უფალი; 6) უფალო ღალად ვყავ; 7) დიდება და ანდა და სხვ. სულ ათი ნაჭერი. აი, რას წერდა 1894 წელს ამ წარმატებული მუშაობის შედეგად გაზეთი „ივერია“: „ოზურგეთში იმყოფება ამ უამად ბ-ნი ფილიმონ ქორიძე, რომელსაც გადააქვს ნოტებზედ

ანტონ დუმბაძის გალობა. ფ. ქორიძე, ანტ. დუმბაძე და მისი შვილი — დავითი დაულალავად ჰმუშაობენ; საქმე მშვენივრად მიდის, ბევრი დაუწერიათ და რაც დაუწერიათ, სწორედ სამაგალითოდ არის დაწერილი. ცოტა არ იყოს, ბ-ნ ანტონ დუმბაძეს არ სჯეროდა, რომ ასე მოეწყობოდა ნოტებზედ გალობა, ეშინოდა კიდევ, კილო არ დამახინჯდესო, მაგრამ ეხლა სულითა და გულით არის მონდომებული, როგორმე დააბოლოვოს ეს საქმე. ბევრი ხარჯი მოუწდება ამ დიდს საგანს. იმედი არის, საზოგადოება შეენევა ამ საქმის დამწყებთ. საკვირველია, რომ საეკლესიო გალობის ნოტებზედ გადაღების შესახებ ეკლესიის მსახურნი გაჩუმებულნი არიან! გვესტუმრა ბ-ნი რატილი — თავისის ხოროთი, და ორი კონცერტი გაჰმართა. ქართულმა სიმღერამ ხალხი აღტაცებაში მოიყვანა“.

1894 წლის 25 თებერვალს ოზურგეთის მაზრის სამღვდელოებამ მღვდელი დავითი სასულიერო სასწავლებელში თავის წარმომადგენლად აირჩია და იმა-

ვე წლის 30 მარტს დამტკიცდა ამ პოსტზე. ამასთანავე, იგი ასწავლიდა ქართულ საეკლესიო გალობას აღნიშნულ სასწავლებელში. 1894 წლის 15 მაისს სკუფია უბოძეს. 1895 წლის იანვარში იგი გურია-სამეგრელოს სამღვდლოებას საეპარქიო კრებაზე მონაწილეობდა როგორც ოზურგეთის ოლქის დეპუტატი. 1896 წლის 6 ივლისიდან მღვდელი დავითი გურია-სამეგრელოს საეპარქიო სასწავლო კომიტეტის ოზურგეთის განყოფილების წევრია.

1897 წლის თებერვალში ოზურგეთში ჩამოყალიბდა ფრიად საინტერესო კომიტეტი, რომელსაც დაევალა ქართული ხალხური სიმღერებისა და ეროვნული საგალობლების ნოტებზე გადაღება, რათა ხელმისაწვდომი ყოფილიყო ყველასათვის. კომიტეტს ასევე დაევალა თანხის მოძიება ამ საქმიანობისათვის. ნოტებზე გადაღება დაევალა ფილიმონ ქორიძეს. კომიტეტის თავმჯდომარედ აირჩიეს თავადაზნაურთა წინამძღოლი, თავადი სვ. გუგუნავა, ხოლო წევრებად: ოზურგეთის მაზრის უფროსი ზ. ალშიბაია, ქალაქის მოურავი თ. ნ. თავდგირიძე, მღვდელი დავით დუმბაძე, მაზრის მმართველის თანაშემწე ალ. გამრეკელი და გურიანთის ბოქაული ბეს. იოსელიანი.

1897 წლის სექტემბერში ოზურგეთში გაიხსნა წიგნთსაცავი, რასაც დიდი ხანია ითხოვდა ქალაქის მოსახლეობა და აი, ეს ნანატრი დღეც დადგა. მთელი მოსახლეობა ტკბებოდა ამ სიახლით, იქვე კითხულობდნენ ქვეყანაში მომხდარ ახალ ამბებს, ეცნობოდნენ ქართველი და უცხოელი მწერლების ნაწარმოებებს, წიგნები უფასოდ მიჰქონდათ სახლში წასაკითხად. თუმცა ამ დადებით მოვლენას, როგორც ჩანს, პატარა უარყოფითი თვისებაც ჰქონია, რაც პირველმა მღვდელმა დავითმა დაინახა და გაზეთ „ივერიის“ ფურცლებზე გააშუქა. იგი წერდა: „ვინ არ იცის, რომ წიგნთსაცავის გახსნა ერთი საუკეთესო საქმეა, მაგრამ, სამწუხაროდ ჩემდა, როგორც ადგილობრივმა მღვდელმა, არ შემიძლიან აქ არ აღვნიშნო ერთი ურიგო მდგომარეობა, რომელიც ხდება ხსენებულის წიგნთსაცავის მიზეზით. ჩემის აზრით, ზნეობრივ და გონებრივ საზრდოსთან სულიერი საზრდოც უნდა გვახსოვდეს, მაგრამ ისე გაიტაცა აქაურნი მცხოვრებნი ჩვენმა წიგნთსაცავმა, რომ თითქმის სრულიად დაავიწყდათ წირვა-ლოცვის მოსმენა. მართლაც, აკაკისა არ იყოს, ჩვენი ზარების ხმა იმათ ეხლა „ნადით“, „ნადით“ ეყურებათ. უქმეს წინააღმდეგობას საღამოს ლოცვაზედ ჩვენი ეკლესია სრულიად დატარებულა. ამისათვის სასურველია მიექცეს ყურადღება, ვისგანაც ჯერ არს, რათა კვირა-უქმე დღეების წინ, საღამოს ოთხის საათიდან, დაკეტილი იქმნას წიგნთსაცავი ვიდრე ექვს საათამდე, ე. ი. მწუხრის და ცისკრის გამოსვლამდე და ამ წიგნად აღარც სულიერი საზრდო დაგვაავიწყდება და წიგნებისა და გაზეთების კითხვასაც მოვესწრებით“. როგორც ამ წერილიდან ჩანს, წიგნთსაცავმა ისე გაიტაცა ქალაქის მოსახლეობა და მრევლი, რომ ლოცვაზე



დეკანოზი დავით დუმბაძე შვილებით

ტაძარში აღარ მიდიოდნენ და მთელი საღამო დროს სამკითხველოში ატარებდნენ, რამაც მათი სულიერი მოძღვრის შეშფოთება გამოიწვია. 1899 წლის 15 მაისს მღვდელ დავითს კამილაკვა ეწყალობა.

1900 წელს გურია-სამეგრელოს ეპისკოპოს ალექსანდრეს (ოქროპირიძე) ლოცვა-კურთხევით გადაწყდა ოზურგეთში ქართული საეკლესიო გალობის სასწავლებლის დაარსება. 1900 წლის 15 მარტს ეპისკოპოსი ალექსანდრე ფოთიდან ჩაბრძანდა ოზურგეთში და მოინვიდა კრება. ნაკითხულ იქნა სპეციალური წესდება, რომელიც ამ სასწავლებლისთვის შეიმუშავეს. მეუფე ალექსანდრემ 100 მანეთი შეწირა ამ საქმეს და შემდგომშიც ალუთქვა დახმარება და შემწეობა. კომიტეტის საპატიო თავმჯდომარედ ეპისკოპოსი ალექსანდრე იქნა არჩეული, თანაშემწედ — ნიკო თავდგირიძე, ხოლო მის წევრებად მღვდლები: არსენ თოხაძე, ლუკა ხუნდაძე, გიორგი თოხაძე და დავით დუმბაძე.

1905 წელს რუსეთში დაწყებულმა რევოლუციის ტალღამ საქართველოსაც გადაუარა. ქვეყანაში უამრავი შემზარავი და სასტიკი მკვლელობა მოხდა. მდგომარეობა უმართავი გახდა. რუსეთიდან მოვლინებულმა დამსჯელმა ჯარმა, გენერალ ალიხანოვ-ავარსკის მეთაურობით, საშინელი რეპრესიები დაიწყო. დევნა სამღვდლოებამაც განიცადა. გაზეთი „ივერია“ 1905 წელს წერდა: „როგორც ჩერნ. ვესტ“ იუწყება, ქ. ოზურგეთში გენერალ-მაიორ ალიხანოვ-ავარსკის პასუხისგებაში მიუცია ბლალოჩინი მღვდელი დავით ანტონის ძე დუმბაძე. მიზეზი ისაა, რომ მღვდელ დუმბაძეს უარი განუცხადებია მღვდელმსახურების შესრულებაზე თავად ტ. ნაკაშიძისა და ლ. გურიელის დასაფლავების დროს. როგორც ვიცით, მათი მკვლელობა პოლიტიკურ ნიადაგზე მოხდა“.

1905 წლის 15 მაისს მღვდელი დავითი სამკერდე ოქროს ჯვრით დაჯილდოვდა, ხოლო 1908 წლის 12

თებერვალს — დეკანოზის ნოდება მიენიჭა. ამ პერიოდში იგი ისევ ოზურგეთის ოლქის მთავარხუცესად იხსენიება.

1907 წელს იუმორისტული ჟურნალი „ეშმაკის მათრახი“, რომელიც ხშირად ეკლესიისა და სასულიერო პირების ლანძღვა-დაცინვით და ცილისმწამებლური წერილების ბეჭდვით იყო დაკავებული, თავის ფურცლებზე დეკანოზ დავითის შესახებ წერდა: „ამ კვირაში ოზურგეთი, ეს სამჯერ მომწვარი ოზურგეთი, მამა დავითის სადეკანოზო ქალაქი, ნიკოკის საპრასედნიკო ადგილი და დიმიტრი-კონიას სანადირო, სააღლუმო მოედანი — საგუბერნიო ქალაქათ გადაქციეს, გენერალ-გუბერნატორად ტოლმაჩევი დანიშნეს. ეს ბრძნული განკარგულება კი მე, როგორც ეშმაკის ერთგულ მოციქულს, ძრიელ მომეწონა მისი სამართლიანობით. ნათქვამია, „ძალი იმან უნდა დამარხოს, ვინც დაარჩოო!“ და აი, სწორეთ ოზურგეთსაც, ამ ანდაზის თანახმად, უკანასკნელი წესიც იგივეა უნდა აუგოს... კრილოვის დეკანოზი დავითი, თავისი ღირსეული სულიერი შვილებით, ფარულად, მთელი მაზრის მაგიერ, ეახლა ნამესტნიკს და ითხოვა მაზრის მკრეჭელათ ისევ ერმოლოვი. ნამესტნიკს, მართალია, დავითი და დავითისტები არ მიუღია, მაგრამ დავითიანი მაინც ისმინა და ერმოლოვს ტოლმაჩევიც „დაუდავესკა“ გენერალ-გუბერნატორად. ყოველივე ეს დავითმა ისე მოაკვარაჭინა, რომ მისი მარჯვენის ნაქნარი სიკეთე მარცხენას არ გაუგია, რა არის სააქაოს მაღლი, არავინ მითხრას და საიქიოს ზენარი ჯილდო არ დამიკარგოსო. ჩვენც მეტი რა გვეთქმის, „რაც მოგივა დავითაო, ყველა შენი თავითაო!“

დეკანოზმა დავითმა ორი ნომრის შემდეგ ასეთი პასუხი გასცა ამ ფელეტონის ავტორს: „სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმინდისათა, სამას სამოცო წმინდაო გიორგი შენ დამიფარე. ღვთის პირიდან გადავარდნილო ეშმაკო! მე ღვთის მსახურს მონას, წმინდისა ქრისტეს ეკლესიისას მამცნეს ერთგულთა ჩემთა, ვითომც შენს მოციქულს გამოეგზავნოს წერილობითი ცნობა, ვითომც მე ვინმე სტრაჟთა მთავრისათვის მიმეცეს ასი მანეთი ვერცხლი და ვითომც თანამდევი ვიყო მიცემად ორასისა კიდევ და უკეთუ ესე ვითარსა არა მივცემ, მან უფროსმან სტრაჟისამან უნდა დანვას ოდა ჩემი სიყრმისა, ჩემისაგან ოფლითა აგებული და ვითომც ესე ვითარი სასჯელი დამემსახურებოის მე, ქრისტეს მსახურსა, მით, რომ მესმიოს და მეცეს ჭამადი განქცეულთა მათ ფირალთათვის. მართალია, ეკლესია ქრისტესი გვავალებს, ვცეთ ჭამადი და სმადი ყოველსა მოყვასსა, მაგრამ მე შიშითა მიწიერისა ღმერთისა არა მიყვიეს ესე და არცა ვისმეთვისმე ასი მანეთი ბალიშის ქვეშე შამომიძვიეს და არცა ორასისა მიცემა აღმითქვამს ყოველივე ესე ჭორ არს. არცა მეორე ლექსსა საეშმაკო გა-

ზეთსა შინა მოთავსებულსა მე-6 ნომერსა „ოზურგეთს ყავს სამი მგელი“, მე ჩემს თავს არა ვცნობ და როგორც ვიცი გამოცდილებითა ჩემითა, ის უნდა იყოს უსამართლოთ დასჯილი და ვიატკასა შინა წარვლენილი მოსანანებლათ ცოდვათა არა ჩადენილთა, თანა მწირველი ჩემი ძმისწული — ლავრენტად ნოდებული, რომელსა არა დაეხმარა უქანქართო მოძღვარი ქალაქისა მის ოზურგეთისა და რომლისა შესახებ პრისტავმან კნიაზმან მან ბრძანებითა უფროსისათა ჩაიდინა საქციელი, რომელი ჯერ არს განქიდებად“.

1912 წლის 6 მაისს წმ. ანას III ხარისხის ორდენი ეწყალობა. 1913 წლის 20 ოქტომბერს გურია-სამეგრელოს ეპარქიის მონასტრების მთავარხუცესი, ხობის მონასტრის წინამძღვარი, ილუმენი დიმიტრი (პარკია) ავადმყოფობის გამო გადადგა თანამდებობიდან, ამიტომ გურია-სამეგრელოს ეპისკოპოს ლეონიდეს (ოქროპირიძე) გადაწყვეტილებით, ეპარქიაში მოქმედ ყველა მონასტერს დაენიშნა ახალი მთავარხუცესი თეთრი სამღვდელთა მხრიდან. დეკანოზი დავითი შემოქმედის მამათა მონასტრის მთავარხუცესად დაადგინეს. 1914 წლის 15 მაისს წმ. ანას II ხარისხის ორდენით დაჯილდოვდა.

1914 წელს დაიწყო პირველი მსოფლიო ომი. სოფლის ღარიბ მოსახლეობაზე ეს ომი მეტად მძიმედ აისახა. დიდი გადასახადებისგან შევიწროებული გლეხობა სულს ღაფავდა. მოსახლეობის დახმარების მიზნით მამა დავითის თავმჯდომარეობით შეიკრიბა ოზურგეთის მაზრის სამღვდელთა და დაადგინეს, რომ ამ ომის დასრულებამდე მშრომელ ხალხს დრამის ფული არ გადაახდევინონ. კრებაზე ასევე გადაწყდა, რომ ყოველთვიური ჯამაგირიდან მათ ორი პროცენტი გადადონ ომში განვეული ჯარისკაცთა ოჯახების დასახმარებლად.

1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ საქართველოში ვითარება შეიცვალა. სამღვდელთა უკიდურესად რთულ ვითარებაში აღმოჩნდა. გამოწვევისი არც მამა დავითი გახლდათ. 1917 წელს გაზეთი „საქართველო“ წერდა: „ოზურგეთი. 10 მარტს, დროებითი მთავრობის განკარგულებით, დააპატიმრეს ნიკო თაყაიშვილი. მეორე დღეს თავისით გამოცხადდა ციხის უფროსთან დიმიტრი მგელაძე. იმავე დღეს შენდობა და პატიება ითხოვა დეკანოზმა დავით დუმბაძემ. ორივე დროებით გაანთავისუფლეს“. იგივე ცნობას გვანდის გაზეთი „ერთობა“, სადაც ვკითხულობთ: „ოზურგეთი. სატუსაღოში მყოფი დეკანოზი დავით დუმბაძე ძრიელ ავად შეიქმნა. ამიტომ მას ციხეში ჯდომა შეუცვალეს შინაურ დატუსაღებით გამომთვლებამდე“.

თუ რა მიზეზის გამო მოხდა დაპირისპირება ადგილობრივ ხელისუფლებასა და დეკანოზ დავითს შორის, ამას ვიგებთ თავად მამა დავითის წერილით, რომელიც იმავე წლის 7 აპრილს ცნობილ საზოგადო მოღვაწეს, პუბლიცისტსა და ქართული დრამატული თეატრის აქ-



ოზურგეთის წმ. გიორგის სახ. ტაძარი

ტიურ ნევრს — დიმიტრი დუმბაძეს მისწერა: „დიდად პატივცემულო ძმაო და მეგობარო დიმიტრი მოისე-ვიჩ! ქრისტე აღსდგა და იცოცხლე გრძელ ჟამიერად, ლოცვა-კურთხევით მოგიკითხავ და თქვენს ჟამიერ სიცოცხლეს ღმერთსა ვთხოვ; ჩვენში იციან, რომ დაელავს, პირის ჯვარი უნდა გამოისახო, სწორეთ ეხლა არის ის დრო. 12 მარტს ახალმა მთავრობამ ყოვლითურთ უმართლოდ და გამოუკვლეველად დამიჭირეს და ჩამაგდეს ნაობახშიდ. ერთი თვე გადის, ჩვენება არ ჩამოურთმევია და არც მე ვიცი, რისთვის მტანჯავენ, კარგათ მოგეხსენება, ავთმყოფი კაცი ვარ და 70 წლის მოხუცი კაცი, ძველ დროშიდ ძველს ვემსახურებოდი, ეხლა დიდი სიხარულით ახალს ვემსახურები. აქ არის ერთი მხოლოდ მეზობლური მტერობა, რომელიც ვინაცას ჩემი შტატის ადგილის მიცემას დაპირებია, ხალხი მთხოვილობს, სამღვდელოება მთხოვილობს, და კათოლიკოსის მოადგილემ ვრცელი ტელეგრამა გამოუგზავნა აქაურ კამისრებს, მაგრამ ხმას არ იღებს, ნაობალშიდ კინალამ მოვკვდი რევმატიზმით და ჭაჭების ტკივილით — და ძლივს ძლივობით დომაშნი არესტიტ დამამწყვდიეს სახლშიდ, სადაცა თოფიანი კაცი მადგანა თავზედ და ვიტანჯები. ვიცი, რომ თავმოყვარე, პატიოსანი კაცი ბრძანდები, გაჭირვებულ კაცს ზღვამ პირი გაულო, მეც გაჭირვებული ვარ. ახალი მოხელენი შენი ყველა ნაცნობი არიან, განსაკუთრებით პატივცემული ნოე ჟორდანი, ჩემის ცოლის ნათესავი. ამასთანავე, თქუენ სხვებიც გყავს კარგი მოსახმარი და მომეხმარე — რაც მოგახსენე, რომ

ჩემის მხრით, არაფერი საწინააღმდეგო კანონიერი, არაფერი შესაფერხებელი თქვენ არ შეგხვდებათ.

გაფიცებ ცოცხალს და მკვდარს, ნურაფერს ძველს ჩემსას ნუ გაიხსენებ და მოიხმარე ყველა შენი ნაცნობი და მომეხმარე, თუ წინააღმდეგ შემთხვევაში საჭირო იქმნება უმაღლეს მართებლობასთან საქმის მიხსნევა, ისიც მაცნობე საიდუმლოდ; მომიტევე შენუხებისათვის. დაეშთები თქუენი მაღალ კეთილშობილების ღვთისადმი მლოცველი დეკანოზი დავით დუმბაძე“.

ციხიდან გათავისუფლებული მოძღვარი კვლავ ტაძარს დაუბრუნდა და სამსახური გააგრძელა. 1917 წლის 27 სექტემბერს ოზურგეთში გაიმართა შემოქმედის რაიონის კოლექტივის ნევრთა კრება, სადაც კოლექტივის 1-23 სექტემბრის მოღვაწეობის ანგარიში მოისმინეს. კრებაზე ასევე განიხილეს მათთვის მიუღებელი პირების ხელმეორედ დატუსაღების საკითხები, რომლებიც გათავისუფლდნენ თავდებით ივლისის თვეში. მათ საყვედური გამოთქვეს, რომ აღმასრულებელმა კომიტეტმა გურიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილება სისრულეში არ მოიყვანა და პატიმრები გამოუშვა. კრებამ აღნიშნა: „საკითხის მიფუჩეჩების გამო ბევრი ასეთი პირი დაუპატიმრებელი დარჩა, რომელთაც დიდი ზარალი მოაქვთ. მაგ. მღვდელი დავით დუმბაძე გამოდის ჯვარზე და კიდევ ჰპოულობს თავის თანამოაზრეებს“. კრებამ დაადგინა, აეკრძალოს დ. დუმბაძეს ჯვარზე გამოსვლა და ქადაგება. როგორც ვხედავთ, დროებითი მთავრობის მმართველობის პერიოდში დეკანოზ და-

ვითს ურთიერთობა დაეძაბა ადგილობრივ ხელისუფლებასთან, რასაც მოჰყვა მისი დაპატიმრება და შემდეგ ქადაგების აკრძალვა.

შემდგომში მოვლენები უფრო მძაფრად განვითარდა. 1918 წლის 10 მაისს დღემდე დაუდგენელ ვითარებაში მოკლეს დედაეკლესიისა და ქართული საეკლესიო გალობის დიდი მოამაგე, მხცოვანი დეკანოზი დავით დუმბაძე. ოჯახის წევრებმა, ნათესავებმა და მრევლმა, ვერაგულად მოკლული დეკანოზის ცხედარი შემოქმედის წმ. გიორგის სახ. ტაძარში დაკრძალეს.

1919 წლის 7 მაისს გაზეთი „საქართველო“ პატარა ნეკროლოგს აქვეყნებს: „გულდამწუხრებულნი მეუღლე — მაკა დიონისეს ასული დუმბაძისა, შვილები — ვასილი, ელენე, მარგალიტა, ეკატერინა, სოფიო, თამარა, ელისაბედი ნაკაშიძისა, მარიამ დარახველიძისა, მატრონე გერასიმოვისა, პაშა სიმეულიძისა, სიძეები — მიხეილ ნაკაშიძე, ვასილ დარახველიძე, ტიმოთე გერასიმოვი და დიმიტრი სიმეულიდი აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, ვერაგულად მოკლულის დეკანოზის — დავით დუმბაძის გადახდილი წლის თავზე წირვა და პანაშვიდი შესრულდება 10 მაისს, სოფ. შემოქმედის წმიდა გიორგის ეკლესიაში“.

დეკანოზ დავით დუმბაძესა და მის მეუღლეს მაკა დიონისეს ასულ ტუსკიას (დაბ. 1859წ.) 2 ვაჟი და 10 ქალიშვილი ჰყავდათ: ელისაბედი (დაბ. 1879წ. გათხოვილი იყო მიხეილ ნაკაშიძეზე), ვასილი (დაბ. 1881წ.), ალექსანდრა (დაბ. 1882წ. გათხოვილი დიმიტრი სიმეულიძეზე), ელენე (დაბ. 1885წ.), მარიამი (დაბ. 1887წ. გათხოვილი ვასილ დარახველიძეზე), მატრონა (დაბ. 1888წ. გათხოვილი ტიმოთე გერასიმოვიზე), გიორგი (დაბ. 1889წ.), პელაგია (დაბ. 1892წ.), მარგალიტა (დაბ. 1893წ.), ეკატერინე (დაბ. 1894წ.), სოფიო (დაბ. 1896წ.), თამარი (დაბ. 1898წ.). მათგან



დეკანოზი
დავით დუმბაძე

ორი: გიორგი და პელაგია 1919 წელს უკვე აღარ იხსენიებიან ცოცხლებში.

შემდგომში მისი ერთი ვაჟი, ვასილ დუმბაძე ემიგრაციაში წავიდა და მორგანების ბანკის წამყვანი ფინანსისტი გახდა, ხოლო დებიდან ერთ-ერთი სონია დუმბაძემ, რომელიც კარგი მუსიკალური ნიჭით გამოირჩეოდა, 1919 წელს წარმატებით ჩააბარა გამოცდები თბილისის კონსერვატორიაში. მეცადინეობდა პედაგოგ ანა ჯაყელთან. შემდგომში თბილისის კონსერვატორიის კონკურსში გამარჯვებულ 15 სტუდენტთან ერთად მილანში ჩავიდა და მაესტრო დელი პონტისთან დაიწყო მეცადინეობა. საბოლოოდ მანაც ემიგრაციაში დაასრულა ცხოვრება.

წყარო: საქართველოს სახელმწიფო ცენტრალური საისტორიო არქივი, ფ. 489, აღწერა 1, საქმე №38881; საქმე №42029;

Журнал „Духовный вестник Грузинского Экзархата“ 1894წ. №10; 1899წ. №11; 1905წ. №11-12; გაზეთი „ივერია“ 1886წ. №250, გვ. 3-4; №251, გვ. 3-4; 1893წ. №212, გვ. 1; 1894წ. №155, გვ. 2; 1897წ. №225, გვ. 4; 1905წ. №30, გვ. 3; გაზეთი „ცნობის ფურცელი“ 1897წ. №126, გვ. 3; 1900წ. №1084, გვ. 1; ჟურნალი „ემშაკის მათრახი“ 1907წ. №6, გვ. 6; №8, გვ. 8; Журнал „Вестник Грузинского Экзархата“ 1912წ. №11; 1913წ. №23; 1914წ. №10; გაზეთი „ახალი ივერია“ 1914წ. №18, გვ. 3; გაზეთი „ერთობა“ 1917წ. №16, გვ. 3; №174, გვ. 4; გაზეთი „საქართველო“ 1916წ. №223, გვ. 1; №225, გვ. 3; 1917წ. №58, გვ. 3; 1918წ. №99, გვ. 2; 1919წ. №97, გვ. 1.

ლიტ: ილ. თავბერიძე „XIX საუკუნის ქართველი მოღვაწეებიდა საეკლესიო გალობა“ ქ. თბილისი, 2005წ. გვ. 87-96.

სტატიის დასასრული

მღვდელი
გიორგი მაჩურიშვილი

თუ თქვენს საოჯახო არქივში მოიპოვება სასულიერო პირთა და საქართველოს ეკლესია-მონასტართა ფოტოები, გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ, რათა ერთობლივი ძალისხმევით დავინახავს განვიხსნათ ისინი. ჩვენი ტელეფონებია: 593 19 36 04; 599 88 66 90; 2 32 48 66; 2 98 95 41

გთხოვთ, გაზეთს გაუფრთხილდეთ მასში დაგეგმილი მასალების გამო საბანკო ანგარიში: სს „ლიბერთი ბანკი“ ბანკის კოდი: LBRTGE22. ანგარიში: № GE57LB0115123530407000. საბანკო კოდი — 45 01 56. რედაქტორის მოადგილის ელ.ფოსტა: bokuchavanana1@gmail.com. მის: ერეკლე II-ის მოედანი 1, საქართველოს საპატრიარქოს პრესცენტრი. ტელ. 2 98-95-41

რედაქტორის მოადგილე: ნანა ბოკუჩავა ტ. 599 23 10 54
სარედაქციო კოლეგია: მიტროპოლიტი დიმიტრი (შილაშვილი), მარიამ ვაგუა, ნინო ვაგომაშვილი, თამარ ასათიანი, მღვდელი გიორგი მაჩურიშვილი, ია ხაზარაძე, სერგო კერესელიძე, ბუღალტერი: ელასი ჯიბლაძე; გვერცელება: ცარო ვარდიშვილი, მამუკა კვაჭანტირაძე; დასავ. საქართველოში გვერცელება ზაზა უგულავა 595343056
დამკაბადონებელი: ვალერიან ჯღვდელი



**„ეს ქვედაკაზი მოსკოვში ჯერ კიდევ
სამი ათწლეულის წინ დაიგეგმა“, —
პარისტარის მიტროპოლიტი გრიგოლი**

პერისტერის მიტროპოლიტი გრიგოლი (პაპათომასი), საბერძნეთის ეკლესიის გამორჩეული ინტელექტუალი და კანონიკური სამართლის პროფესორი ტელეარხ „Orthodox TV-სთან“ ინტერვიუში შეეხო რუსეთის ეკლესიის ბოლოდროინდელ ქმედებებს ალექსანდრიის საპატრიარქოს კანონიკურ ტერიტორიაზე შეჭრასთან დაკავშირებით.

მისი თქმით, რუსეთის ეკლესიის ქმედებები ბევრად გასცდა ალექსანდრიის საპატრიარქოს კანონიკურ ტერიტორიაზე შეჭრის საზღვრებს და, როგორც ჩანს, ეს ჯერ მხოლოდ დასაწყისი უნდა იყოს.

მიტროპოლიტი გრიგოლის თქმით, რუსეთის ეკლესიის ქმედებები გასულ ათასწლეულში რომის ეკლესიის მიერ განხორციელებული ქმედებების ანალოგიურია, როდესაც ეს უკანასკნელი შეიჭრა სხვა ეკლესიის საზღვრებში და ქრისტიანულ სამყაროში მწვავე სქიზმა გამოიწვია (იგულისხმება ქრისტიანულ აღმოსავლეთში ლათინური საპატრიარქოების დაარსება — რედ.).

„რასაც აფრიკაში აკეთებენ, მსოფლიო საპატრიარქოსა და საბერძნეთის ეკლესიის ტერიტორიაზეც გააკეთებენ. უკრაინის თემა საბაბია და არა მიზეზი, მთელი ეს ქმედებები მოსკოვში ჯერ კიდევ სამი ათწლეულის წინ დაიგეგმა“, — აცხადებს მიტროპოლიტი გრიგოლი.

ისტორიის ფურცელი

მღვდელ-მონაზონი გაბრიელი (მაყაშვილი)

„მე წიგნთა ვამრავლებ და თქვენ კითხვა განამრავლეთ“

1793-1831

მღვდელ-მონაზონი გაბრიელი, ერისკაცობაში გრიგოლ ომანის ძე მაყაშვილი, 1793 წლის 9 იანვარს, კახეთის სოფელ იყალთოში, თავად ომან მაყას ძე მაყაშვილისა და ანა ბეჟან არაგვის ერისთავის ასულის ოჯახში დაიბადა. მამამისი, ომან მაყაშვილი, 1812 წელს კახეთის აჯანყებაში მონაწილეობდა. აჯანყების დამარცხების შემდეგ დაპატიმრეს და რუსეთში, ქ. პერმში გადაასახლეს, სადაც 1813 წლის 28 თებერვალს ჩავიდა. 1818 წლის 18 აპრილის დადგენილებით დანაშაული ეპატია და სამშობლოში დაბრუნების ნება მისცეს. გარდაიცვალა 1820 წელს. გრიგოლის გარდა, მათ ჰყავდათ კიდევ სამი შვილი: ათანასე, მაყა, რევაზი, რაც დასტურდება დედის, ანას მიერ გადანიშნულ კრებულზე გაკეთებულ წარწერით: „მღვთისა დედაო, შემენიე სულით და ხორციით ცოდვილს დედაკაცს, ბეჟან ერისთავის ასულს ანნას... მიზეზი ჩემი გულმოდგინებისა ჩემი პირმშო შვილი — გაბრიელ ბერი მღვდელ-მონაზონი მექმნა. ამისი დედანი მან მაცნობა და ჩემის სურვილით იმისგან მრავალნი წიგნნი არიან ჩემი შვილების სახლში... შვილნო ჩემნო — ათანასი, მაყავ და რევაზ...“

პატარა გრიგოლმა პირველდანიეებითი განათლება ოჯახში, დედის მეთვალყურეობის ქვეშ მიიღო. 1809 წლის 20 მარტს (სხვა ვერსიით — 1810 წლის 20 მაისს) მშობლებმა იგი დავით გარეჯის ლავრაში მიაბარეს აღსაზრდელად. 1810 წლის 14 აგვისტოს, იმავე მონასტერში, წინამძღვარმა, არქიმანდრიტმა ილარიონ-

მა (ვაჩნაძე-ბებურიშვილი) ანაფორა უკურთხა. 1811 წლის 6 აპრილს რუსთველ-ნინოწმინდელმა მიტროპოლიტმა სტეფანემ (ჯორჯაძე) დიაკვნად აკურთხა (სხვა ვერსიით — 1813 წლის 8 აგვისტოს უკურთხეს ანაფორა და კერძო დიაკვნად დაადგინეს).

1816 წელს პაპამისის ძმამ, ბოდბელმა მიტროპოლიტმა იოანემ (მაყაშვილი), თავისთან წაიყვანა ბოდბის წმ. ნინოს სახ. მამათა მონასტერში, არქიდიაკვნის წოდება მიანიჭა და სახელად გაბრიელი უწოდა. 1820 წლის 8 მარტს მიტროპოლიტი იოანე საქართველოს ეგზარქოს თეოფილაქტეს (რუსანოვი) სწერდა: „მაღალყოვლადუსამღვდელოესო მეუფეო, მონყალეო ხელმწიფეო და მწყემსმთავარო! ჩემი ძმისწული ბერი გახლავთ ჩემთან - გაბრიელი, რომელმანცა თვისის ნებით აღირჩია ბერად წოდება და არს დიაკონად ჩემგან ხელდასხმული, და გთხოვთ, რადგან მოხუცებულებასა შინა ვარ მიწვევნილ, ნება მომცეთ, მღვდელ-მონაზვნად ხელდასხმულ ვყო და ვამყოფო ჩემთან, ვიდრე ცოცხლებით ვყო მლოცველად, რომლისა თვისცა მოველი და ვარ იმედული თქვენის მონყალებისა, რომ არ უგულუბელსყოფთ თხოვილსა ჩემგან“.

1820 წლის 6 აპრილს, დიდ ხუთშაბათს, მიტროპოლიტმა იოანემ მღვდლად დაასხა ხელი - ჩოხის კურთხევით. მეუფე იოანეს ლოცვა-კურთხევით, ახალგაზრდა მღვდელ-მონაზონი ბოდბის მონასტრისა და სამღვდელმთავრო სახლის ეკონომოსად დაინიშნა და მონასტრის სალაროც მას ჩააბარეს.

მღვდელ-მონაზონი გაბრიელი იყო კარგი კალიგრაფი. თავისი ხანმოკლე ცხოვრების განმავლობაში მას გადაწერილი აქვს რამდენიმე ძველი ხელნაწერი, რომლებიც დღეს კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრშია დაცულია. ერთ-ერთი ასეთი ხელნაწერია იოანე სინელის „კლემაქსი“, გადაწერა 1826 წელს და ახლავს შემდეგი ანდერძი-მინაწერი: „მაღალ-ბრწყინვალეო კნიაზო ათანასი მაყაევო და ბრწყინვალეო კნეინავ, დედაო ანნავ, მოვართვი ბრწყინულებასა თქუენსა იოანე კლემაქსის წიგნი, ფრიად სულთა სასარგებლო, რომელ არა იპოებოდა სახლსა შინა ჩემსა მშობელსა მრავალ განსაცდელ შემთხვევისა გამო საქართველოისა ოხრებისაგან. გაქუნდესთ ჩემდა სახსენებელად და თქუენცა, ბრწყინულენო კნეინანო, დანო და სძალნო ჩემნო - ელენევ და ვარვარავ, მე წიგნთა ვამრავლებ და თქვენ კითხვა განამრავლეთ. ცოდვილი ბერი გაბრიელი“.

1827 წლის 25 იანვარს მღვდელ-მონაზონ გაბრიელი რამდენიმე დღით დაეთხოვა მეუფე იოანეს და იყალთოში, მშობლების სანახავად წავიდა. უცნობი მიზეზების გამო იგი რამდენიმე თვე დარჩა სახლში. როგორც შემდგომში მან აღნიშნა, ამის მიზეზი მისი ავადმყოფობა იყო. უცნობია, თუ რა მოხდა მის გონებაში ამ სამი თვის განმავლობაში და რამ აიძულა იგი ასეთი ნაბიჯი გადაედგა. 1827 წლის აპრილში იგი ახტალის მონასტერში ჩავიდა და იქაურ, ეროვნებით ბერძენ მღვდელმთავარ იოაკიმეს წერილი ჩაუტანა, რომელსაც მიტროპოლიტი იოანეს ხელმოწერა ჰქონდა. აი, რას სთხოვდა მეუფე იოანე ეპისკოპოს იოაკიმეს: „ქრისტეს მიერ ძმაო იოაკიმ დესპოტავ, ძმებრივითა სიყვარულითა გიანბორებ, საყვარელო ძმაო. წარმოგზავნილი ჩემი ძმისწული ნებითა ჩემითა მევედრა მე და ისურვა თქვენგან კურთხევა ილუმენად და არხიმანდრიტად და არ მიბრძანოთ ამისი უარი და აკურთხოთ ამალლების მონასტერზედ, რომელიც არის ჩემსა ეპარხიასა შინა და თქვენის არზით დაწერილით მასიამოვნოთ. მიკითხავ — ვარ დიდსა მოხუცებულობასა შინა და თქვენიცა მესმის მდებარეობა, გთხოვ, მალე მიბოძო ჩემი ძმისწული და ჩვენი ძმობა და სიყვარული განმიახლო და პატივმცეთ და მეც მიმსახუროთ.“



ბოდბის მონასტერი

შენი ძმა, ბოდბელი მიტროპოლიტი იოანე. 1827 წლის 23 აპრილი“. მართლაც, ეპისკოპოსმა იოაკიმემ შეასრულა მეუფე იოანეს თხოვნა და 1827 წლის 1 მაისს, წირვაზე, მას არქიმანდრიტის წოდება მიანიჭა, რამაც შემდგომში მას დიდი პრობლემები შეუქმნა. საქართველო-იმერეთის სინოდალურმა კანტორამ არ ცნო ეს ჯილდო, ჩათვალა იგი მოტყუებით მიღებულად და საქმის გამოძიებას შეუდგა.

პირველ რიგში, 1827 წლის 2 სექტემბერს შეკითხვა გაუგზავნეს ახტალელ ეპისკოპოს იოანეს, რომელმაც მისი დაჯილდოება აღასრულა. თავის მხრივ, იმავე წლის 14 სექტემბერს ეპისკოპოსი იოანე საქართველოს ეგზარქოს იონას (ვასილევსკი) სწერდა, რომ ზემოხსენებულმა სასულიერო პირებმა (იმ პერიოდში მან ასევე აკურთხა ერთი იმერელი დიაკონი მღვდლად და ერთი კახელი მედავითნე დიაკვნად, რომლებიც ასევე დასაჯეს და არ ჩაუთვალეს ხელდასხმა — გ.მ.) წარმომადგინეს წერილები, სადაც მარწმუნებდნენ, რომ ღირსნი იყვნენ ამ ხარისხების მიღების და მე როგორ ვიფიქრებდი, რომ მიტროპოლიტის უკითხავად ამას გაბედავდნენო, გამაბრიყვეს და მომატყუესო. ჩემი სიმართლის დასამტკიცებლად გიგზავნით დეკანოზ ვასილ ადრიანოვის ხელით მათ მიერ მოტანილ წერილებს, რითაც დარწმუნდებით, რომ ამ საქმეში უბრალო ვარ. ხოლო ის, რომ ხელდასხმისთვის თქვენგან ნებართვა არ ავიღე (ეგზარქოსების მმართველობის პერიოდში ხელდასხმა და აღკვეცა აუცილებლად უნდა შეთანხმებულიყო საქართველოს ეგზარქოსთან და სინოდალურ კანტორასთან — გ.მ.), შენდობას ვითხოვ, რადგან ეს მომოვიდა ჩემი მოხუცებულობისა და ავადმყოფობის გამოო.

სინოდალური კანტორის გადანყვეტილებით, ვიდრე საქმე საბოლოოდ არ დასრულდებოდა, მღვდელმონაზონი გაბრიელი თბილისში გადმოიყვანეს და მაცხოვრის ფერისცვალების სახ. მამათა მონასტერში მისი წინამძღვრის, არქიმანდრიტ ევგენის მეთვალყურეობის ქვეშ გამოკეტეს. 1828 წლის 1 თებერვალს მან ფიცი დადო, რომ იცხოვრებდა მონასტრის ტიბიკონის შესაბამისად, ივლიდა წირვა-ლოცვებზე და არავითარ მღვდელმოქმედებას არ შეასრულებდა და მონასტრიდან არ გავიდოდა ნებართვის გარეშე.

1828 წლის 23 იანვარს, საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორის მიწერილობით, სიღნაღის მაზრის უფროსმა, ნადვორნი სოვეტნიკმა კუნიცკიმ დაკითხა მღვდელ-მონაზონი გაბრიელი და შემდეგი ჩვენება ჩამოართვა: „პირველთა შინა რიცხვთა აპრილის თვისათა ჩყვ (1827) წელსა, ნებართვითა მწყემსმთავრისა ჩემისა მიტროპოლიტის იოანნესითა, წარველ მე თელავის უეზდის სოფელსა იყალთოს, სანახავად დედისა ჩემისა - კნენა ანა ბეჟანის ასულისა და ძმათა ჩემთა: ათანასისა, მაყასსა და რევაზისა თავადთა მაყაყეთასა, რომელთათანაცა დავჰყავ რა სახლსა შინ ორი კვირა, წარვედ ბორჩალოს დისტანციის სოფელსა შინა მისხანას უმობუცებულესის ახტალელ ბერძნის ყ-დ სამღვდელო ეპისკოპოს იოაკიმესთან ესრეთითა განზრახვითა, რათამცა დავშენილიყავ მასთან საუკუნოდ, და შემდგომ მისვლისა მუნ, ვჰსთხოვე მის ყ-დ სამღვდელოესობას, ნებართვა მსახურებისათვის მისსა სვიტასა შინა, და ხელდასხმა არხიმანდრიტად, რომელმანცა შემდგომად სამისა დღისა მოიდვა მანტია და ომოფორი და მაკურთხა მე მის სოფლის წმიდის გიორგის ეკლესიაში, შინა დროსა საღმრთოსა ლიტურგიისასა, რომელიცა აღვასრულე მე ორის ბერძნის მღვდელითურთ, რომლებსაც სახელები მე არ ვიცი, შემდგომ გამოსვენებისა სახარებისა, პირველსა მაისს ჩყვ (1827) წელსა - არხიმანდრიტად; წერილობითი მონაშობა ხარისხსა ზედა არხიმანდრიტისასა და არცა ვითარიმე სხვა წერილი ამას ზედა მე ყ-დ სამღვდელოსაგან ბერძნისა არა მაქვს; დავჰყავ რა სახლში შინა ყ-დ სამღვდელო იოაკიმესასა თხუთმეტი დღე, თანხმობითა მისითა წარველ მე ჩემს ეპარხიის ყ-დ სამღვდელი სიღნაღის მიტროპოლიტს იოანნე ბოდბელთან მისაბარებლად ყოვლისა მის, რაიცა თანამდებობისაებრ იკონომოსისა და მოლარისა იყო უწყებასა შინა ჩემსა და მისალებად სრულისა განთავისუფლებისა ეპარხიისაგან მისისა, რომელსაცა შემდგომად მისვლისა ჩემისა ვსთხოვე ესე, გარნა არა გამოვუცხადე არცა მასს და არცა ვისამე სხვას ვითარცა ესე, რომელ ბერძნის ყ-დ სამღვდელოსაგან კურთხეულ ვარ არხიმანდრიტად, ეგრეთვე არცა სურვილი ჩე-



პოპულარიზირებული იოანე (მაყაშვილი)

მი შესვლისათვის სვიტასა შინა ბერძნის ყ-დ სამღვდელოსასა, ვითარცა თხოვასა ზედა ჩემსა მისმან მაღალ ყ-დ უსამღვდლოესობამან მრქვა მე, რომელ რადგან არის მოხუცებული, ამისათვის ვიდრე ცოცხალი არის, არ დამანებებს მე თავს, ვითარცა ნათესავსა თვისსა, რომლისათვისცა მე დავჰშთი მასთან; შემდგომად ხელდასხმისა არხიმანდრიტად, მე არა რომელსამე ეკლესიასა შინა არსად სახითა არხიმანდრიტისათა არ მიმღვდელმოქმედნია მყოფობასა შინა ჩემსა ბერძნის ყ-დ სამღვდელოსთან ავადმყოფობისა გამო, და შემდგომ უკმოქცევისა ადრინდელსა ადგილსა მონასტერსა შინა წმიდა ნინასსა, ვერღა ვიკადრე წირვა ესრეთ ამისათვის, რომელ ვარ მე კურთხეულ არხიმანდრიტად თვინიერ ნებისა ყ-დ სამღვდელო მიტროპოლიტის იოანნესა, და საარხიმანდრიტო ჯვარი გულსა ზედა ჩემსა მაქვნდა ტვირთული მხოლოდ პირველსა დღესა კურთხევისა ჩემისა“.

ამ ჩვენების ჩამორთმევის შემდეგ გამოძიება გაგრძელდა. შეკითხვები გაუგზავნეს და მის შესახებ დამონშება სთხოვეს სხვადასხვა სასულიერო პირს, ვისთანაც კი მას თავის დროზე შეხება ჰქონდა.

1828 წლის 16 თებერვალს, დავით გარეჯის ლავრის ყოფილმა წინამძღვარმა, არქიმანდრიტმა ილარიონმა (ვაჩნაძე-ბებურიშვილი) დაადასტურა, რომ ხსენებული მღვდელ-მონაზონი გაბრიელი 1809-1816 წლებში ნამდვილად ცხოვრობდა მასთან მონასტერში, რომ თავადვე აღკვეცა ბერად და 1816 წელს გაისტუმრა ბოდბეში. მამა ილარიონი იქვე წერდა: „...რომელიცა ესე მღვდელ-მონაზონი აღასრულებდა მისდამი დადებულთა სამონასტრო მორჩილებათა კეთილად და სიმდაბლით“.

1828 წლის 18 თებერვალს მიტროპოლიტი იოანე წერდა, რომ მართლაც, 1827 წლის 25 იანვარს გაუშვა მღვდელ-მონაზონი გაბრიელი თავისი მშობლების სანახავად და იანვრიდან აპრილამდე ალარ გამოჩენილა


მონასტერში „მიზეზითა სნეულებითა“. შემდგომად ამისა, აპრილის თვეში მან მთხოვა განთავისუფლება ჩემი ეპარქიიდან, მაგრამ მე ნება არ მივეცი, რადგან არ ამბობდა ზუსტ მიზეზს, თუ რის გამო ტოვებდა ეპარქიას, რის შემდეგად ის დარჩა კვლავ მონასტრის საძმოში. მე, პირადად, არასოდეს მინახავს, რომ მას არქიმანდრიტის ხარისხში ჩაეტარებინოს წირვა და საარქიმანდრიტო გულის ჯვარი ეტარებინოსო.

საბოლოოდ, მამა გაბრიელმა შენდობა ითხოვა და აღიარა, რომ მან ეს წერილი თვითონ შეადგინა და მოტყუებით მიიღო არქიმანდრიტის წოდება. ამის გამო მას გარკვეული პერიოდი მღვდელმსახურება შეუჩერეს. 1829 წლის 1 აპრილს მან ხელმოწერით დაადასტურა რომ, ამიერიდან აღარ უწოდებდა თავს არქიმანდრიტს, არ გამოიყენებდა წირვის დროს გამწვენებულ ჯვარს, ენქერს და საგვერდულს და მკაცრად დაიცავდა დადებულ სასჯელს. სინანულის კანონი მას გარეჯის წმ. იოანე ნათლისმცემლის მონასტერში განუჩინეს, სადაც 1829 წლის 1 აპრილსვე ჩავიდა.

ის, რომ 1829 წელს იგი მართლაც ჩავიდა გარეჯის ნათლისმცემლის მონასტერში დასტურდება ერთი მხედრული მინაწერთაც, რომელიც მან მონასტრის ერთ-ერთი მღვიმის ეკლესიაში, ჩრდილოეთ კედელზე თავადვე წაანერა: „მოვედ ხილვად ამა ლავრისა და ვიხილევი ჩემდა მოოხრებული ტაძარი ესე არხიმანდრიტმა გაბრიელ მაყაშვილმა ომანის ძემან, დედით არაგვის ერისთავის ასულმან ანნასამან. აღმოპკითხველნო, ლოცვა ჰყავთ. დიდად ცოდვილი ვარ, უფალნო ჩემნო, ჩყკთ წელსა“.

1829 წლის 26 ნოემბერს გარეჯის წმ. იოანე ნათლისმცემლის მონასტრის წინამძღვარი, არქიმანდრიტი თეოდოსი (ხელაშვილი) სინოდალურ კანტორას სწერდა: „მაქვს პატივი მოგახსენოთ, რომ ჩემდა რწმუნებულ მონასტერში განწესებულ ყოფილ იერომონახ გაბრიელს არა რაი აქუს უგვანი ქცევა, და მკითხველი წმიდათა ძველთა საეკლესიოთა წერილებთა განატარებს დროსა მყუდროთა და შესაბამისითა მდგომარეობითა, და განმართული თვისსა კელიანსა შინა, ღამე შეაქცევს თავსა თვისსა აღმოპკითხვითა მამათა ცხოვრებათათა და რაოდენ შესაძლო არს მისგან, ძმათა შორის არს მიმდრეკელი დაგებისა და მაჩვენებელი სიყვარულისა“. როგორც ამ წერილიდან ვგებულობთ, მღვდელ-მონაზონი გაბრიელი აქაც ძველი მამათა ნაშრომების კითხვითა და გადაწერით იყო დაკავებული და თავის საქციელს ნანობდა.

1830 წლის 11 აპრილს არქიმანდრიტი თეოდოსი ახალ წერილს უგზავნის სინოდალურ კანტორას და ახსენებს, რომ მღვდელ-მონაზონ გაბრიელს გაუვიდა ერთი წელი, რაც სინანულისთვის მონასტერში იმყოფება. ამ ხნის განმავლობაში მან თავისი



გარეჯის წმ. იოანე ნათლისმცემლის მონასტარი

კეთილი ქცევითა და მონაზვნური წესების დაცვით დადებითად წარმოაჩინა თავი, რის გამოც იმსახურებს, აღუდგეს მღვდელმოქმედება. მამა თეოდოსი კითხულობდა, როგორ მოქცეულიყო, გაეშვა მამა გაბრიელი აღნიშნული მონასტრიდან თუ დაეტოვებინა საძმოში და მიეცა ნებართვა საღმრთო ლიტურგიის აღსრულებისა.

სამწუხაროდ, მისი მამის, ომან მაყაშვილის აჯანყებაში მონაწილეობისა და ასევე, ჩადენილი საქციელი გამო, რუსული მმართველობა მღვდელ-მონაზონ გაბრიელს აღარ ენდობოდა. მიუხედავად იმისა, რომ იგი ნანობდა თავის საქციელს და პატიოსნად ცხოვრობდა მონასტერში, მას აღარ დართეს მღვდელმსახურების უფლება.

მსახურების აღდგენის მოლოდინში კიდევ ერთი წელი გავიდა. ამასობაში მღვდელ-მონაზონ გაბრიელს ავადმყოფობამ დარია ხელი. მას წყალმანკი აღმოაჩნდა. მძიმე ტკივილების გამო მონასტერში ვეღარ გაჩერდა და შემოდგომის დასაწყისში იყალთოში, თავისი ძმების სახლში წავიდა სამკურნალოდ, სადაც 1831 წლის 26 ოქტომბერს აღესრულა. მისი ცხედარი შუამთის მონასტრის ეზოში დაკრძალეს. სიკვდილის წინ მან თავისი კუთვნილი 40 მანეთი შუაზე გაჰყო და დაიბარა, რათა ნახევარი შუამთის მონასტერში, ხოლო მეორე ნახევარი — გარეჯის ნათლისმცემლის მონასტერში გაეგზავნათ, მის სახელზე ორმოცამდე წირვების ჩასატარებლად. სხვა რაიმე პირადი კუთვ-



სოფალი იყალთო

ნილება მას არ დარჩენია. მის მიერ გადანიჭილი წიგნები, ნაწილი მონასტრებს შეწირა, ნაწილი კი კერძო პირებს გადაუწერა და საჩუქრად გაუგზავნა.

მისი გარდაცვალების შემდეგ დედამისმა - ანა ბეჟან არაგვის ერისთავმა გააგრძელა თავისი შვილის საქმიანობა. 1834 წელს მან გადანიჭა „კრებული“, რომელსაც ასეთი ანდერძი გაუკეთა: „მღვთისა დედაო, შემენიე სულით და ხორციით ცოდვილს დედაკაცს, ბეჟან ერისთავის ასულს ანნას. ნამკითხველთა ამა წიგნისათა, გთხოვთ, თუ შეცდომა იხილოთ, მოტყუებით მომიხსენეთ მიზეზისა გამო — პირველი, ესე მე დიდს სწეულებასი და უძღურებაში გადავსწერე და ამისი დედანი ხელწერილი კვაფჩხილოვანი იყო და განათი მე ან მწერლობა ვიცოდი კანონიერი ან შეთხზვა სიტყვისა, მიზეზი ჩემი გულმოდგინებისა ჩემი პირმშო შვილი - გაბრიელ ბერი მღვდელ-მონაზონი მექმნა. ამისი დედანი მან მაცნობა და ჩემის სურვილით იმისგან

მრავალნი წიგნნი არიან ჩემი შვილების სახლში და მეც ეს მცირე ვიგულსმოდგინე. სამთავრე შვილებს შეენიოს მღვთისა დედა და მეც მომიხსენონ მშობელი თვისი. სრულ იქმნა ივნისის 8, წელთა ჩყლდ (1834)“.

წყარო: საქართველოს სახელმწიფო ცენტრალური სასაბჭოო არქივი, ფ. 488, აღწერა 1, საქმე №558; საქმე №559; საქმე №1299; საქმე №3837; ფ. 489, აღწერა 1, საქმე საქმე №2187; №3574; კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ექვთიმე თაყაიშვილის ფონდი, საქმე №296.

ლიტ: ბერძნულშილი მაქსიმე „მასალები XVIII-XIX საუკუნის პირველი ნახევრის ქართული საზოგადოებრიობის ისტორიისათვის“. ქ. თბილისი, 1980წ., ტ. II, გვ. 94; საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა (H კოლექცია), ტ. I, 1946წ., გვ. 116-118; (A კოლექცია), ტ. II, 1986წ., გვ. 13.

მღვდელი
გიორგი მაჩუროშვილი

თუ თქვენს საოჯახო არქივში მოიპოვება სასულიერო პირთა და საქართველოს ეკლესია-მონასტართა ფოტოები, გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ, რათა ერთობლივი ძალისხმევით დავინახოთ ვინაა ისინი. ჩვენი ტელეფონებია: 593 19 36 04; 599 88 66 90; 2 32 48 66; 2 98 95 41

გთხოვთ, გაზათს გაუფრთხილდეთ მასში დაგაუფილი მასალის გამო საბანკო ანგარიში: სს „ლიბერთი ბანკი“ ბანკის კოდი: LBRTGE22. ანგარიში: № GE57LB0115123530407000. სახაზინო კოდი — 45 01 56. რედაქტორის მოადგილის ელ.ფოსტა: bokuchavanana1@gmail.com. მის: ერეკლე II-ის მოედანი 1, საქართველოს საპატრიარქოს პრესცენტრი. ტელ. 2 98-95-41

რედაქტორის მოადგილე: ნანა ბოკუჩავა ტ: 599 23 10 54
სარედაქციო კოლეგია: მიტროპოლიტი დიმიტრი (მოლაშვილი), მარიამ გაგუა, ნინო გაგომაშვილი, თამარ ასათიანი, მღვდელი გიორგი მაჩუროშვილი, ია ხაზარაძე, სერგო კერესელიძე, ბულაღტერი; ვლასი ჯიბლაძე; გავრცელება: ცარო ვარდიშვილი, მამუკა კვაჭანტირაძე; დასავ. საქართველოში გავრცელება ზაზა უგულავა 595343056 დამკაბადონებელი: ვალერიან ჯულელი



ისტორიის ფურცელი

დეკანოზი კონსტანტინე ანთაძე 1872-1933

დეკანოზი კონსტანტინე დავითის ძე ანთაძე 1872 წელს ქუთაისის გუბერნიის შორაპნის მაზრაში მღვდლის ოჯახში დაიბადა. ეკუთვნოდა აზნაურთა ნოდებას. 1895 წელს დაამთავრა თბილისის სასულიერო სემინარია. 1896 წლის 1 სექტემბრიდან ქუთაისის ერთ-ერთ კერძო სკოლაში ასწავლიდა. 1897 წლის 19 იანვარს იმერეთის ეპისკოპოსმა ბესარიონმა (დადიანი) დიაკვნად აკურთხა, იმავე წლის 26 იანვარს მღვდლად დაასხა ხელი და მარეღისის მაცხოვრის ამალღების სახ. ტაძრის წინამძღვრად განამწესა.

1897 წლის 5 სექტემბერს ტრაგიკულად გარდაიცვალა საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორის მდივანი, „ნადვორნი სოვეტნიკი“, დეკანოზის შვილი, აზნაური ილია მოსეს ძე კიკნაველიძე (ცხენიდან ჩამოვარდა 31 აგვისტოს და მძიმედ დაშავდა). იგი 12 სექტემბერს დაასაფლავეს მშობლიურ სოფ. კიკნაველეთში. დაკრძალვას დაესწრო იმერეთის ეპისკოპოსი ბესარიონი (დადიანი), არქიმანდრიტი ლეონიდე (ოქროპირიძე), დეკანოზი დავით ლამბაშიძე და მრავალი სასულიერო პირი. რამდენიმე მათგანმა სიკვდილს წარმოთქვა. ქადაგება წარმოთქვა ასევე ახლად ნაკურთხმა მღვდელმა კონსტანტინე ანთაძემ: „არა მოვკვდე, არამედ ვსცხონდე და განვსთქენე მე საქმენი უფლისანი“. სიკვდილი, ეს საშიშარი და თავზარდამცემი თანაბრად უსპობს სიცოცხლეს ყველას: მდიდარს და გლახაკს, ბრძენს და სულელს, დიდსა და პატარას, იმას, ვინაც თვისის მოქმედებით კვალი დააჩნია ცხოვრების მსვლელობას და იმასაც, ვინაც თვისი ტალანტი მიწაში ჩაფლო და ამაოდ ჩააღონია თვისი სახელი. შენ-კი, რომელ აქ ჩამოთვლილის თვისებებით იყავ გარემოცული, საყვარელო ძმაო ილია? შენ არ ეკუთვნოდი იმ ბრბოს ხალხისას, რომელმაც თვისი სახელი სიკვდილთან ერთად გააქრო, არამედ იყავი ყოვლის კაცის სახელის მომხვეჭი და გამაფაქიზებელის ღირსებით შემკული. შენ იყავი ღვთის მსახური და მოყვარე, მოძმეთათვის გულ-შემატკივარი, გულით და სულით მდიდარი, მტრისთვისაც კი თავდაუზოგველი, გულჩვილი, არა ამპარტავანი, გულწრფელი და არა მკაცრი! აი, ამისთანა თვისებების მქონე კაცი უღმობელმა სიკვდილმა არ დაგინდო და თვისის მოქნეულის ცელით მსწრაფლ გამოგასალმა ამ წუთისსოფელს. ამისთვისაც არის ძვირფასო ძმაო, რომ შენს გაციებულს გვამს ერთის გრძნობით და სიყვარულით თავს დაგტირიან შენის სიკვდილით გაუბედურებული და თითქმის მზე-დაბნელებული მშობლები, შენი ცრემლ-შეუშრობელი, გასაწყლებული, უიმედო ცოლ-შვილი, გულ-ჩათუთქული ნათესაობა შენი და ყველა ის, ვისაც კი ოდესმე სახელი შენი სმენია. „გუშინ ჩვენთანა მზრახველს“ დღეს შენმა აღმზრდელმა მიწამ უნდა გადაგაფაროს

თვისი სუდარი, ჩაგიკრას გულში სამუდამოდ და გაქციოს მტვრად. ძმაო, ნეტავი შენ, რომ აასრულე შენი მოვალეობა! თუ შენთვის მზეს კიდევ ენათა და სიბნელით არ დახშულიყავ, ხომ ამაზედ მეტს კვალს დაამჩნევდი ცხოვრებას და მიაღწევდი იმ წერტილამდინ, რომელიც დასასრულია ადამიანის ქვეყნიური ცხოვრებისა?! ახლა კიდევაც გამოეთხოვე შენს ნაჭირნახულებს სახლს, შენს, თეთრის წვერებით მოსილს მამას, შენის დედის დამწვარ ძუძუებს, დაობლებულს, გზა-დაფანტულს, უსუსურს შვილებს, რომლებზედაც ამოგდიოდა მზე, შენს ნათესაობას და ყველას, ვისაც შენ ახსოვდი; წარსდეგი შენს წინაპრებთან ერთად ჩვენის სულის საოხად და ჩვენც ყველანი, სანამ შენს ჩვენთვის საყვარელს სახელ „ილიას“ ჩვენს ბაგეს შენსავით სიკვდილი არ მოაშორებს, არ დაგივინყებთ, რადგან ვიცით, რომ არა მოკვდები, არამედ სცხონდი და განსთქენ შენ საქმენი უფლისანი! საუკუნოდ იყოს ხსენება შენი, ძვირფასი, საყვარელო ძმაო ილია, ამინ“.

1898 წლის 28 იანვრიდან მღვდელი კონსტანტინე მარეღისის ახალი ტაძრის აღმშენებელი კომიტეტის თავმჯდომარედ დაინიშნა. 1898 წლის 14 დეკემბერს აირჩიეს სასულიერო დეპუტატად სასწავლო დაწესებულებისა და იმერეთის სანთლის ქარხანაში. 1902 წლის 14 მარტიდან იგი მარეღისის ტაძარზე მიწერილი მეორე ტაძრის აღმშენებელი კომიტეტის ხელმძღვანელია. 1901 წლის 1 დეკემბერს ლელვანის ერთკლასიანი სამინისტრო სკოლის საღვთო სჯულის მასწავლებლად დაადგინეს. 1904 წლის 20 მაისს ცხრანყაროს წმ. გიორგის სახ. ტაძარში გადაიყვანეს და იქაც სამრევლო-საეკლესიო სკოლის პედაგოგად დაინიშნა. 1904 წლის 17 ოქტომბერს ყვირილის კერძო ქალთა სკოლაში საღვთო სჯულის პედაგოგად დაინიშნა. 1906 წლის 1 სექტემბრიდან ყვირილის საქალაქო ოთხნობიანი დაწყებითი სკოლის პედაგოგია. 1907 წლის 27 აპრილს იმერეთის ეპარქიალური სასწავლო საბჭოს, შორაპნის მაზრის განყოფილების თავმჯდომარედ აირჩიეს. 1907 წლის 1 სექტემბერს დაევალა ყვირილის ორკლასიან ქალთა სკოლის მშენებლობის მეთვალყურეობა. 1908 წლის 5 მაისს შორაპნის მაზრის სამრევლო-საეკლესიო სკოლების შემოსავლების გაკონტროლება მიენდო. 1909 წლის 1 სექტემბერს ყვირილის საკვირაო სკოლის მასწავლებლად დაინიშნა. 1908 წლის 9 ივლისს ჭიათურის სამრევლო-საეკლესიო სკოლის აღმშენებელი კომიტეტის თავმჯდომარედ დაადგინეს. 1908 წლის 27 აგვისტოს ოლქის სამღვდლოების მხრიდან მეორედ აირჩიეს სასულიერო დეპუტატად. 1910 წლის 1 სექტემბერს ყვირილის ვაჟთა სამრევლო-საეკლესიო სკოლის პედაგოგად დაინიშნა. 1912 წლის 1 თებერვალს ყვირილის სარკინიგზო ორკლასიანი დაწყებითი

სკოლის მასწავლებლად დაინიშნა. 1913 წელს მესამედ აირჩიეს დეპუტატად. 1915 წელს ქართველი მგოსანის აკაკი წერეთლის გარდაცვალებას ყვირილიდან გამოეხმაურა მოძღვარი და გაზეთ „სამშობლოში“ სამგლოვიარო დეპეშაც გამოაქვეყნდა: „თვალთ შეუდგამო, საქართველოს ნექტარო, ბატონო აკაკი! შემდეგ ისრაელების წარტყვევნისა და იერუსალიმის მოხრების იერემიას წარმოთქმულ გოდებას, ბეთლემსა და „ყოველთა საზღვართა მისთა“ იროდე მეფის ბრძანებით თოთხმეტი ათასი ყრმების გაჟლეტით, მათის დედების ცრემლებს ერთად შევაგუბებ; გოლგოთის მთაზე ქალწულ დედა მარიამს, მენელსაცხებლეთა დედათა და პეტრე მოციქულის მწარე კურცხლებს იესო ქრისტეს ჯვარცმით გამოწვეულთ, ყველა ამ ცრემლებს მიუძღვნი ქართველის დედას, რომ მან გულდათუთქულმა, უზბადრუკესმა და უსანყალობელმა ეს ცრემლთა ნაკადული საქართველოს გულში ჩაასხ-ჩაანუროს, იაკობის იდუმალ კიბეს, რომელზედაც ანგელოზები ადიან და ჩამოდიან, ფეხი შენს ხმელთ ზურმუხტზე დაუდგას, ხოლო თავი „ფირუზ ცას“ მიაბჯინოს და იქიდან, წარმომთქმელმა: „აჰა ძუძუნი, რომელთა სწოვდი და წიაღი, რომლითა გიტვირთიდი შენ, და გააკუროს იგი ცრემლთა ნაკადული. და როდესაც შენი სწავლა-მოძღვრება სახარებასავით იქადაგება საქართველოში კიდითი კიდემდე, და სასურველს ნაყოფს გამოიღებს ერისთვის, მაშინ შენს დროებით დამადუმებულს სიკვდილს მედგრად შეესძახებ, „სადაა სიკვდილო საწერტელი შენი, სადა არს ჯოჯოხეთო ძლევა შენი“. მაშინ შენს საფლავზე, რ-რც მცხეთელ სიდონიის თავზე, რომელმაც ქრისტეს კვართი გულში ჩაიხუტა და მით მიწაში ჩაესვენა, აღმოცენდება ხე, ამ ხისგან გაკეთდება სვეტიცხოველი, რომელიც შეედგმის ბურჯად შენს სამშობლოს და იქიდან გამონადენი მირონი განკურნავს ყველა მის შვილს დაავადებულ-დასნეულებულს, მაშინ „განიბნევიან ყოველნი მტერნი მისნი“, მაშინ ოთხივე მხარეებზე მდინარეები მორწყვენ დიდი ხნის ნაგვალულებს არემარეს, რომ დაინყოს ბიბინი ჯეჯილმა“.

1917 წლის 8-17 სექტემბერს, მღვდელი კონსტანტინე, როგორც იმერეთის ეპარქიის დელეგატი, ესწრებოდა საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის პირველ საეკლესიო კრებას და ამ დროს იგი იყო არგვეთის ოლქის კეთილმოწესე.

დაჯილდოებული იყო: 1902 წელს — საგვერდულით; 1905 წელს — სკუფიით; 1911 წლის 6 მაისს — კამილავკით; 1916 წლის 15 მაისს — სამკერდე ოქროს ჯვრით; 1919 წელს — დეკანოზის ნოდებით.

დეკანოზი კონსტანტინე ფსევდონიმით „კ. გრძელი“ აქტიურად თანამშრომლობდა იმჟამინდელ ქართულ ჟურნალ-გაზეთებთან და აქვეყნებდა იქ საინტერესო პუბლიცისტურ სტატიებს. თარგმნიდა სტატიებსა და ნაშრომებს. განსაკუთრებით აქტიუალურია მისი ვრცელი წერილი „ივერიის ეკლესიის შესახებ“, სადაც მოგვითხრობს ეკლესიაში არსებულ იმჟამინდელ პრობლემებზე, დადებით და უარყოფით მხარე-



მარალისის მაცხოვრის ამაღლების ტაძარი, სადაც მოღვაწეობა დაიწყო მღვდელმა კონსტანტინემ

ებზე, საღვთისმეტყველო და საღვთისმსახურო ნიგნების თაობაზე, როგორი იყო სარწმუნოებრივი მდგომარეობა საქართველოში, აღწერს სამღვდელოების ცხოვრებას და ასე შემდეგ. ეს ნაშრომი ნაწყვეტ-ნაწყვეტ იბეჭდებოდა 1915 წელს ქ. თბილისში გამოშვალ გაზეთ „საქართველოში“.

1921 წელს ყვირილის (ეხლ. ზესტაფონის) წმ. დავით და კონსტანტინეს სახ. ტაძრის წინამძღვრად დაინიშნა. 1924 წლის 19 აგვისტოს გაზეთ „კომუნისტში“ გამოქვეყნდა ვინმე ს. ცუცქერიძის წერილი „მღვდლები მიწას ამჯობინებენ ზეცას“, სადაც ვკითხულობთ: „1924 წლის 8 აგვისტოს მოხდა ზესტაფონის რაიონის სამღვდელოების კრება, რომელსაც დაესწრო 25 მღვდელი. კრების თავჯდომარედ არჩეულ იქნა მღვდელი კოტე ანთაძე, მდივნათ მღვდელი ბიქტორ ბართაშვილი. დღის წესრიგში იდგა შემდეგი საკითხები: 1) ინფორმაცია სრულიად საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის დამატებითი მიწის კოდექსის მე-9 და მე-8 მუხლების შესახებ (მიწით სარგებლობა რელიგიური კულტის მსახურათვის), მოხსენების შემდეგ სამღვდელოებამ მიიღო შემდეგი რეზოლუცია, რომელშიც ნათქვამია შემდეგი: მოვისმინეთ რა მოხსენება სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილების მიწის კოდექსის მე-9 და მე-8 მუხლების შეფარდების შესახებ, ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერნი მღვდელი ზესტაფონის რაიონისა, აღვნიშნავთ, რომ მიწის მუშაობა საკუთარი შრომით არის საზოგადოებრივი სარგებლიანი შრომა და ჩვენც, გვსურს რა ვენეოდეთ საზოგადოებრივ შრომას და ვიქნეთ მშრომელთა საზოგადოების წევრი, ხმამალა ვაცხადებთ საზოგადოების და მის ხელმძღვანელ საბჭოთა ხელისუფლების წინაშე, რომ ჩვენ ვსტოვებთ დღეიდან მღვდელმოქმედებას. დღეიდან მივალთ სოფლის გლეხებთან არა როგორც მღვდე-



მღვდელი კონსტანტინე მუშალით და შვილებით

ლი, არამედ როგორც გლეხი — მიწის მუშა“. შემდეგ არის 24 მღვდლის ხელმოწერა და წერილის ბოლოს ავტორის მიწაწერი: „ვნახოთ თუ როგორ შეასრულებენ თავის დაპირებას ზემოხსენებული პირნი!“

მიუხედავად იმისა, რომ მან ხელი მოაწერა მღვდელ-მოქმედების არ შესრულების დოკუმენტს, გარკვეული პერიოდის შემდეგ, მან შენდობა ითხოვა და კვლავ განაახლა მსახურება. 1927 წელს 10 ოქტომბერს მას კვლავ ეკლესიაში ვხედავთ და იგი ზესტაფონის ტაძრის წინამძღვარია. 1928 წლის 30 სექტემბერს იმავე ტაძრის მეორე მღვდლად იხსენიება. 1929 წლიდან დეკანოზი კონსტანტინე აღარ იხსენიება მოქმედი სამღვდლოების რიგებში. ხელისუფლების მხრიდან ზენოლის შედეგად მან ისევ გაიხადა ანაფორა და საერო სამსახურში გადავიდა. 1930 წელს ხმაჩამორთმეულთა სიაში წერია, რომ იგი არის ყოფილი მღვდელი და ეწევა კოლმეურნეობაში მუშაობას. 1930 წელს ცაკის საორგანიზაციო განყოფილების გამგე გასცემს ცნობას, სადაც ვკითხულობთ: „მოქ. კონსტანტინე დავითის ძე ანთაძის განცხადება მისთვის უკანონოთ ხმის უფლების აღკვეთის შესახებ იმყოფება წარმოებაში ს. ს. ცაკში, რისთვისაც თანახმად არსებულ წესისა 1930 წ. 9/II ინსტ. №-44 ძალით, ის არ უნდა იქნეს აღკვეთილი არავითარ მოქალაქეობრივ უფლებებში გარდა საარჩევნო უფლებისა“. 1931 ან 1932 წელს იგი ქ. თბილისში შეიღებთან ჩამოდის საცხოვრებლად და ამიერკავკასიის რკინიგზის დირექციაში „თარჯიმანთა ბიუროში“ მთარგმნელად იწყებს მუშაობას. დეკანოზი

ნიკიტა თალაქვაძე თავის მოგონებებში წერდა: „დირექციაში მუშაობდა ჩემი ამხანაგი კოტე ანთაძე. ის პაპულია ორჯონიკიძემ მიიღო სამსახურში. დირექცია სავსე იყო „ჭეშმარიტი რუსებით“ და სომხებით, რომლებიც მთელი დღეები ინტრიგნობით იყვნენ დაკავებული, მაგრამ პაპულიას შიში ჰქონდათ. მათი საჩივრების წყალობით პაპულია მალე მოხსნეს თანამდებობიდან და მათ შვებით ამოისუნთქეს. ერთ დღეს ვინმე თუმანოვი მეკითხება: ვინ არის ის გრძელი ახალი მთარგმნელი, რომელიც ეხლახან მიუღიათო?! მე უპასუხე: ის გვარად ანთაძეა, სახელად კოტე ჰქვია, ტფილისის სას. სემინარია დასრულებულია, ლიტერატორია, რუსულ-ქართული ენის კარგი მცოდნეთქო. თუმანოვი ისევ მეკითხება: ის რალაც სასულიერო პირსა ჰგავსო! — მე უპასუხე: არამც თუ ჰგავს სასულიერო პირს, არამედ ქ. ზესტაფონში ღვდლობდა მეთქი“. ამ დღიდან გავიდა 10-12 დღე და მოსკოვის გაზეთში #230 დაიბეჭდა სტატია შემდეგი სათაურით: *духовное отделение в дирекции...* სადაც ეწერა, რომ დირექციაში ორი მღვდელია მოკალათებული, რომლებიც საგულდაგულოდ მალავენ თავის წარსულსო. მე ვამხილე ამის დამწერი თუმანოვი და ბურთი ჩავსჩარე პირში, თუმცა შესაძლებელია მალე ქუჩაში ამოვყო თავი, რადგან დაიწყო შემცირებები. 1933 წლის 10 იანვარს გამოცხადდა შტატების შემოკლება. 1500 მოსამსახურედან დატოვეს 1000. მე არ შემხებია შემოკლება, მაგრამ, სამწუხაროდ ქართველ მთარგმნელებში მოჰყვა „კოტე გრძელი“ — ანთაძე“. როგორც ამ მოგონებებიდან ვგებულობთ, კონსტანტინე უსამსახუროდ დარჩა, რამაც მძიმედ იმოქმედა მასზე. ყოფილი მოძღვარი ამ ამბიდან მალევე, 1933 წლის 22 დეკემბერს გარდაიცვალა. იგი დაკრძალეს იმავე წლის 26 დეკემბერს ვერის სასაფლაოზე. ჰყავდა მეუღლე ალექსანდრა მოსეს ასული (დაბ. 6.06.1872წ.) და შვილები: ისააკი (დაბ. 2.09.1900წ.), ლუარსაბი (დაბ. 2.01.1904წ.), შალვა (დაბ. 2.09.1907წ.).

წყარო: საქართველოს სახელმწიფო ცენტრალური საისტორიო არქივი, ფ. 489, აღწერა 1, საქმე №57614; საქართველოს უახლესი ისტორიის სახელმწიფო ცენტრალური არქივი, ფ. 284, აღწერა 1, საქმე №1731; საქმე №1996; საქართველოს საპატრიარქოს არქივი, აღწერა 1, საქმე №1630; Журнал „Духовный вестник Грузинского Экзархата“ 1895წ. №13; 1904წ. №15; Журнал „Вестник Грузинского Экзархата“ 1911წ. №10; 1916წ. №10-11; გაზეთი „ცნობის ფურცელი“ 1897წ. №323, გვ. 3; გაზეთი „სამშობლო“ 1916წ.; გაზეთი „კომუნისტი“ 1924წ., №187, გვ. 3; 1933წ. №296, გვ. 4.

ლიტ: დეკ. ნიკიტა თალაქვაძე „მოქალაქე-მღვდლის დღიურიდან“ ქ. თბილისი, 2013წ. გვ. 766-768.

მღვდელი გიორგი მაჩუროშვილი

ბთვისთ, გაზეთს გაუფრთხილდეთ მასში დაგეგმილი მასალის გამო
საბანკო ანგარიში: სს „ლიბერთი ბანკი“ ბანკის კოდი: LBRTGE22.
ანგარიში: № GE57LB0115123530407000. სახაზინო კოდი — 45 01 56.
რედაქტორის მოადგილის ელ.ფოსტა:
bokuchavanana1@gmail.com.
მის: ერეკლე II-ის მოედანი 1, საქართველოს
საპატრიარქოს პრესცენტრი. ტელ. 2 98-95-41

რედაქტორის მოადგილე: ნანა ბოკუჩავა ტ: 599 23 10 54
სარედაქციო კოლეგია: მიტროპოლიტი დიმიტრი
(მოლაშვილი), მარიამ გავუა, ნინო გავომავილი,
თამარ ასათიანი, მღვდელი გიორგი მაჩუროშვილი, ია ხაზ-
არაძე, სერგო კერესელიძე, ბულაღტერი: ელასი ჯიბლაძე;
გაერცელბა: ცარი ვარდიშვილი, მამუკა კვაჭანტირაძე;
დასავ. საქართველოში გაერცელბა ზახა უგულავა 595343056
დამკაბადონებელი: ვალერიან ჯულელი



ისტორიის ფურცელი

მღვდელი დიმიტრი ციქუბაძე 1860-1936


მღვდელი დიმიტრი სოლომონის ძე ციქუბაძე 1860 წელს თბილისის გუბერნიაში, სიღნაღის მაზრის სოფ. კაკაბეთში, გლეხის ოჯახში დაიბადა. 1880 წლის 8 ივნისს იგი ქვათახევის მონასტერში მორჩილად მიიღეს, სადაც წმინდა წერილი, გალობა და საეკლესიო ტიპიკონი ისწავლა. 1886 წლის 29 სექტემბერს კაკაბეთის წმ. მარინეს სახ. ტაძრის უშტატო მედავითნედ დაინიშნა. 1887 წლის 14 მაისს თბილისის კარის წმ. გიორგის სახ. ტაძარში გადაიყვანეს. 1891 წლის 10 მაისს სასულიერო უწყებაში მიიღეს და შტატში დაამტკიცეს. 1908 წლის 4 ოქტომბერს მღვდლად დაასხეს ხელი და ვეჯინის წმ. იოანე ღვთისმეტყველის სახ. ტაძრის წინამძღვრად დაინიშნა. 1914 წელს საგვერდულით დაჯილდოვდა. 1920 წელს ბოდბისხევის წმ. კვირიკესა და ივლიტას სახ. ტაძარში დაადგინეს. 1922 წლის 25 ივლისს მღვდელმა დიმიტრიმ მთავარხუცეს, დეკანოზ მიხეილ მენტეშაშვილს კაკაბეთის წმ. მარინეს სახ. ტაძარში გადაყვანზე შუამდგომლობა სთხოვა, რაც მალევე დაუკმაყოფილდა.

1923 წელს, ეკლესიების საყოველთაო დაკეტვის პერიოდში, იძულებული გახდა დროებით მიეტოვებინა მსახურება. ამავე პერიოდში, სოფ. კაკაბეთში ჩამოართვეს სახლი და მიწა, რაც შემდგომში გაასაჩივრა. შევიწროებული მოძღვარი იძულებული გახდა თავი თბილისში, ქალიშვილებთან შეეფარებინა, სადაც ერთი-ორი წელიწადი გაჩერდა. 1924 წლის ბოლოდან ხელისუფლებამ გამოსცა დეკრეტი, რის შემდეგაც, კვლავ გაიხსნა ეკლესიები და სამღვდელოებას მიეცა საშუალება მსახურების გაგრძელებისა. მღვდელი დიმიტრიც ამოქმედდა და გადაწყვიტა, 1923 წელს კაკაბეთში დაკარგული ქონება დაებრუნებინა. 1925 წლის 28 თებერვალს იგი ცენტრალურ სააღმსრულებლო კომიტეტს სწერდა: „В сел. Какабеты Сигнахского уезда я имел на права собственности маленькую избенку, каторую в 1923 г. отобрала у меня по постановлению земской комиссий.

Основанием отобрания у меня домика послужила неверное сведение о том, что, будто, я в Тифлисе имею недвижимость. Представляемое при сем удостоверение старшего нотариуса 1923 г. за №1094 опровергает целиком основание, по которому состоялас отобрание дома. мне уже скоро 60 л. обремененный семьею, состоящего из жены и двух незамужних дочерей. сам я тоже закратня церкви в сел. Какабеты не имея прихода и средств к существованию. в виду того, что существует декрет, на оснований котораго не имели право отбират дом как единственный источник существования, а также

в виду того, что я старик и болной, не способный к работе – а также в виду того, что отобрание моего домика было результатом неверных сведение о моем имущественном положений – я прошу о возвращений мне сел. Какабеты моего дома, как незаконно отобранного“. იმავე წლის 29 აპრილს სიღნაღის მაზრის აღმასრულებელი კომიტეტი ცაკის საქმეთა მმართველობას წერდა, რომ დიმიტრი ციქუბაძის მიერ ამავე წლის თებერვალში წარდგენილი წერილი არ შეესაბამება სიმართლეს. რომ მას, ციქუბაძეს, სოფ. კაკაბეთში არავითარი სახლი არ ჩამოართმევია და არც ჰქონია, მას სამოცი წლის განმავლობაში უცხოვრია ქ. თბილისში და არა კაკაბეთში და ახლა ის კაკაბეთში დროებით სტუმრად ყოფილა თავის ქალთან. როგორც ვხედავთ, ხელისუფლება არ აპირებდა მამა დიმიტრისთვის წართმეული სახლის დაბრუნებას და ცრუ ბრალდებებით ცდილობდა თავისი უსამართლო დადგენილების გატანას ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტში.

1925 წლის 25 ოქტომბერს ბოდბელ ეპისკოპოსად არქიმანდრიტ სტეფანეს (კარბელაშვილი) დაასხეს ხელი, რომელიც იმავე წლის ნოემბრიდან შეუდგა ეპარქიის მართვას. მის დანიშვნას ადგილობრივი სამღვდლოება დიდი სიხარულით შეხვდა. ეპისკოპოსი სტეფანეც ჩასვლისთანავე აქტიურად შეუდგა ეპარქიის აღორძინების საქმეს. დაიწყო დაკეტილი და გაუქმებული ტაძრების შემოვლა-დათვალიერება და კურთხევები. რომელი ტაძარიც დანგრეული არ იყო, სწრაფად აღასრულეს მისი ხელახლა სატფურება (კურთხევა). მღვდელი დიმიტრიც კვლავ ჩაება საეკლესიო ცხოვრების ფერხულში და 1926 წლის 28 მარტს ეპისკოპოსს სტეფანეს წერილი მისწერა: „მის მეუფებას ეპისკოპოსს სტეფანე ბოდბელს — სიღნაღის მაზრის სოფელ კაკაბეთში მცხოვრები მღვდელ დიმიტრი ციქუბაძის თხოვნა: ვთხოვთ, თქვენო მეუფებავ, გამამწესოთ ჩემ სამშობლო კაკაბეთში და სოფელ ჩალაურის მღვდლად სიღნაღის მაზრაში და დროებით მომანეროთ სოფელი ჭერემი. ამასთანავე, ვთხოვ მის მეუფებას, სანამ ეკლესიებს მოვანესრიგებდე, დიაჩოქი არავინ გაამწესოთ, რადგან ეკლესიები სრულებით მოშლილია შიგნით თუ გარეთ და არც საეკლესიო წიგნები და საღვთისმსახურო ნივთები მოიპოვება, სანამ ამეებს შევაგროვებდე და მოვანყოლებდე. შემდეგ მოვახსენებ თქვენს მეუფებას ეკლესიების საკურთხებლად და შემდეგ დიაჩოქი, ვინც თქვენი ნება იქნება, ის იყოს. ამასთანავე, ვადგენ



კაკაბეთის ღვთისმშობლის ეკლესია, სადაც გოლოს მსახურობდა მღვდელი დიმიტრი

კაკაბეთის მორწმუნეთა სიებს ორ ცალად“. ამ თხოვნას ეპისკოპოსმა სტეფანემ შემდეგი მინაწერი გაუკეთა: „გამოცხადდეს მღვდელი ციქუბაძე ჩემთან 15 აპრილს და შემოიტანოს თხოვნა დასამტკიცებლად“. რადგანაც კაკაბეთის ღვთისმშობლის ტაძრად მიყვანების ეკლესია გაუქმებული იყო და მისი აღდგენა ვერ მოხერხდა, ამიტომ ეპისკოპოსმა სტეფანემ მღვდელი დიმიტრი მოქმედ ჩაილურის წმ. გიორგის სახ. ტაძრის წინამძღვრად განამწესა. როგორც შემდეგ ნაწარმოები საეკლესიო საბუთებიდან ჩანს, მღვდელი დიმიტრი არ დაემორჩილა ეპისკოპოს სტეფანეს ბრძანებებს და მას რამდენიმე საყვედურიც გამოეცხადა. 1927 წლის 30 დეკემბერს ეპისკოპოსი სტეფანე თავის პირად დღიურში წერდა, რომ მღვდელი დიმიტრი ციქუბაძე არ ემორჩილება თავისი ოლქის მთავარხუცესს, დეკ. ვასილ ნათაძეს და ხშირად არღვევს საეკლესიო კანონებსო.

1928 წლის 4 სექტემბერს მღვდელი დიმიტრი ყანდაურას წმ. გიორგის სახ. ტაძარში მსახურობდა და ასევე აქცევდა ყურადღებას კაკაბეთისა და ჩაილურის სამრევლოებს. 1928 წლის 30 სექტემბერსა და 1929 წლის 4 იანვარს შედგენილ ბოდბის ეპარქიის სამღვდელთა ჩამონათვალში უკვე კაკაბეთის ღვთისმშობლის გაუქმებული სამრევლოს წინამძღვარია და ჩაილურის სამრევლო აბარია.

როგორც ჩანს, მას არც ბოდბის შემდეგ მღვდელმთავართან, იოანესთან (მარლიშვილი), ჰქონია კარგია ურთიერთობა, რასაც მისი აღნიშნული სამრევლოებიდან დათხოვნა მოჰყვა. აი, რას წერდა იგი 1929 წლის 24 აგვისტოს მიტროპოლიტ იოანეს (მარლიშვილი): „უმორჩილესად ვთხოვ თქვენ მაღალ მეუფებას მიბრძანოთ, რა მიზეზით გამომიყვანეთ კაკაბეთის წმ. მარინეს ეკლესიის ყოფილ სამრევლოდან და ჩააბარეთ დროებით ყანდაურას მღვდელ დავით ხატიაშვილს და სოფელ ჩაილურის სამრევლოთაგან და დროებით ჩააბარეთ სხვა ეპარქიის მანავის მღვდელ ლაშაურს, ვთხოვ



მღვდელ დიმიტრის ქალიშვილი - ნინო მეზობლის ბავშვებთან

თქვენს მაღალ მეუფებას, წერილობით მიბოძოთ თქვენი რეზოლუცია ჩემი გამოყვანის თაობაზე“.

1931 წლის 12 მაისს ბოდბის ეპარქიის დროებითი მმართველი, წინონმინდელი ეპისკოპოსი იეროთეოზი (აივაზაშვილი) სრულიად საქართველოს საკათალიკოსო სინოდს წერდა: „აღსასრულებლად მისი უნეტარესობის ა/წ აპრილის 24 #457 განკარგულებისა წარმოვადგენ ბოდბის ეპარქიის ამ უამად მოქმედ ეკლესიათა და კრებულის წევრთა სიას: 1) კელმეჩურის წმ. გიორგის — დეკ. ღვთისაგარიშვილი; 2) ველისციხის წმ. იოანე ნათლისმცემლის — მღვდ. გ. ტაბლიაშვილი; 3) კაკაბეთის სამრევლოს — მღვდ. დ. ციქუბაძე; 4) ანაგის სამრევლოს — დეკ. ი. მერებაშვილი“. როგორც ვხედავთ, 1931 წლის 12 მაისს ბოდბის ეპარქიაში ოთხი სამრევლოდა მოქმედებდა და ოთხი მღვდელი მსახურობდა, რომელთა შორის მღვდელი დიმიტრიც მოიხსენიება.

1933 წელს უკვე ყოფილი მღვდელი კაკაბეთის სოფლის საბჭოს თავმჯდომარეს წერდა: „ხუთ წელზე მეტია, რაც მღვდლობას თავი დავანებე და არავითარ მღვდელმოქმედებას არ ვასრულებ. საბჭოს პრეზიდიუმის მიერ მქონდა აღძრული შუამდგომლობა და დღემდე მაინც არა მაქვს აღდგენილი ხმის უფლება. გთხოვთ გამოიკვლიოთ, რაშია საქმე და აღმიდგინოთ ხმის უფლება. ვარ 80 წლის და მინდა ვიყო შვილის კმაყოფაზე“. უნდა ითქვას, რომ ამ წერელში მოძღვარი არ ასახავს თავის რეალურ მდგომარეობას, სინამდვილეში, 1933 წელს მას ორი წლის დანებებული ჰქონდა მღვდლობისათვის თავი. თავის მხრივ, კაკაბეთის სოფლის საბჭოს თავმჯდომარე სილნალის მაზრის ცაკის თავმჯდომარეს სწერდა: „მოქ. დიმიტრი სოლომონის ძე ციქუბაძე, ყოფ. მღვდელი 1929 წლამდე. თვითონ არის 80 წლის მოხუცი, მუშაობა არ შეუძლია, არჩენენ შვილები ტფილისიდან (მასწავლებელი და ბუღალტერი). სასოფლო საბჭო შუამდგომლობს, რა-



კათოლიკოს-პატრიარქი ანტონი (ხელაია) სტუმრად სიღნაღის მაზრაში. 1922 წელი.
მისამდე რიგში მარცხნიდან მესამე - მღვდელი დიმიტრი ციქუბაძე

თა აღდგენილ იქნეს საარჩევნო უფლებებში, რაც კანონიერია როგორც სათანადო სტატუსის მქონე.

მღვდელი დიმიტრი 1936 წლის 14 იანვარს გარდაიცვალა. გაზეთ „კომუნისტი“ გამოქვეყნდა პატარა ნეკროლოგი: „დამნუხრებული შვილები - ნინო და თამრო - აუნყებენ ნათესავებსა და მეგობრებს ძვირფასი დიმიტრი სოლომონის ძე ციქუბაძის გარდაცვალებას. დაკრძალვა ს. კაკაბეთში, 18 იანვარს“.

ჰყავდა მეუღლე - ბარბარე გიორგის ასული (დაბ. 1867წ.) და შვილები: ნიკოლოზი (დაბ. 1889წ., ღამე ღამეა დარჩა ანთებული და ღრმად ჩაძინებული ქვარტლისაგან გაიგუდა), სოლომონი (1892-1916წ., იყო სოფ. ტატიანოვკას სკოლის პედაგოგი, დაკრძალულია კუკის წმ. ნინოს სასაფლაოზე), ნინო (1894-1978 წწ.), თამარი (დაბ. 1896წ., პროფესიით პედაგოგი), არჩილი (დაბ. 1902წ., გარდაიცვალა ადრეულ ასაკში, ერთი ვერსიით მსახურობდა იუნკ-

რად და დაიღუპა კოჯრის ბრძოლაში). სამწუხაროდ, არცერთ შვილს ოჯახი არ შეუქმნია და, შესაბამისად, არც მემკვიდრე დარჩათ.

წყარო: საქართველოს სახელმწიფო ცენტრალური საისტორიო არქივი, ფ. 489, აღწერა 1, საქმე №48566; საქმე №57668; საქართველოს უახლესი ისტორიის სახელმწიფო ცენტრალური არქივი, ფ. 284, აღწერა 1, საქმე №2745; საქმე №3247; კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ვ. კარბელაშვილის ფონდი, საქმე №54; საქართველოს საპატრიარქოს არქივი, აღწერა 1, საქმე №729; საქმე №1446; საქმე №1630; საქმე №1800; საქმე №1955; საქმე №1996; Журнал „Вестник Грузинского Экзархата“ 1914წ. №7; გაზეთი „სახალხო ფურცელი“ 1917წ. №780, გვ. 1; გაზეთი „კომუნისტი“ 1936წ. №15, გვ. 4.

მღვდელი
გიორგი მაჩუროშვილი

თუ თქვენს საოჯახო არქივში მოიპოვება სასულიერო პირთა და საპატრიარქოს ეკლესია-მონასტერთა ფოტოები, გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ, რათა ერთობლივი ძალისხმევით დავინახოთ და დავინახოთ ისინი.
ჩვენი ტელეფონები: 593 19 36 04; 599 88 66 90; 2 32 48 66; 2 98 95 41

გთხოვთ, გაუზიაროთ ჩვენს მასალას და გთხოვთ, დაგვიწეროთ მასალის გამოცემის ანგარიში: სს „ლიბერთი ბანკი“ ბანკის კოდი: LBRTGE22. ანგარიში: № GE57LB0115123530407000. საბანკო კოდი — 45 01 56. რედაქტორის მოადგილის ელ.ფოსტა: bokuchavanana1@gmail.com. მის: ერეკლე II-ის მოედანი 1, საქართველოს საპატრიარქოს პრესცენტრი. ტელ. 2 98-95-41

რედაქტორის მოადგილე: ნანა ბოკუჩავა ტ: 599 23 10 54
სარედაქციო კოლეგია: მიტროპოლიტი დიმიტრი (შილაშვილი), მარიამ გაგუა, ნინო გაგომაშვილი, თამარ ასათიანი, მღვდელი გიორგი მაჩუროშვილი, ია ხაზარაძე, სერგო კერესელიძე, ბუღალტერი: ვლასი ჯიბლაძე; გვერდები: ცარო ვარდიშვილი, მამუკა კვაჭანტირაძე; დასავ. საქართველოში გვერდები: ზაზა უგულავა 595343056
დამკავშირებელი: ვალერიან ჯულელი



ში მცხოვრებთ, იმ ქალაქში, რომელიც მთელი გულით შევიყვარე”.

პატრიარქმა ქადაგება შემდეგი სიტყვებით დაასრულა:

„პატიოსანმა ჯვარმა, რომელსაც ორივე ერი თაყვანს სცემს, დაე, მიმადლოს მათ სამართლიანობა და დადგეს მშვიდობიანი აღდგომა!“

ამსტერდამის რუსული მართლმადიდებლური ეკლესიის სასულიერო პირები კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს იურისდიქციაში გადასვლას ითხოვენ

2022 წლის 12 მარტს ამსტერდამის წმინდა ნიკოლოზის სახელობის რუსული მართლმადიდებლური ეკლესიის სამრევლო საბჭომ საგანგებო შეხვედრა გამართა. შეხვედრის საფუძველი გახდა ის მუქარა, რომელიც მიმართულია სამრევლოს წინააღმდეგ, რუსეთის მიერ უკრაინაში შეჭრის გამო.

შეხვედრაზე ერთმნიშვნელოვნად აღინიშნა, რომ უკვე შეუძლებელია მოსკოვის საპატრიარქოს ფარგლებში ფუნქციონირება და მორწმუნეთათვის სულიერად უსაფრთხო გარემოს შექმნა. აქედან გამომდინარე, აღნიშნული ეკლესიის სასულიერო პირებმა ჰააგის რუსული მართლმადიდებლური ეკლესიის მთავარეპისკოპოს ელისეს სთხოვეს შესაბამისი კანონიკური საშუალებებით დახმარება და მსოფლიო საპატრიარქოს იურისდიქციაში გადასვლა.

მათ აგრეთვე გააგზავნეს თხოვნა ბელგიის, ნიდერლანდებისა და ლუქსემბურგის მოტროპოლიტ ათენაგორთან (კონსტანტინოპოლის საპატრიარქო), მიიღოს ისინი თავის ეპარქიაში. პასუ-

ხად მიტროპოლიტმა მზადყოფნა გამოთქვა, განიხილოს აღნიშნული საკითხი.

ცოტა ხნით ადრე სასულიერო პირებმა ასევე განაცხადეს, რომ ისინი აღარ იხსენიებდნენ რუსეთის პატრიარქ კირილეს, რადგან იგი მხარს უჭერს უკრაინაში რუსეთის შეჭრას.

სამრევლო საბჭომ გადაწყვიტა, სრულად დაუჭიროს მხარი სასულიერო პირების მოთხოვნას და, თავის მხრივ, აღნიშნულის შესახებ წინადადებები განიხილოს სამრევლოს გენერალურ კრებაზე 2022 წლის 26 მარტს.

„ომი ვერასდროს იქნება ადამიანური უთანხმოების მოგვარების საშუალება“, — საბერძნეთის ეკლესიის წმინდა სინოდი

2022 წლის 14 მარტს, საბერძნეთის მართლმადიდებელი ეკლესიის მუდმივმოქმედი წმინდა სინოდის მარტის პირველი სხდომა გაიმართა.

მუდმივმოქმედმა სინოდმა, რომელიც ათენის მთავარეპისკოპოს იერონიმეს თავმჯდომარეობით შეიკრიბა, გამოხატა მწუხარება და შეშფოთება უკრაინაში მიმდინარე ომის გამო. სინოდმა აღნიშნა, რომ შეუძლებელია ომი რაიმე ადამიანური უთანხმოების მოგვარების საშუალება იყოს, რაც უნდა მნიშვნელოვანი იყოს ეს უთანხმოება.

ამასთან, აღინიშნა ასევე, რომ საბერძნეთის ეკლესია თანამშრომლობს მიგრაციის სამინისტროსთან, სამთავარეპისკოპოსოსა და სამიტროპოლიტოებს სახელმწიფოსათვის უკვე გადაცემული აქვთ ის ადგილები, სადაც განთავსდებიან უკრაინელი ლტოლვილები, განსაკუთრებით — ბავშვები და მეურვეების გარეშე დარჩენილი არასრულწლოვანები.

ისტორიის ფურცელი
არქიმანდრიტი გაბრიელი (აბაშიძე)

II ნაწილი

1913 წლის სექტემბერში არქიმანდრიტ გაბრიელის თაოსნობით მონასტერში გაიხსნა ერთკლასიანი სასწავლებელი. აი, რას წერდა ამის შესახებ გაზეთ „სახალხო ფურცელში“ იმავე მონასტრის მორჩილი, მედავითნე ფარნაოზ ზაბახიძე (შემდგომში — მღვდელი): „ჯრუჭის მონასტერში გაიხსნა ერთკლასიანი სამრევლო სკოლა. ოც სექტემბერს ამ სკოლაში სწავლა დაიწყო. ორმოცამდე ადის მოს-


წავლეთა რიცხვი. ეს პირველი წელიწადია და მომავლისთვის მოსალოდნელია ერთი სამად მეტი იყოს, რადგანაც ეტყობა, სწავლის მსურველი ბევრია. სკოლა ყველას ეახლოვება და ბავშვებს შეუძლიათ თავის სახლიდან იარონ. ამის მოლოდინში ამ მონასტრის წინამძღვარს, არქიმანდრიტ მამა გაბრიელს, აზრადა აქვს, მომავალი წლიდან ორკლასიანად გადააკეთოს. ამ მონასტერშივე მამა არ-

ქიმიანდრიტმა დააარსა ორი წლის სამედავითნეო კურსი, რ-იც იმერეთის ეპარქიაში არ არსებობდა. ჯერჯერობით მოსწავლე შეიღამდის არის და თანდათან მთხოვნელთა რიცხვი უფრო მატულობს, რადგან მონასტერში სწავლა უფასო იქნება, მაშინ, როდესაც ქუთაისში სამედავითნეოდ მომზადებისათვის ორას-სამასი მანეთი არ ჰყოფნის“.

მამა არქიმანდრიტ გაბრიელსა ჰსურს, შეიძინოს რამდენიმე მიწის სამუშაო მანქანები, რომელიც პირველად სამონასტრო ადგილში იმუშავებს და, თუ გამოდგა, ადგილის მიხედვით, მცხოვრებლებსაც შეუძლიათ ისარგებლონ ამ მანქანებით. ჯრუჭის მონასტერი მთავრობის მიერ პირველ ხარისხოვანად არის მიწერილი და, მართლაც, ეს მონასტერი ყველა ქართულ მონასტრებს აღემატება სიმდიდრით, როგორც ეკლესიური ძვირფასი სამკაულით, ისე სხვა უძრავი ქონებით, რადგან ამ მონასტრის ქონება ხაზინაზე არ გადასულა და ისევ მონასტერს აქვს შენარჩუნებული. თუ ყოველთვის ისეთი ხალხის გულშემატკივარი წინამძღვარი ეყოლება ამ მონასტერს, როგორც არის მამა გაბრიელი, ბევრი რამე შეუძლიან გააკეთოს მონასტრისა და ხალხის სასარგებლოდ“.

1915 წლის 26 იანვარს (ძვ. სტ.) გარდაიცვალა ქართველი მწერალი აკაკი წერეთელი. 5 თებერვლიდან, პანაშვიდების დროს, მუდმივი თანამწირველი იყო არქიმანდრიტი გაბრიელი, რომელიც ამ დღეს ჩამოჰყვა სამგლოვიარო მატარებელს თბილისში. მან საღამოს პანაშვიდშიც მიიღო მონაწილეობა, თუმცა ძალზე დაღლილი იყო. იგი შემოსილი გამოჰყვა საჩხერიდან სამგლოვიარო პროცესიას. გზადაგზა, სადაც მატარებელს დეპუტაციები უხვდებოდნენ, არქიმანდრიტი გაბრიელი მატარებლიდან მუდმივ სადგურებზე გადმოდიოდა და ლოცვა-კურთხევას აძლევდა შეგროვილ ხალხს. მატარებელში მყოფმა წარმომადგენლებმა შენიშნეს, რომ არქიმანდრიტი გაბრიელი სწუხდა. ამაზე მან მოკლედ უპასუხა: „მოვალე ვარ, ასე მოვექცე დიდებულ მამულიშვილის ხსოვნას; კათალიკოსი რომ გვყავდეს, ისიც ასე მოიქცეოდაო“.

1915 წლიდან ისევ განახლდა საჩივრების წერა არქიმანდრიტ გაბრიელის წინააღმდეგ. 1915 წლის 10 სექტემბერს სოციალ-დემოკრატიული (მენშევიკები) მიმართულების გაზეთ „თანამედროვე აზრში“ უცნობი კორესპონდენტი, ფსევდონიმით „ქანოშვილი“, ჯრუჭის წინამძღვრისა და ადგილობრივ გლეხების დაპირისპირებაზე წერდა: „ყოველი კუთხიდან ისმის დაჩაგრულთა ქომაგის ხმა, მაგრამ ამ დალოცვილ ჯრუჭის უდაბნოელებზე კრინტსაც არავინ სძრავს. უძველესი მონასტრის გამგე, არქიმანდრიტი გაბრიელი, რომელიც კვერთხით ხელში ქრისტეს დიად მოძღვრებას ქადაგებს,



ჯრუჭის მონასტერი

თვისი მოქმედებით სრულიად მოწინააღმდეგეთ გამოდის, მაგალითებს აქვე ვასახელებ: სამესამედო საღალთ დადებული ყანები სანახევროდ გახადა; განუზომელ სივრცის ყანებს თვით მომუშავეთ არაგვინებს; ველად გაშვებულ ადგილებში გლეხებს საქონელს აჭერიანებს და სასყიდელს ახდევინებს; წელს მთებში პურები არავის დაათესინა, რადგან მონასტრის კალოზე გლეხებისაგან მიზიდული პურები, გლეხებმაც არ გაულენეს; ბესარიონ ჩიღვინაძე ორ დღესა და ღამეს თავის ეზო ყანების სარაგავათ ჰყავდა დაჭერილი; ამ დროს ჩიღვინაძის ოჯახს სარჩო შემოაკლდა და მისი პატარა, 12-13 წლის ქალი, დღე და ღამის ძებნის შემდეგ, შიმშილით უსულგულოთ, ტყეში დაგდებული ნახეს; მოხუც ბერებს დღიურ საზრდოს გირვანქობით ურწყავს. ყველა ამას სჩადის იმ დროს, როდესაც მის განკარგულებაში არსებული მონასტრის შემოსავალი ჩვეულებრივზე ერთი-ორათ სჭარბობს. მოკლეთ რომ ითქვას, 200 მეკომურის სოფ. მოხველების, ცხომარეთელების, ქვემოხველების და უზუმთელების მდგომარეობა კატორღისებურ ცხოვრებას წარმოადგენს, მაგრამ უფლება ძლევა-მოსილი ბატონ-პატრონი არქიმანდრიტი გარშემო გლეხთა გაჭირვებაზე ერთხელად არ დაფიქრებულა. სხვას გარდა იქამდისაც კი აღწევს მისი თვითნებობა, რომ სახელმწიფო გზაზე მიმომსვლელ გლეხებს პასპორტებს სთხოვს დარაჯის პირით. ადგილობრივ გლეხთა ცხოვრება, მათდა საუბედუროთ, სამონასტრო მამულთან მჭიდროთ დაკავშირებულია და მამა არქიმანდრიტიც კარგათა გრძნობს თავს. რომ უმამულო გლეხები გასავალ გზას დაშორებული არი-

ან. დიდ ბობოლათა და ბრწყინვალეთათვის მუდამ სუფრა გაშლილი აქვს და გლეხთათვის კი ნასუფრალს არ იმეტებს. იმედია, სასულიერო მთავრობა გლეხთა უმწეო მდგომარეობას გამოესარჩლება“.

1917 წლის გაზაფხულზე ჯრუჭის მონასტერში საჩივარი კიდევ დაიწერა, ამჟამად ბერები და გლეხები ერთსულოვანნი აღმოჩნდნენ. აი, რას წერდა ამასთან დაკავშირებით სოციალ-დემოკრატიული (მენშევიკები) მიმართულების გაზეთ „ერთობაში“ უცნობი ავტორი, ფსევდონიმით „ბიდაურელი“: „ღარის წყალი (საჩხერის რაიონი). 10 აპრილს შესდგა ჯრუჭის მონასტრის გარშემო სოფლელების და მონასტრის კრებულის ყრილობა, რომელსაც მიზნათ დასახული ჰქონდა მონასტრის წინამძღვრის მოქმედებაზე მსჯელობა. კრებაზე ბევრი საჩივრები გამოითქვა როგორც ხალხის, ისე კრებულის მხრით. გამოითქვა: კრებულის მიმართ უდიერად მოპყრობა, ორასი კომლი, მონასტრის მამულში მომუშავე გლეხების მონობის უღელქვემ ყოფნა; მონასტრის და მისი მამულების შემოსავლის, რაიცა წლიურად უდრიდა 4-5 ათას მანეთს, უკონტროლოდ ფლანგვა და ბევრი სხვა. კრებამ გამოიტანა შემდეგი რეზოლუცია: „მივიღეთ რა მხედველობაში, რომ წინამძღვარი, არქიმანდრიტი გაბრიელი (აბაშიძე) თავის მიმართულებით და მორალური მხარეებით, არ შეეფერება მონოდებას, მოეთხოვოს ქუთაისის საოლქო სასულიერო აღმასრულებელ კომიტეტს: 1) დაუყონებლივ გადაყენებულ იქნეს იგი თანამდებობიდან და მოეთხოვოს ანგარიში — მონასტრის და მისი მამულის, დღიდან მისი დანიშვნისა ამ წლის პირველ მარტამდის; 2) დანიშნულ იქნეს მონასტრის და მისი მამულის დროებით მმართველად, ნდობით აღჭურვილი, აწინდელი ეკონომოსი აბიბოსი (მაჭუტაძე). დაადგინეს შესდგეს კომისიები, რომლებიც მოაწესრიგებს მიწების ღალის მინიმუმს. და ბოლოს, კრება მიესალმება-რა დროებით მთავრობას, ხელს უწვდის პეტროგრადის ჯარისკაცთა და მუშათა დეპუტატების საბჭოს და მოითხოვს მებრძოლ ერებთან სამშვიდობო ზავის შეკვრას, უანექსიოთ და უკონტრიბუციოთ. მისალმება გაიგზავნა პეტროგრადში დეპუტატთა“. საეკლესიო მმართველობა იძულებული გახდა, საქმის გამორკვევა ქელიშის მონასტრის წინამძღვრის, ილუმენ პავლესთვის (ჯაფარიძე) და ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის მასწავლებლის, იაკობ თომას ძე ცინცაძისათვის დაევალებინათ. ადგილზე სიტუაციის გარკვევის შემდეგ კომისიამ დაასკვნა: „ამ დიდებულ მონასტერს სჭირდება მეტი ყურადღება და მეტი სიყვარული, ვიდრე ეს ჩანს დღევანდელ მის მზურნველთაგან“.

1917 წლის მაისში იმერეთის ეპარქიალურმა მმართველობამ არქიმანდრიტი გაბრიელი გაათავისუფლა

მონასტრის წინამძღვრობიდან და ქელიშის მონასტრის წინამძღვრად დაინიშნა. 1917 წლის 20 ივნისს ქელიშის მონასტრის კრებული იმერეთის ეპარქიალურ კომიტეტს სწერდა: „ჩვენ, კრებული ქელიშის მიძინების მონასტრისა, ვაძლევთ ამა მოწმობას ამავე მონასტრის წინამძღვარს, არქიმანდრიტ გაბრიელს, მას შინა, რომ იგი მობრძანდა მონასტერში პირველად მაისის თვეში და რადგანაც მონასტრის ქონებათა სია ქონდა წაღებული ილუმენ პავლეს, ამიტომ მონასტერი მაშინ ვერ ჩაიბარა უსიოთ და გაემგზავრა იმ სიის მოსატანად. მეორეთ მობრძანდა ამ ივანობის თვეში და ბრძანდებოდა მონასტერში, ხოლო დღეს მიემგზავრება ქუთაისში და თბილისში მონასტრის საქმეების შესახებ, ხოლო ყოველივე მონასტრის ქონება, სია და ღერბი ჩაბარებულია ამავე მონასტრის კაზნაჩეის ილუმენს მამა იოანეს და მონასტრის მოვლა და გამგებლობა დაგვაკალა ჩვენ კრებულს და მოვალენი ვართ ყველანი მონასტერს მოუაროთ, რასა შინა ვამონებთ ამას ხელის მოწერითა და სამონასტრო ღერბის დასმითა“. როგორც ამ წერილიდან ირკვევა, არქიმანდრიტი გაბრიელი მაისის თვეში ჩასულა ქელიშში, მაგრამ მონასტრის ქონების სიის არქონის გამო, ქელიშის სავანე ვერ ჩაიბარა. ივნისის თვეში ხელმეორედ ჩასვლის შემდეგ, ჩვენთვის უცნობი მიზეზების გამო, მან აღარ იწევა ქელიშის მონასტრის წინამძღვრობა და 1917 წლის 1 ივლისს იმერეთის ეპარქიალურ კომიტეტს წერილი გაუგზავნა: „ვინაითგან მრავალ მიზეზისა გამო არ ძალმიძს ქელიშის მონასტრის მართვა-გამგეობა და ვმაცადინობ, რათა მიმიღონ თბილისის ფერისცვალების მონასტერში მღვდელ-მონაზონის ადგილზედ, ამისთვის, უმორჩილესად გთხოვთ, დღეიდან განთავისუფლებულ-მყოფ ქელიშის მონასტრის წინამძღვრობიდან და მომეცეს შესაფერისი მოწმობა საცხოვრებლად რუსეთის სამფლობელოში. ამასთანავე, ვაღებულები ვარ მოვახსენო იმერეთის ეპარქიალურ კომიტეტს, რომ ყოველივე მონასტრის ქონება და ღერბი ჩაბარებული აქვს ქელიშის მონასტრის კაზნაჩეის და კრებულს, და იმ შემთხვევაში, როცა მე არ ვიმყოფები მონასტერში, იგინი ერთად მართავდნენ მონასტერს. დასამტკიცებლად ამისა, წარმოვადგენ ამასთანავე კრებულის მიერ მოცემულ მოწმობას“. 1917 წლის 5 ივლისს იმერეთის ეპარქიალური კომიტეტის თავჯდომარემ, არქიმანდრიტმა ნესტორმა (ყუბანიეშვილი) იგი დაითხოვა წინამძღვრობიდან და მისცა შესაფერისი მოწმობა თბილისში წასასვლელად. ამ ეტაპზე უცნობია, თუ სად წავიდა არქიმანდრიტი გაბრიელი ან სად გააგრძელა მოღვაწეობა. ამ დროს ხომ იგი ჯერ კიდევ ახალგაზრდა, ჯან-ლონით სავსე კაცი იყო და, ჩვენი აზრით, ბევრი სარგებელის მოტანა შეეძლო ავტოკეფალიადადგენილი ქართუ-

ლი ეკლესიისათვის და ტანჯული სამშობლოსათვის. გულსატკეპნია, რომ ვერ მოხერხდა ათონზე მიღებული მისი ცოდნისა და გამოცდილების ჯეროვანი დაფასება, მისი აკადემიური განათლების გამოყენება, ენების ცოდნა. საეკლესიო საბუთების სიმწირიდან გამომდინარე, ვერ ვხატავთ ზუსტ სურათს, თუ რა გახდა სინამდვილეში მისი დევნის რეალური საბაბი, მართლა ეს საჩივრები იყო ამის მიზეზი და სხვა რაიმე უფრო მნიშვნელოვანი გადაცდომები. ერთი რამ ფაქტია, აქედან მოყოლებული არქიმანდრიტი გაბრიელი საერთოდ გაქრა საეკლესიო ასპარეზიდან.

1921 წელს საქართველოში დამყარდა კომუნისტური დიქტატურა და ხელისუფლებამ სამღვდელოების დევნა-შევიწროება დაიწყო. ბევრმა ვერ გაუძლო ზენოლას, მღვდლობა მიატოვა და საერო სამსახურში დაიწყო მუშაობა. როგორც ჩანს, იგივე ბედი ეწია არქიმანდრიტ გაბრიელსაც. 1930 წელს ანჩისხატის ტაძრის ყოფილი წინამძღვარი, დეკანოზი ნიკიტა თალაქვაძე თავის მოგონებებში წერდა: „**ეხლახან დაუთხოვიათ სამსახურიდან — შემცირებით — ყოფილი არქიმანდრიტი ჯრუჭის მონასტრისა გაბრიელ აბაშიძე! მაგრამ... აღბად ისევ მალე ჩასდგება სადმე**“.

უცნობია, თუ სად გააგრძელა მან მუშაობა და რით სულდგმულობდა სამსახურიდან დათხოვნის შემდეგ. როგორც ერთი საბუთიდან ჩანს, ყოფილი არქიმანდრიტი ქ. თბილისში, საბჭოს ქუჩა 32-ში ჰქონდა პატარა საცხოვრებელი ოთახი. 1930 წლიდან 1944 წლამდე მისი ცხოვრება ბურუსით არის მოცული. როგორც საეკლესიო ისტორიიდან არის ცნობილი, 1943 წელს, მეორე მსოფლიო ომის დროს, გერმანიის თავდასხმისგან შეჭირვებულმა ათეისტურმა ხელისუფლებამ თითქმის სრულად გაუქმებულ ეკლესიას ნება დართო, კვლავ გაეხსნათ დაკეტილი ტაძრები და სასულიერო სასწავლებლები. სამღვდელოებასაც მიეცა საშუალება, დაეკმაყოფილებინათ მორწმუნეთა რელიგიური მოთხოვნილებები და გაეგრძელებინათ ღვთისმსახურება. და აი, ამ ყველაფრით დაიმედებულმა და გახარებულმა გაბრიელ აბაშიძემ თავად შეახსენა თავი დედა ეკლესიას და მის იმჟამინდელ საჭეთმპყრობელს. აი, რას წერდა 1944 წლის 8 აგვისტოს იგი სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, უწმინდესსა და უნეტარეს კალისტრატეს (ცინცაძე): „**მოციქულთა სწორის წმიდა ნინოს მეოხებით, მისი წილხვდომილი ივერიის ეკლესია, თუმცა ძველად მრავალტანჯული, არსებობს და მუდამ იარსებებს. ამ ზოლოს დროს მტერს უნდოდა მისი განადგურება; სატანამ ყოველი ღონე იხმარა მის მოსასპობლად, მაგრამ, თქვენის ღოცვით, წმიდა ნინოს მფარველობით, ღვთის განგებამ ხალხი იხსნა მრავალი სახის ტანჯვებისაგან. ეკლესია ისევ მხურვალედ ღაღადებს, გალობს და**



არქიმანდრიტი გაბრიელი (აბაშიძე) ჯრუჭის მონასტრის დიაკვნებათან ერთად. 1913წ.


აღავლენს ღვთისა მიმართ თავის ღოცვა ვედრებას: საქრისტიანოს კეთილდღეობისათვის, ქვეყნის მშვიდობის და ბედნიერებისათვის, ხალხთა სულიერი და ხორციელი კეთილ ცხოვრებისათვის, დიდი სტალინის და მისი ძღვევამოსილი ლაშქრის მტერთა ზედა გამარჯვებისათვის.

საქართველოს ეკლესია, სამღვდელოება, ხალხის კულტურა, განათლება-მეცნიერება და ტექნიკა უკვე წარმატებული და ბედნიერია ისევე, როგორც მთელ დიდ საბჭოთა კავშირში.

ვის არსებობაშიც არის ნამდვილი ქართული სისხლი, სიყვარული და ჭეშმარიტ ღვთისადმი და მისი წმინდანების მიმართ რწმენა და სასოება, ისინი უნდა შემოკრბენ ეკლესიასთან და თავისი წვლილი შეიტანოს საქართველოს მშენებლობის საქმეში. ამისთვის, აქედან გამომდინარე, მეც, როგორც და რითაც შემძლიან, მინდა ვემსახურო ჩემს ძვირფას სამშობლოს.

ვალვიარებ რა ამას, მოგახსენებთ შემდეგს. ჩემს მამაპაპეულ სოფელ ჭალაში, რომელიც მდებარეობს საჩხერის რაიონში, არის ძველად გაშენებული წმიდა გიორგის სახელწოდების კარგად შენახული ქვითკირის საყდარი. ღვთის განგებით, ამ ეკლესიის გვერდით, ცხოვრებულმა მამაჩემმა ააშენა სახლი ორსართულიანი, ამ სახლს ახლავს საკმაოდ დიდი ეზო ვენახით და ხეხილებით. ამ ეკლესიას სჭირდება განახლება, პატრონობა და წირვა-ლოცვის აღვლენა.

მე მნადიან, ჩემის შრომით, მეცადინეობით, სახსრით მოუარო ამ ტაძარს. ღვთის შეწევნით,



ჭალის აბაშიძეების წმ. გიორგის ტაძარი

თქვენის ლოცვა-კურთხევით და ნებართვით, სოფლებთან შეთანხმებით, უნდა მოვიწვიოთ სამღვდლო პირი და გავაახლოთ ღვთისადმი ვედრება, წირვა-ლოცვა.

გარდა ამ ეკლესიისა, ჩვენს სოფელში და მის მიდამოებში არის ბევრი ძველი ტაძრები, ზოგი მათგანი დაუნგრეველია, ზოგის კედლები ან სახურავები ჩამონგრეულია; ხალხი ამ ძველ ნაშთებს, წმიდა ადგილებს, მაგალითად: როგორც ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ტაძარს, მთაწმინდის ტაძარს და სხვებს, ახლაც დიდის სასოებით, რწმენით და მოწინებით ეპყრობა, ხშირად დადიან იქ ღამის სათევად, სალოცავად და მსხვერპლის შესანიშნავად. ამ ძველ წმიდა ადგილებსაც თვალყურის დევნა და მოვლა სჭირდება.

მე ამჟამად უკვე 72 წლის მოხუცი ვარ, მძიმე ცხოვრების ტალღები გამოვიარე, მაგრამ ოკეანემ ვერ შთამთქა. ახლა მე მჭირდება ღრმა, მყუდრო სულიერი ცხოვრება, ჩემი გავლილი ცხოვრების ანგარიშის შეჯამება და ნაკლულევანების, თუ მოვასწარი, გამოსწორება; ამიტომ მინდა ჩავიდე ჩემს მამაპაპეულს სოფელში და დავბინავდე მამაჩემის მყუდრო სახლში, ჩვენი ეკლესიის გვერდით, სადაც უნდა ვილოცო, ვილოცო, ბევრი ვოლოცო, რათა, მინამ ცოცხალი ვარ, ჩემი დიდი ცოდვე-

ბი შევინანო და შენანებული, როცა დრო მოვა, გავემგზავრო საიქიოს; ხოლო სიცოცხლეში კი მინდა ჩვენს ძველ ეკლესიებს, როგორც ზევით მოგახსენეთ, ვემსახურო, უყარაულო და მოუარო.

მოგახსენებთ რა ამას, თქვენო უწმინდესობავ, გთხოვთ, მაღირსოთ თქვენთან აღსარების ავლა, რათა ღმერთმა შემინდოს ჩემი დიდი ცოდვები და მოსანანიებლად ცოდვებისა დამადოთ ღირსეული ეპიტემია.

თქვენი მდაბალი მორჩილი უღირსი სულიერი შვილი, ყოფილი არხიმანდრიტი გაბრიელი მთაწმინდელი — (ერისკაცობაში გიორგი სამსონის ძე აბაშიძე)“.

ამ წერილს მისმა უწმინდესობამ იმავ დღეს რამდენიმე სიტყვა წააწერა ზედვე: „დაცულ იქნას საქმეში“. ეს იყო და ეს. ამ ეტაპზე ჩვენთვის უცნობია, თუ რა მოჰყვა მის ამ სინანულის წერილს, შეხვდა იგი კათალიკოს-პატრიარქს, ჩააბარა აღსარება და წავიდა თუ არა თავის მშობლიურ სოფელში. საეკლესიო დოკუმენტებში ამის შესახებ აღარაფერია მოთხრობილი. არც მომდევნო წლებში შედგენილ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის სასულიერო პირთა სიებში ფიგურირებს მისი სახელი და გვარი. ვინ იცის, იქნებ მოასწრო კიდევ აღსარების თქმა და განწმენდილმა, მშვიდობით შეჰვედრა სული უფალს... იყავნ ნება შენი უფალო!

სტატიის დასასრული
მღვდელი გიორგი მაჩუროშვილი

წყარო: საქართველოს საპატრიარქოს არქივი, აღწერა 1, საქმე №2191; გაზეთი „სახალხო ფურცელი“ 1915წ. №206, გვ. 2; გაზეთი „თანამედროვე აზრი“ 1915წ. №156, გვ. 4; გაზეთი „ერთობა“ 1917წ. №31, გვ. 4.

ლიტ: დეკანოზი ნიკიტა მალაქიას ძე თალაქვაძე „მოქალაქე-მღვდლის დღიურიდან“ ქ. თბილისი 2013წ. გვ. 575;

თუ თქვენს საოჯახო არქივში მოიპოვება სასულიერო პირთა და საქართველოს ეკლესია-მონასტართა ფოტოები, გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ, რათა ერთობლივი ძალისხმევით დავინახავს განვიხსნათ ისინი. ჩვენი ტელეფონებია: 593 19 36 04; 599 88 66 90; 2 32 48 66; 2 98 95 41

გთხოვთ, გაჯათს გაუფრთხილდეთ მასში დაბეჭდილი მასალების გამო საბანკო ანგარიში: სს „ლიბერთი ბანკი“ ბანკის კოდი: LBRTGE22. ანგარიში: № GE57LB0115123530407000. სახაზინო კოდი — 45 01 56.

რედაქტორის მოადგილის ელ.ფოსტა: bokuchavanana1@gmail.com.

მის: ერეკლე II-ის მოედანი 1, საქართველოს საპატრიარქოს პრესცენტრი. ტელ. 2 98-95-41

რედაქტორის მოადგილე: ნანა ბოკუჩავა ტ. 599 23 10 54
სარედაქციო კოლეგია: მიტროპოლიტი დიმიტრი (მიოლაშვილი), მარიამ გავუა, ნინო გავომაშვილი, თამარ ასათიანი, მღვდელი გიორგი მაჩუროშვილი, ია ხაზარაძე, სერგო კერესელიძე, ბუღალტერი: ვლასი ჯიბლაძე; გაერცელება: ცარო ვარდიშვილი, მამუკა კვაჭანტირაძე; დასავ. საქართველოში გაერცელება ზაზა უგულავა 595343056
დამკაბადონებელი: ვალერიან ჯუღელი



ისტორიის ფურცელი

დეკანოზი ანტონ ბოკუჩავა


„მამა ანტონ, შენ გაიმარჯვე, გაიმარჯვეო!“

1875-1947

დეკანოზი ანტონ ბესარიონის ძე ბოკუჩავა 1875 წელს ქუთაისის გუბერნიაში, სენაკის მაზრის სოფ. უშაფათში, დიაკონ ბესარიონ თადეოზის-ძე ბოკუჩავასა და მატრონა თოფურიძის ოჯახში დაიბადა. წოდებით იყო აზნაური. პაპამისი — მღვდელი თადეოზ ბოკუჩავა, უშაფათის მაცხოვრის სახელობის ტაძრის წინამძღვარი იყო. ანტონს მამა ადრე გარდაეცვალა და დედა მამისეულ სოფელში, სეფიეთში გადასახლდა ოთხ შვილთან ერთად. მან 1896 წელს დაამთავრა სამეგრელოს სასულიერო სასწავლებელი. 1896-1904 წლებში იყო სეფიეთის ერთკლასიანი სამრევლო-საეკლესიო სკოლის მასწავლებელი. 1903 წლის 22 ოქტომბერს გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსმა ალექსანდრემ (ოქროპირიძე) სეფიეთის მთავარანგელოზთა სახ. ტაძრის მედავითნედ დანიშნა. 1910 წლის 8 სექტემბერს გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსმა ლეონიდემ (ოქროპირიძე) დიაკვნად აკურთხა, იმავე წლის 14 სექტემბერს მღვდლად დაასხა ხელი და სეფიეთის მთავარანგელოზთა სახ. ტაძრის მეორე მღვდლად განამწესა. იმავდროულად, სეფიეთის სამრევლო-საეკლესიო სკოლაში საღვთო სჯულის მასწავლებლად დაინიშნა. 1912 წლის 21 სექტემბრიდან სეფიეთის ტაძრის წინამძღვარია.

სოფ. სეფიეთში მცხოვრები მოხუცები იგონებენ, რომ დეკანოზი ანტონი სოფლის ნამდვილი თავკაცი ყოფილა. ყოველ საჭირობოროტო საკითხს მასთან ათანხმებდნენ და მის სიტყვას დიდ ანგარიშს უწევდნენ. 1921 წლის 1-7 სექტემბერს მღვდელი ანტონი, როგორც ჭყონდიდის ეპარქიის დელეგატი, იყო საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის მესამე საეკლესიო კრების მონაწილე. 1922 წლის ივნისში კომუნისტების მიერ ეკლესიებში არსებული ქონების საყოველთაო აღწერის დროს ისევ სეფიეთის მთავარანგელოზთა სახ. ტაძრის წინამძღვრად იხსენიება.

კომუნისტური ხელისუფლების დამყარების შემდეგ დეკანოზ ანტონსაც დაუპირეს ანაფორის გახდა და წვერის გაპარვა, მაგრამ მოძღვარმა მტკიცედ დაიცვა თავი. 1925 წლის 12 ოქტომბრიდან იგი ისევ



ჭყონდიდის ეპარქიის, ბანძის ოლქის, სეფიეთის ტაძრის წინამძღვრად მსახურობდა. 1928 წლის 18 მარტს იგი უკვე ბანძის ოლქის მთავარხუცესია და საქართველოს საკათალიკოსო უწმინდეს სინოდს ოლქში არსებული მდგომარეობის შესახებ წერილს უგზავნის:

„სენაკის მაზრაში არც ერთი ოლქი ისე შესანიშნავი არაა ეკლესიების შენობების მხრით, როგორც არის ბანძის ოლქი. ბანძის ოლქში არის რვა ეკლესია ქვითკირისა. წარსულს ხანებში რევოლუციამდე ყველა ეს ეკლესია შესაფერად იყო მორთული საეკლესიო და სამღვდლო სამკაულით, რევოლუციის შემდეგ ხსენებულს ეკლესიებში მეტის მეტი გაჭირვებაა, რადგან საეკლესიო ნივნები, წმიდა ტრაპეზის შესამოსი და განსაკუთრებით სამღვდლო შესამოსი სრულებით არაა და თუ არის ეკლესიების განახლების დროს რაც გამოუსადეგარი დახეულები ნახეს, შეაკეთეს და მით ასრულებენ წმიდა საიდუმლოს. ეკლესიებში წყალი ჩამოდის სახურავებიდან, რის გამო შესანიშნავი ქვითკირის ეკლესიების შენობა ფუჭდება, სახურავები რომ შეაკეთოს, პატრონი არაა და თუ კი გამოწაკლისი მორწმუნეთაგანი არიან დარჩენილი იმას ადგილობითი მონინალმდევნი ნებას არ აძლევენ, რომ დაიარონ მრევლში და მოსთხოვონ შესაკეთებელი ფული შეძლებისადაგვარად. ხსენებულ ოლქში ყველაზე შესანიშნავია სეფიეთის უმახსოვრო დროის ქვითკირის ეკლესია, რომელიც მისი გეოგრაფია ფოტოგრაფიულად ინახება საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში, დახურულია მარესლის კრამიტით, რომელიც ძლიერი ქარის გამო გადაყრილია და წყალი ბევრს ადგილას ჩამოდის, რის გამო ისტორიული განძი ფუჭდება. საერთოდ მორწმუნენი ეკლესიის გულშემატივარნი ცოტაა, რომ თავიანთ ეკლესიების ნაკლულევანება შეამჩნიონ და გააკეთონ. ამისათვის უმორჩილესად და სიმდაბლით ვთხოვ ს. ს. საქათალიკოსო უწმინდეს სინოდის მღვდელმთავართა კრებას მიეცეს საშვალეობა ზემოხსენებულ ოლქის ეკლესიების კრებულს, რომ უწმიდესი სინოდის განკარგულებაში საეკლესიო ნივნები და ნივთები, რომელნიც მათ ხმარებაში არ

წყონდიდის ეპარქიის, ბანძის ოლქის, სეფიეთის ტაძრის წინამძღვრად მსახურობდა. 1928 წლის 18 მარტს იგი უკვე ბანძის ოლქის მთავარხუცესია და საქართველოს საკათალიკოსო უწმინდეს სინოდს ოლქში არსებული მდგომარეობის შესახებ წერილს უგზავნის:



საფიეთის მთავარანგალოზთა ტაძარი

არიან, ესრეთები უწყალობონ უსასყიდლოთ ხსენებულს ეკლესიებს და კრებულთ, რადგან მათ არა აქვთ არავითარი საშვალეობა შემოსავლისა“. უცნობია, თუ რა მოიმოქმედა საკათალიკოსო სინოდმა, დაეხმარა თუ არა ბანძის ოლქს, ერთი რამ კი ჩანს, 1928 წლის 16 ივლისს მღვდელი ანტონი დეკანოზის ხარისხშია აყვანილი.

1929 წლის 1 სექტემბერს უკანასკნელად იხსენიება საფიეთის ტაძრის წინამძღვრად. გადმოცემის თანახმად, 1929/1930 წლებში ტაძარი დაიხურა, მაგრამ მოძღვარი სახლში განაგრძობდა ღვთისმსახურებას და მრევლიც იქ აკითხავდა სულიერი საზრდოს მისაღებად.

1945 წლის 28 მარტს შედგენილ საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიის სასულიერო პირთა ჩამონათვალში იგი არ იხსენიება მოქმედი სამღვდლოების რიგებში. როგორც ჩანს, სიცოცხლის უკანასკნელ წლებში ჯანმრთელობის გაუარესების გამო მან ვეღარ შეძლო ოფიციალურად მსახურების გაგრძელება. დეკანოზი ანტონი 1947 წლის 15 დეკემბერს გარდაიცვალა. 1947 წლის 19 დეკემბერს გაზეთი „კომუნისტი“ იუწყებოდა: „**ღები ცაცუ, მაგა ოჯახებით, ძმა ექვთიმე, რძალი ელპიდი, ძმისწულები: ეკატერინე, პეტრე, გრიგოლ, შალვა ბოკუჩავები იუწყებიან ანტონ ბესარიონის ძე ბოკუჩავას გარდაცვალებას. დაკრძალვა 21-XII, საფიეთში (აბაშის რ.)**“. სოფელში დღემდე ახსოვთ მისი დაკრძალვა. უღვთო ხელისუფლებას უარი უთქვამს მოძღვრის ტაძარში დაკრძალვაზე, მაგრამ მთელი სოფელი გა-

მოსულა და წინააღმდეგობა იმდენად დიდი ყოფილა, რომ მთავრობა იძულებული გამხდარა, დათანხმებულიყო. თვალცრემლიანი ხალხი კი გაიძახოდა: „**მამა ანტონ, შენ გაიმარჯვე, გაიმარჯვეო!**“ დეკანოზი ანტონი საფიეთის ტაძარში, საკურთხეველის წინ დასაფლავეს.

დეკანოზს ანტონს ჰყავდა მეუღლე ნატალია სოსოს ასული კეკელია, რომელთანაც შვილი არ შეეძინა. ნატალია 1922 წელს გარდაიცვალა.



მღვდელი ანტონ ბოკუჩავა ოჯახთან ერთად

წყარო: საქართველოს სახელმწიფო ცენტრალური საისტორიო არქივი ფ. 489, აღწერა 1, საქმე №53074; საქართველოს უახლესი ისტორიის სახელმწიფო ცენტრალური არქივი, ფ. 284, აღწერა 1, საქმე №54; საქართველოს საპატრიარქოს არქივი, აღწერა 1, საქმე 1630; საქმე №1696; გაზეთი „კომუნისტი“ 1947წ. №252, გვ. 4.

მღვდელი
გიორგი მაჩუროშვილი

თუ თქვენს საოჯახო არქივში მოიპოვება სასულიერო პირთა და საქართველოს ეკლესია-მონასტრთა ფოტოები, გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ, რათა ერთობლივი ძალისხმევით დავიწყებინებთ ვინაა ისინი. რვაწი ტელეფონები: 593 19 36 04; 599 88 66 90; 2 32 48 66; 2 98 95 41

გთხოვთ, გაზეთს გაუფრთხილდეთ მასში დაგაქმნილი მასალების გამო საბანკო ანგარიში: სს „ლიბერთი ბანკი“ ბანკის კოდი: LBRTGE22. ანგარიში: № GE57LB0115123530407000. სახაზინო კოდი — 45 01 56.

რედაქტორის მოადგილის ელ.ფოსტა: bokuchavanana1@gmail.com.

მის: ერეკლე II-ის მოედანი 1, საქართველოს საპატრიარქოს პრესცენტრი. ტელ. 2 98-95-41

რედაქტორის მოადგილე: ნანა ბოკუჩავა ტ. 599 23 10 54
სარედაქციო კოლეგია: მიტროპოლიტი დიმიტრი (მოლაშვილი), მარიამ გავუა, ნინო გაგოშაშვილი, თამარ ასათიანი, მღვდელი გიორგი მაჩუროშვილი, ია ხაზარაძე, სერგო კერესელიძე, ბუღალტერი: ელასი ჯიბლაძე; გავრცელება: ცარო ვარდიშვილი, მამუკა კვაჭანტირაძე; დასავ. საქართველოში გავრცელება ზაზა უგულავა 595343056
დამკავადინებელი: ვალერიან ჯუღელი



ნასტრად ქართველთა საჯვარს და განვიცადეთ, კედელთა ზედა წმიდანი მამანი და მონამენი საქართველოსანი ეხატნეს შარავანდითა და გვირგვინითა". ჩამოთვლილ წმინდანთა შორის იგი ახსენებს „წმიდა მონამე ქაიხოსრო ქართველს, რომელიც ანამა ყეენმან შაჰ-აბაზ წმიდათა ხატთათვის, ქორონიკონსა ტ“.

როგორც ამ ცნობიდან ირკვევა, ქაიხოსრო ქართველი ჯვრის მონასტერში მოღვაწეობდა და 1612 წელს რწმენისათვის მონამებრივად აღესრულა.

სამწუხაროდ, უამთა სვლამ არც წმინდანის ფრესკა შემოგვინახა. მისი გამოსახულება იმდენად დაზიანებულია, რომ ორი საუკუნის შემდეგ კედლიდანაც გამქრალა. 1845 წელს მეცნიერ ნი-

კო ჩუბინაშვილს ჩრდილოეთ კედელზე, სავარაუდოდ, ტიმოთე გაბაშვილის მიერ აღწერილი ფრესკები ველარ გაურჩევია, რადგან „ტენისაგან მრავალი ადგილი დაშლილა და ჩამოცვენილან, სახენი და მათ ზედა ნაწერნი შებლაღულან“.

ასე დაიკარგა ის ერთადერთი მეტყველი სახე, რომელიც წმინდანის შესახებ უამბობდა შთამომავლობას...

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია რწმენისათვის აღსრულებულ ქაიხოსრო ქართველს 29 ივნისს იხსენებს. შეგვენიოს წმინდა მონამე ქაიხოსრო ქართველის მეოხება!

მომზადდა
თამარ ასათიანმა

ისტორიის ფურცელი

დეკანოზი გიორგი გამრეკელი

1869-1935

დეკანოზი გიორგი გაბრიელის ძე გამრეკელი 1869 წელს მღვდლის ოჯახში, თბილისის გუბერნი-აში, გორის მაზრის სოფ. მეჯვრისხევში დაიბადა. დაამთავრა გორის სასულიერო სასწავლებელი და სწავლა თბილისის სასულიერო სემინარიაში განაგრძო. 1892 წლის 22 მარტს სიონის საკათედრო ტაძარში საქართველოს ეგზარქოსმა პალადიმ (რაევი) სტიქარით შემოსა. 1892 წლის ივნისში აღნიშნული სემინარია პირველი ხარისხის დიპლომით დაამთავრა და სურდა სწავლა რუსეთის ერთ-ერთ სასულიერო აკადემიაში გაეგრძელებინა, მაგრამ უსახსრობის გამო ვერ მოახერხა, თუმცა მას მალევე მფარველი გამოუჩნდა. აი, რას წერდა გაზეთი „ივერია“ ამასთან დაკავშირებით: „მისმა მალალ ყოვლად უსამღვდელოესობამ, პეტერბურგის მიტროპოლიტმა პალადიმ, სხვათა კეთილ საქმეთა შორის, წასვლის წინა დღეს ერთი სამადლო საქმეც მოიმოქმედა: წელს სასულიერო სემინარიაში კურსი გაათავა სამაგალითოდ გიორგი გამრეკელმა; სურვილი ჰქონდა განეგრძო მალალ სასწავლებელში სწავლა, მაგრამ შეუძლებლობით ვერ მოახერხა. მიტროპოლიტმა პალადიმ გამრეკელი მიიღო თავის სტიპენდიატად პეტერბურგის აკადემიაში. ამ დღეებში გამრეკელს პალადისაგან მოუვიდა შემდეგი დეპეშა: „რადგან ყველა აკადემიებში ეხლა ადგილები დაჭერილია, მოემზადე მომავალის წლისათვის, ესე იგი ზაფხულისთვის და მე ჩემის ხარჯით აღგზრდი პეტერბურგის აკადემიაში“.

მართლაც, 1893 წელს გიორგიმ ქ. სანკტ-პეტერბურგის სასულიერო აკადემიაში ჩააბარა. აკადემიაში სწავლის დროს იგი ქართველი სტუდენტების თვალი და ყური იყო. იგი ხელმძღვანელობდა ყველა კეთილ ნამოწყებას. პრესის საშუალებით მან ურთიერთობა დაამყარა საქართველოსთან და მიწერ-მონერის საშუალებით ცხოველი კავშირი ჰქონდა მონინავე საზოგადოებასთან, რომლებსაც სამშობლოს მოწყვეტილი ქართველებისთვის ქართული წიგნებისა და ჟურნალ-გაზეთების გამოგზავნას სთხოვდა. აი, რას წერდა იგი 1894 წლის 14 მარტს გაზეთ „ივერიაში“: „პეტერბურგის სასულიერო აკადემიის ქართველი სტუდენტები უგულთადეს მადლობას ვუცხადებთ მის მალალ-ღირსებას, მ. დეკანოზს დავით ღამბაშიძეს გაზეთის „მწყემსის“ უსასყიდლოთ დათმობისათვის“. 1897 წელს გიორგი გამრეკელმა აკადემია წარჩინებით დაასრულა. მისი წარმატება შეუმჩნეველი არ დარჩენილა ქართული პრესისათვის. გაზეთი „ცნობის ფურცელი“ მის შესახებ წერდა: „წარსულის წლის თიბათვეში პეტერბურგის სასულიერო აკადემიაში სწავლა დაამთავრა ღვთისმეტყველების კანდიდატის ხარისხით ორმა ქართველმა: გიორგი გამრეკელმა და ნიკოლოზ ხუცაიძემ. ორივემ, აკადემიის მთავრობის ნებართვით, საკანდიდატო თხზულება დასწერა საქართველოს საეკლესიო ისტორიიდან აღებულს საკითხებზე. გიორგი გამრეკელმა დასწერა თხზულება შემ-

დეგს საკითხზე: „Древнейшая история церкви в Грузии (от IV в. до прибытия Сирских отцев). ეს ეპოქა იმდენად საინტერესოა საქართველოს ისტორიაში, რომ ყოველს დაკვირვებულს გამოკვლევას მისას დიდი მნიშვნელობა აქვს საქართველოს ისტორიის მკვლევართათვის. ეს ის ეპოქაა, ოდეს საქართველოს ახალის ისტორიის საძიკველი ჩადგმულ იქმნა და ამ საძიკველზე დამყარდა ის დიდებული შენობა, რომელსაც ქართველების ისტორიული ცხოვრება ეწოდება... წმ. მოციქულების მიერ საქართველოში ქრისტიანობის ქადაგება, წმ. ნინოს და მირიანის დრო, დიდებული მეფობა ვახტანგ გორგასლანისა, რომლის ცხოვრების აღწერას ნახევრად ზღაპრული ხასიათი აქვს. ეს ისეთი საკითხებია, რომელთა საფუძვლიანი გამოკვლევა, რა თქმა უნდა, დიდს სამსახურს გაუწევს საქართველოში ქრისტიანობის დასაწყისის ისტორიის შესწავლის საქმეს. ბ-ნის გამრეკელის თხზულება მოწონებულ იქმნა პროფესორის ბ-ნ მოლოტოვის მიერ, როგორც თხზულება, დაწერილი კეთილსინდისიერად და დაკვირვებით. რასაკვირველია, ამ თხზულებას, როგორც ახალგაზრდა ავქსონის ნაწარმოებს, არ შეიძლება არ ჰქონდეს ნაკლულევანებანი, მაგრამ, იმედია, ახალგაზრდა ავქსონი მას შეამუშავებს უფრო დაკვირვებითა და საფუძვლიანად და დასტამბავს. მით უფრო, იმედი გვაქვს ამისი, რომ როგორც ბრძანებს პროფ. ბ. მოლოტოვი, ბ. გამრეკელს შეუძლია, ნიჭი შესწევს საისტორიო კვლევა-ძიებისა“. შედარებით მოკლე ცნობაა გამოქვეყნებული გაზეთ „ივერიაში“: „წრეულ ს.-პეტერბურგის სასულიერო აკადემიაში ორმა ქართველმა დაამთავრა სწავლა: ნ. ქ. ხუცაიძემ და გ. გამრეკელმა. მთელს აკადემიაში ამ წელს სულ 4 ქართველი იყო“.

1898 წელს გიორგი ბაქოს წმ. მიხეილის სახ. სამოქალაქო სასწავლებლის საღვთო სჯულის მასწავლებლად დაინიშნა. 1899 წლის 20 დეკემბერს თბილისის მოციქულთა თავთა პეტრესა და პავლეს სახ. ტაძრის მღვდლად გამოარჩიეს, თუმცა უცნობი მიზეზების გამო, დროებით, მისი ხელდასხმა გადაიდო. 1900 წლის 5 დეკემბერს იმერეთის ეპისკოპოსმა ლეონიდემ (ოქროპირიძე) დიაკვნად აკურთხა. 1901 წლის 6 თებერვალს საქართველოს ეგზარქოსმა ფლაბიანემ (გოროდეცკი) მღვდლად დაასხა ხელი და კუკიის წმ. ნინოს სახ. ტაძრის წინამძღვრად განამწესა. 1905 წელს აღმოსავლეთ საქართველოს საეპარქიო სამრევლო სკოლების საბჭოს განკარგულებით თბილისის სამრევლო სკოლების ზედამხედველად დაინიშნა.

1905-1906 წლებში, რუსეთის პირველი რევოლუციის დროს, რამდენიმე სასულიერო პირი მოკლეს,



სანკტ-პეტერბურგის სასულიერო აკადემია

ანამეს, ზოგი დააყაჩაღეს და გაძარცვეს, ზოგიც დაიჭირეს. მათ რიგებში იყო მღვდელი გიორგიც. აი, რას წერდა ქართული პრესა ამასთან დაკავშირებით: „1906 წლის 20 მარტს, ღამის 8 საათზე, კუკიის მართლმადიდებელთა სასაფლაოზე, იმ სახლში, სადაც კრებული სცხოვრობს, სწორედ იმ დროს, როდესაც მღვდ. იოსებ ბერიძე თავის ოჯახობით სტოლს მისჯდომოდა ჩაის დასალევად, უეცრად შევარდა სამი შეიარაღებული კაცი. სწორედ ამ დროს იქვე მეზობელ მღვდ. გიორგი გამრეკელოსაც დაეცნენ. ამ უკანასკნელს ფულად რვა თუმანი და ერთი ოქროს საათი წაართვეს, ხოლო მღვდ. იოსებ ბერიძეს შესვლისთანავე კამოდის გასაღები მოსთხოვეს. ამ კამოდში ჰქონდა შენახული, თურამ ძვირფასი გააჩნდა. ოქრო-ვერცხლის ნივთეულობასთან ერთად წაიღეს საკუთარი 350 მანეთი, ხოლო საეკლესიოც ამდენი. სულ თავდამსხმელნი ათნი იყვნენ. ზოგი შიგ შევარდა, ზოგიც ეზოს სხვადასხვა კუთხეებში იდგა სადარაჯოდ“.

მსგავსი შემთხვევა განმეორდა ცხრა წლის შემდეგაც. 1915 წლის 9 ნოემბერს, საღამოს 8 საათი იქნებოდა, როცა მამა გიორგის სახლს სამი უცნობი პირი ესტუმრა, ერთი ჯარისკაცის ფორმით, ორიც ევროპულად ჩაცმული და ჯვრისწერა სთხოვეს. ვინაიდან საბუთები წესრიგში არ ჰქონდათ, მამა გიორგიმ უარი განაცხადა, მაშინ ერთმა მათგანმა რევოლვერი ამოიღო და ფული მოსთხოვა. მოძღვარმა მას ხელი სტაცა და ყვირილი მორთო, ამასობაში ბოროტმოქმედებმა დროით ისარგებლეს და თავს უშველეს.

1917 წლის 8-17 სექტემბერს, როგორც თბილისის სამღვდლოების დელეგატი, დეკანოზი გიორგი ესწრებოდა საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის პირველ საეკლესიო კრებას. 1920 წელს იმყოფებოდა მეორე საეკლესიო კრებაზეც. 1920 წლის 20 მაისს, კათოლიკოს-პატრიარქ ლეონიდეს (ოქროპირიძე) ბრძანებით, გადაყენე-

ბულ იქნა კუკიის ტაძრის წინამძღვრობიდან. 1921 წლის 1-5 სექტემბერს გელათში გამართულმა მესამე საეკლესიო კრებამ იგი საკათალიკოსო საბჭოს წევრობის კანდიდატად აირჩია. 1922 წლის თებერვალში, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ამბროსის (ხელაია) ლოცვა-კურთხევით, ქ. თბილისში გაიხსნა ორწლიანი სამოძღვრო კურსები, რომლის ხელმძღვანელად დეკანოზი კალისტრატე ცინცაძე აირჩიეს. განანილდა საგნებიც: დეკანოზ გიორგი გამრეკელს საეკლესიო ისტორიის სწავლება დაევალა. სამწუხაროდ, ხსენებულმა კურსებმა მხოლოდ რამდენიმე თვე იარსება.

1922 წელს კუკიის სასაფლაოს ტაძრის კრებული საკათალიკოსო საბჭოს წერდა, რომ კრებულის ღრმა რწმენით დეკანოზი გიორგი გამრეკელი აღარ არის მისი წევრი და არც უნდა დარჩეს მათ შორის. აი, რა იყო მათი მოსაზრება-დასაბუთებანი: „1) ჯერ საეპარქიო სასამართლოს და შემდეგ საკათალიკოსო საბჭოს განჩინებით, დეკ. გამრეკელი გადაყენებულ იქნა წინამძღვრობიდან, რაც ცხადად არის გამოყვანილი საკათალიკოსო საბჭოს შემდეგი განჩინებით: „გადაყენებულ იქნას დეკ. გ. გამრეკელი კუკიის წმ. ნინოს ეკლესიის წინამძღვრობიდან; 2) გახსნილ იქნას დროებით კუკიის ეკლესიის წინამძღვრის მესამე თანაშემწის ადგილი, რომელიც გაუქმებულ იქნას ერთ-ერთი თანაშემწის ნასვლის შემდეგ; 3) წინამძღვრად მონვეულ იქნას ახალი პიროვნება; 4) გამოეცხადოს დეკ. გამრეკელს საყვედური ნამსახურებათა წიგნში ჩანერით, შენიშვნა — შენიშვნის წიგნში ჩასაწერად; 5) სისრულეში მოყვანილ იქნას საეპარქიო სასამართლოს განჩინება მათ შესახებ ტაძრის სასარგებლოდ ფულის გადახდისათვის (გარდა იმ 1500 მან., რომელიც დეკ. გამრეკელს დაუხარჯავს მგალობლებზე); 6) მიეცეს კრებულის წევრთა ფართობი, რომ შემდეგში არ იქნას მათ მიერ დაშვებული ეკლესიის და სარწმუნოების საზარალოდ დაუდევრობა, უმოქმედობა, გულგრილობა, სამსახურში და ურთიერთშორის ანარქია“. თუმცა ამ განჩინებით საკათალიკოსო საბჭო ლმობიერად მოექცა დეკანოზ გიორგი გამრეკელს და იქავე დატოვა მღვდლად, თუმცა გააფრთხილა, რომ შესაფერისად მოქცეულიყო, მაგრამ მას, როგორც ჩანს, კვლავ შეექმნა პრობლემები ტაძრის კრებულთან და საკათალიკოსო საბჭოში მის შესახებ ახალი საქმე აღიძრა. 1922 წლის 13 თებერვალს საეპარქიო სასამართლომ გამოიტანა დადგენილება: „ეთხოვოს კათალიკოს-პატრიარქ ამბროსის (ხელაია), დაუყოვნებლივ გადაყვანილ იქნას კუკიის წმ. ნინოს ეკლესიიდან დეკანოზი გიორგი გამრეკელი, როგორც ეკლესიისთვის მავნე და კრებულის წევრთა შორის უთანხმოების შემტანი“. ეს განჩინება დაამტკიცა მისმა უწმიდესო-

შვილები: ნინო, ქეთევანი, დიმიტრი, სიძეები: ნესტორ დიმიტრის-ძე ცინცაძე და ვლადიმერ კირილეს-ძე გუგუნავა იუწყებიან შამის და სიმამრის

გიორგი გაბრიელის-ძე გაშრამკელის
გარდაცვალებას. დაკრძალვა 24 აპრილს 2 ს. კუკიის სასაფლაოზე. 7805

დამწუხრებულნი: სეთი—კოლით ნინო-თი, შვილებით: გაბო, ალექსანდრე, დავით ოჯახებით. და დაი ელენე იუწყებიან დაუვიწყარი ძმის და ბიძის

გიორგი გაბრიელის-ძე გაშრამკელის
გარდაცვალებას. დაკრძალვა კუკიის სასაფლაოზე. დღეს 2 ს. 7810

დეკანოზ გიორგის ნაკროლოგი
გაზეთ „კომუნისტში“

ბამ 1922 წლის 20 თებერვალს და მისცა ერთი თვის ვადა, შეეტანა თხოვნა სხვა სამრევლოში გადასვლაზე. როგორც ჩანს, მამა გიორგის დაპირისპირება ჰქონდა კრებულის სხვა წევრთან, დეკანოზ ვასილ კარბელაშვილთან. დეკანოზი ვასილი წერდა, რომ დეკანოზ გამრეკელს ჩვეულებად ჰქონია გაუტანლობა და შფოთი შეჰქონდა საძმოსა და სამსახურში. როცა აქ გიორგი ეპიტაშვილი ყოფილა დიაკვნად, იგი ქირით მდგარა კერძო სახლში, ამ დროს კი მამა გამრეკელს ექვსი ოთახი ჰქონია დაკავებული საკრებულო სახლში, თანაც ამ დროს მისი ცოლ-შვილი იქ აღარ ცხოვრობდა. დიდი დავის შემდეგ მას თურმე ერთი ოთახი ძლივს დააცლევინეს. ეს ამბავი იმით დასრულდა, რომ დეკანოზი გიორგი კუკიის სამრევლოში მეორე მღვდლის ადგილზე დარჩა, დეკანოზი ვასილი კი გაათავისუფლეს.

XX ს-ის 20-იან წლებში დეკანოზი გიორგი იყო საკათალიკოსო საბჭოს წევრი და აქტიურად მონაწილეობდა საეკლესიო ცხოვრების ფერხულში. 1923 წლის იანვარში, როდესაც საკათალიკოსო საბჭოს წევრების უმრავლესობა დააპატიმრეს, კათოლიკოს-პატრიარქ ამბროსის (ხელაია) ლოცვა-კურთხევით, 1923 წლის 7 სექტემბრიდან 1925 წლის 11 მარტამდე დეკანოზი გიორგი გამრეკელი, როგორც წევრ-კანდიდატი, სხვა სასულიერო პირებთან ერთად ხელმძღვანელობდა საქართველოს ეკლესიის მართვა-გამგეობას. იგი იყო უწმიდესი და უნეტარესი ამბროსის იდეების მხარდამჭერი, გამზიარებელი და ბოლომდე გვერდით ედგა მას.

1926 წლის 14 იანვარს ურბნელმა მიტროპოლიტმა იოანემ (მარლიშვილი) საკათალიკოსო საბჭოს განსახილველად წარუდგინა თავისი სამაგისტრო დისერტაცია, მოითხოვა მისი განხილვა და ღვთისმეტყველების ხარისხის მინიჭება. დისერტაცია რუსულად იყო დაწერილი და ეხებოდა „ბიზანტიის იმპერატორების დამოკიდებულებას მსოფლიო სა-



კუკიის წმ. ნინოს სახ. ტაძარი

ეკლესიო კრებებისადმი". სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ამბროსის (ხელაია) ლოცვა-კურთხევით თემა განსახილველად და სარეცენზიოდ გადაეცა დეკ. გ. გამრეკელს და ივ. რატიშვილს, ასევე უნივერსიტეტის რამდენიმე პროფესორს. დასკვნის დაწერა დეკანოზ გიორგის დაევალა, რომელმაც ამგვარი რეცენზია დაწერა: „მიტროპოლიტი იოანეს უარი ეთქვას ღვთისმეტყველების მაგისტრის ხარისხის მიღებაზე“. უცნობია, თუ რა მიზეზით ეთქვა უარი ან რა არ მოენონა დეკანოზ გიორგის მის ნაშრომში.

1927 წლიდან, როდესაც გაუქმდა საკათალიკოსო საბჭო და შეიქმნა საკათალიკოსო სინოდი, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ქრისტეფორეს (ციციქიშვილი) ლოცვა-კურთხევით დეკანოზი გიორგი სინოდის წევრი გახდა და კვლავ აქტიურად მონაწილეობდა საეკლესიო ცხოვრებაში. 1930 წლის 8 ოქტომბერს, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მე-5 საეკლესიო კრებაზე კვლავ აირჩიეს სინოდის წევრად. მიუხედავად მრავალი დევნისა და შეურაცხყოფისა, მას ანაფორა არ გაუხდია და მსახურება არ მიუტოვებია. იგი ბო-

ლომდე დაუზარელად და უშიშრად იდგა დედა ეკლესიის სამსახურში.

დეკანოზ გიორგის მიღებული ჰქონდა ჯილდოები: 1901 წლის 6 მაისს საგვერდული; 1909 წელს — სკუფია; 1914 წლის 15 მაისს — კამილავეკა; 1916 წლის 6 მაისს — სამკერდე ოქროს ჯვარი; 1916 წლის 9 ოქტომბერს — დეკანოზის ნოდება; 1918 წელს — ენქერი; 1933 წლის 16 აპრილს — მიტრა.

დეკანოზი გიორგი 1935 წლის 20 აპრილს გარდაიცვალა. დაკრძალეს 24 აპრილს კუკიის ტაძრის სასაფლაოზე. დარჩა შვილები: დიმიტრი/მიტრუშა; ნინო (გათხოვილი ნესტორ დიმიტრის ძე ცინცაძეზე); ქეთევანი (გათხოვილი ვლადიმერ კირილეს ძე გვეგენაზე).

წყარო: საქართველოს საპატრიარქოს არქივი, აღწერა 1, საქმე №1505, გვ. 38; საქმე №1630; კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ვ. კარბელაშვილის ფონდი, საქმე №56, გვ. 2; გაზეთი „ივერია“ 1892წ. №249, გვ. 1; 1894წ. №63, გვ. 4; 1897წ. №121, გვ. 1; გაზეთი „ცნობის ფურცელი“ 1898წ. №471, გვ. 1-2; 1906წ. №3033, გვ. 3; Журнал „Духовный вестник Грузинского Экзархата“ 1892წ. №7-8; №12; 1900წ. №2; 1901წ. №9; გაზეთი „საქართველო“ 1915წ. №140, გვ. 2; 1918წ. №168, გვ. 1; Журнал „Вестник Грузинского Экзархата“ 1914წ. №10; 1916წ. №10-11; გაზეთი „კომუნისტი“ 1935წ. №97, გვ. 4.

ლიტ: ს. ვარდოსანიძე „საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია 1917-1952 წლებში“ ქ. თბილისი 2001წ. გვ. 228-229; დეკანოზი ნიკიტა თალაქვაძე „მოქალაქე-მღვდლის დღიურიდან“ ქ. თბილისი 2013წ. გვ. 481; გვ. 661; „საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის დროებითი მმართველობის სხდომის ყურნალები 1917 წლის 13 მარტი — 14 სექტემბერი“ (გამოსაცემად მოამზადეს, წინასიტყვაობა, კომენტარები და ბიოგრაფიული ცნობები დაურთეს ისტორიის დოქტორებმა ნ. შიოლაშვილმა და ირ. არაბიძემ) ქ. თბილისი, 2016წ. გვ. 298.

მღვდელი
გიორგი მაჩუროშვილი

თუ თქვენს საოჯახო არქივში მოიპოვება სასულიერო პირთა და საქართველოს ეკლესია-მონასტართა ფოტოები, გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ, რათა ერთობლივი კალისხეობით დავინახავინებან ვიხსნათ ისინი.
ჩვენი ტელეფონებია: 593 19 36 04; 599 88 66 90; 2 32 48 66; 2 98 95 41

გთხოვთ, გაუზიაროთ გზავნილებს მასში დაგაქმნილი მასალების გამო
საბანკო ანგარიში: სს „ლიბერთი ბანკი“ ბანკის კოდი: LBRTGE22.
ანგარიში: № GE57LB0115123530407000. სახაზინო კოდი — 45 01 56.



რედაქტორის მოადგილის ელ.ფოსტა:
bokuchavanana@gmail.com.

მის: ერეკლე II-ის მოედანი 1, საქართველოს
საპატრიარქოს პრესცენტრი. ტელ. 2 98-95-41

რედაქტორის მოადგილე: ნანა ბოკუჩავა ტ: 599 23 10 54
სარედაქციო კოლეგია: მიტროპოლიტი დიმიტრი
(შიოლაშვილი), მარიამ გავუა, ნინო გაგომაშვილი,
თამარ ასათიანი, მღვდელი გიორგი მაჩუროშვილი, ია ხაზ-
არაძე, სერგო კერესელიძე, ბუღალტერი: ელასი ჯიბლაძე;
გაერცელება: ცარო ვარდიშვილი, მამუკა კვაჭანტირაძე;
დასავ. საქართველოში გაერცელება: ზაზა უგულავა 595343056
დამკაბადონებელი: ვალერიან ჯუღელი

ისტორიის ფურცელი

მღვდელი ტიმოთე ბაკურაძე

1868-1920

I ნაწილი

მღვდელი ტიმოთე გიორგის ძე ბაკურაძე თბილისის გუბერნიაში, თელავის მაზრაში, სოფ. კისისხევში დიაკვნის ოჯახში დაიბადა.

მისი მამა დიაკონი გიორგი ნიკოლოზის ძე ბაკურაძე, 1842 წელს მედავითნის ოჯახში დაიბადა. წმინდა წერილი, გალობა და საეკლესიო ტიპიკონი გორის ეპისკოპოს გერონტისთან (პაპიტაშვილი) ისწავლა. 1866 წელს შუამთის ღვთისმშობლის შობის სახ. მონასტერში მორჩილად მიიღეს. 1868 წელს კისისხევის მაცხოვრის ფერისცვალების სახ. ტაძარში მედავითნედ დაინიშნა. 1878 წლის 14 სექტემბერს დიაკვნად აკურთხეს. 1884 წლის 30 მარტს ნორიოს სამრევლოში გადაიყვანეს. იმავე წლის 20 სექტემბერს თელავის ღვთისმშობლის მიძინების სახ. საკათედრო ტაძარში დაინიშნა. 1892 წლის 14 აგვისტოს ვარდისუბნის ღვთისმშობლის მიძინების სახ. ტაძარში დაადგინეს. 1901 წლის 6 ოქტომბერს ისევ კისისხევის ფერისცვალების სახ. ტაძარში დაინიშნა. 1911 წლის 2 მარტს გულგულას წმ. თომა მოციქულის სახ. ტაძარში გადაიყვანეს. 1911 წლის 18 დეკემბერს დიაკონი გიორგი, თავისი თხოვნის საფუძველზე, პენსიაზე გავიდა და წელიწადში 100 მანეთი დაენიშნა. მეუღლე მარიამ ანდრიას ასული (დაბ. 1852წ.) და შვილები: სიდონია, მღვდელი ნიკოლოზი (1872-1931წ.), მღვდელი ტიმოთე (1868-1920წ.).

ტიმოთემ დაამთავრა თელავის სასულიერო სასწავლებელი. XIX ს-ის 90-იან წლებში მარტყოფის ღვთაების სახ. მონასტერში მორჩილად მიიღეს. 1898 წლის 16 მაისს იმავე მონასტერში მედავითნის შტატში დაადგინეს. 1899 წლის 11 ივნისს თბილისის მაცხოვრის ამაღლების სახ. ტაძარში განაწესეს. 1900 წლის ოქტომბრიდან 1902 წლის 1 მაისამდე იმავე ტაძართან არსებულ სკოლაში ქართულ ენას ას-



დიაკონი ტიმოთე ბაკურაძე

წავლიდა. 1901 წლის ნოემბერში საქართველოს ეგზარქოსმა ფლაბიანემ (გოროდეცკი) დიაკვნად აკურთხა. 1902 წლის 23 დეკემბერს გორის „ოქონის“ ღვთისმშობლის მიძინების სახ. საკათედრო ტაძარში მედავითნის შტატში გადაიყვანეს. 1903 წლის 25 იანვარს მისივე თხოვნის საფუძველზე გათავისუფლდა. 1903 წლის 8 ივლისს რამდენიმე თვით ქვათახევის მონასტერში განაწესეს. 1904 წლის 25 იანვარს თელავის ღვთისმშობლის მიძინების სახ. საკათედრო ტაძარში დიაკვნის შტატში დაადგინეს. 1904 წლის 25 იანვრიდან 6 დეკემბრამდე იყო იმავე ტაძართან არსებული ქალთა ორკლასიანი სკოლის სამ განყოფილებაში საღვთო სჯულის პედაგოგი. 1906 წლის 10 აპრილს ავლაბრის მიქაელ

მთავარანგელოზის სახ. ტაძარში გადმოიყვანეს.

1908 წლის 28 მაისს საქართველო-იმერეთის სინოდალურ კანტორაში მოკლეს საქართველოს ეგზარქოსი ნიკონი (სოფისკი). ამ საქმეზე უამრავი პირი დაიკითხა და რამდენიმე ეჭვიც არსებობდა, თუ ვის შეეძლო ეს მკვლელობა ჩაედინა. ერთ-ერთი ეჭვიმტანილი დიაკონი ტიმოთე ბაკურაძეც გახლდათ, რომელიც მცირე ხნით დაპატიმრებულიც კი იყო. ჟანდარმერიის ანონიმი აგენტი ჯერ კიდევ 1908 წლის 16 აპრილს აცნობებდა თბილისის გუბერნიის ჟანდარმერიის სამმართველოს, რომ ეგზარქოსის მოკვლას აპირებდა „დიაკონთა და მეფსალმუნეთა კომიტეტი“, რომელიც თბილისის სოციალ-დემოკრატიული კომიტეტის ხელმძღვანელობით მოქმედებდა. სოციალ-დემოკრატებმა კარგად იცოდნენ, რომ ნიკონის მოკვლას ავტოკეფალისტთა დევნა მოჰყვებოდა, რაც უშუალოდ შედიოდა ქართველ სოციალ-დემოკრატთა გეგმებში; საბოლოოდ, დიაკონი ტიმოთე ამ საქმეში უდანაშაულოდ ცნეს და გაათავისუფლეს.

1916 წლის 1 დეკემბერს დიაკონი ტიმოთე ელიზავეტოპოლის წმ. ალექსანდრე ნეველის სახ. სა-



საქართველოს ეგზარქოსი ნიკონი (სოფისკი)

კათედრო ტაძარში გადაიყვანეს. მისი საქართველოდან გადაყვანა უკავშირდება ავღანის ტაძრის წინამძღვარ, მღვდელ დავით იაშვილთან (შემდგომში — მიტროპოლიტი დიმიტრი) მომხდარ კონფლიქტს, რაც ასახულია იმჟამინდელ პრესაში. აი, რას წერდა 1917 წლის 8 ივლისს, ამასთან დაკავშირებით, დიაკონი ტიმოთე გაზეთ „ერთობაში“: „მოქალაქე რედაქტორო! გაზეთ „ვოზროჟდენიეს“ 28 ივნისის ნომერში წავიკითხე წერილი ავღანის მთავარანგელოზის ეკლესიის შესახებ, სადაც ამ წერილში მეც შემეხო ბ. ავტორი ამ წერილისა, ვითომ პირველად მე, დიაკ. ბაკურაძემ აღვძარი საჩივარი მთავრობის წინაშე მ. იაევზე (იაევს ვხმარობ, რადგანაც ავტორს იაშვილი შეცდომით აქვს ნახმარი, თვით იაევი ყოველთვის იაევს ხმარობდა და არა იაშვილს), რაზედაც გამოძიება დაუნიშნია და არქივებისკ. პლატონს იაევი გაუმართლებია, მე კი გადაუყვანივარ სხვა ადგილზე. ეს წერილი სიმართლეს მოკლებულია. მე გულწრფელად და გულახდილად უნდა მოვახსენო პატივცემულ მკითხველთ, რომ პირველად მე საჩივარი არ მიმიცია მ. იაევზე, როგორც ბ. უსახელოს აქვს ნაჩვენები, არამედ მ. იაევმა იჩივლა ჩემზე პირველად არქივებისკ. პლატონთან ცნობილი გოროდცევის დახმარებით, რის გამოც ჩემდა დაუკითხავად და გამოუძიებლად ბურთივით გადასროლილი ვიყავი კვირაცხოვლის ეკლესიაში და კვირაცხოვლის

მთავარი ბ. დავიდოვი ჩემს ალაგას. ეს მოხდა იმის შემდეგ, როდესაც მთავარანგელოზის სტაროსტას აშეხმანოვს ვადა სამი წლის სამსახურის შეუსრულდა და მეორე სამ წელს იგივე აირჩიეს უკანონოდ, რომელ ოქმზედაც მე ხელი არ მოვანერე, რადგანაც ვიცოდი, რომ აშეხმანოვი უვარგისი პიროვნება იყო ყოველის მხრივ და ისიც კარგად ვიცოდი, ყოველივე ბნელი საქმეები აშეხმანოვისა და მ. იაევისა ძრიელ მაგრად იყო გადასკვნილი ერთი მეორეზედ. უკანონო არჩევანი განასაჩივრეს და გოროდცოვის მეცადინეობით კანტორამ კანონიერად იცნო იგი. შემდეგ ამავე ეკლესიის მრევლს მოესურვებია, ჩემი ამ მრევლში ათის წლის სამსახურის აღსანიშნავად იუბილე გადაეხადნათ და ეთხოვათ არქივს. პლატონისათვის, რომ ჩემს ადგილზე ვეკურთხებინე მღვდლად. მაგრამ როგორც მ. იაევს ეს ამბავი გაეგო, ელდა სცემოდა და რომ ამისთვის ხელი შეეშალნა ვიდრემდის ამ საქმისთვის არქივს. პლატონთან დეპუტაცია წავიდოდა მანამდის, როგორც ზევით ვსთქვი, გოროდცევის დახმარებით მე კვირაცხოვლის ეკლესიაში გადავეყვანე. როდესაც მე და მ. დავიდოვმა დაეარწმუნეთ არქივს. პლატონი, რომ ეს ორივესთვის სასჯელია, მაშინ მისის ნებართვით შევიტანეთ თხოვნა, მე ჩემს ალაგას დამტოვა და მ. დავდოვი მღვდლად აკურთხა. ამის შემდეგ მ. იაევი თავის ძალასა და ენერჯიას აღარა ჰზოგავს როგორმე მომიშოროს და, გაძვრა ხან გოროდცოვთან, ხან ანტონ ეპისკოპოსთან და მის მარჯვენა ხელებთან და ხან ვისთან, როგორც ეს ჩვეულებათა აქვს ჩვენს პატივცემულ მამებს. არ სცხრება მ იაევი, რაპორტს რაპორტზე ჰგზავნის გოროდცოვის სახელზე წარსადგენად არქივს პლატონთან, რასაც მოჰყვა ჩემი გადაყვანა ადმინისტრაციული წესით ელიზავეტოპოლში.

1 დეკემბერს 1916წ. როგორც გოროდცოვის, აგრეთვე ანტონ ეპისკოპოსის წყალობით და დახმარებით, პოლიტიკურ დამნაშავედ მცნეს, (რაზედაც თუ საჭირო იქნება საბუთებსაც წარმოვადგენ) და დღევანდლამდის უსამსახუროდ ვიმყოფები, ამას ქართველი საზოგადოება, უკეთ რომ ვსთქვა, ქართველი ბიუროკრატია სიჩუმით შეჰხვდა, რადგან მე მაღალი წრის სამღვდლოების წევრს არ შევადგენდი. იაევის საქმე კი, როგორც უმაღლესი სამღვდლოების წევრის, უმაღლეს წერტილამდის მიიყვანა დღეს ჩვენმა ბიუროკრატიათ. იცის უვიცმა უსახელო ავტორმა, რომ მ. იაევმა საძირკველი რუსის მღვდელს მაშინ ჩაუყარა, როდესაც მე გამომისტუმრა? თუ არ იცის, ყური დამიგდოს რას ვკითხავ: მე რომ გამომისტუმრა მთავარანგელოზის ეკლესიიდან, ჩემს მოადგილედ ვინ ემსახურებოდა? აბა ერთი

ამაზე მიპასუხოს! მე ბ.. ავტორო, იმაზე არ გიპასუხებთ, რომ მთავრები და დიაკვნები ვითომ ჩემს გავლენის ქვეშ იმყოფებოდნენ, რადგანაც ვიმედოვნებ, რომ ისინი თითონ გიპასუხებენ და თქვენს ცილის წამებას ამცნობენ ქვეყანას. მაგრამ მე კი ერთს მაინც შეგეკითხებით, თქვენ ვის გავლენის ქვეშ იმყოფებით, როდესაც ასეთს სიცრუვეს გაზეთის ფურცლებზე აქვეყნებდით? ნუ თუ ანგარიშს არ აძლევდით თქვენს თავს, როდესაც ასე უხეშად ემალეოდით იმ სულმდაბალ ადამიანს, რომელმაც ასეთი ცნობები მოგართვათ! ერთსაც გკითხავთ, ქართველი მრევლთაგანი, რომლებიც მოითხოვენ გამოძიების დანიშვნას, შეიძლება გთხოვოთ, რომ მათი ვინაობა მაცნობოთ? აბა თუ შეიძლება — მაშ აბა ერთი მათი სახელი და გვარები გამოაქვეყნეთ! მე ბევრს აღარ გამოვეკიდები თქვენს სიცრუვეს, რადგან მ. იაევმა არა მარტო თქვენ შეგიყვანათ შეცდომაში, არამედ არქივისკოპ. პლატონიც ასევე შეიყვანა შეცდომაში, მაგრამ როდესაც მან გაიგო საქმის ვითარება, ბევრი ინანა. აგრეთვე თქვენც მოგელით. ჯერჯერობით ეს იკმარეთ ბ. უსახელო ავტორო. მოუწოდებ როგორც სამღვდელეობას, აგრეთვე დაინტერესებულ ერს, თუ ვისმეს რამე სათქმელი აქვს, ნუ დაიმალება, სთქოს“.

1917 წლის 16 მარტს თბილისის ქალაქის სამღვდელეობამ თავის რწმუნებულად საქართველოს ეკლესიის დროებით მმართველობაში ოთხი პირი აირჩია: დეკანოზი კალისტრატე ცინცაძე, მღვდელი ქრისტეფორე ციციქიშვილი, დიაკონი ტიმოთე ბაკურაძე და მედავითნე გაბრიელ ყუბანეიშვილი.

1917 წლის 13 აპრილს ქ. თბილისის ეკლესიის მედავითნეებმა, დიაკვნებმა და მათს ადგილებზე მყოფმა მღვდლებმა დააარსეს პროფესიონალური კავშირი თავისი ინტერესების დასაცავად. ამ კავშირის სულისჩამდგმელი და აქტიური წევრი გახლდათ დიაკონი ტიმოთე. მალევე იგი კავშირის ხარჯებით გაემგზავრა თელავის, სიღნაღისა და თიანეთის მაზრებში, სადაც მან შეადგინა ადგილობრივ საეკლესიო დაბალ მსახურთა შორის მსგავსი კავშირები მათი ყოფა-ცხოვრების მოსაგვარებლად. ეს კავშირები თბილისის მედავითნეთა კავშირის ფილიალები იყო.

ქართულ პრესაში ამ ფილიალების დაარსების შესახებ წერილები დაიბეჭდა. 1917 წლის 28 აპრილს გაიმართა სიღნაღის მაზრის მთავარ-დიაკონების და მედავითნეების კრება საკუთარ ორგანიზაციის დასაარსებლად. კრებას დაესწრო თბილისის მთავარ-დიაკონების და მედავითნეების წარმომადგენელი დიაკონი ტიმოთე ბაკურაძე, რომელიც ერთხმად იქნა არჩეული კრების თავმჯდომარედ. მამა ტიმოთემ კრებას სიტყვით მიმართა: ისაუბრა იმდროინდელ ვითარებაზე და განუმარტა თუ რას ემსახურებოდა



ეპისკოპოსი ლეონიდე (ოქროპირიძე)

მათი ძალისხმევა. კრება აღფრთოვანებული შეხვდა მის სასიკეთო მოწოდებას ორგანიზაციის დაარსების შესახებ. ორგანიზაციის თავმჯდომარედ აირჩეს დიაკონი გრიგოლ კოლელიშვილი, წევრები გახდნენ: ათანასე ქუმისიაშვილი და ტიმოთე მენთეშაშვილი, კანდიდატები: სანდრო ნათიძე და ალექსი მერაბაშვილი, მხოლოდ თითო სამთავარსუცესო ოლქის წარმომადგენლებად, პირველ სამთავარსუცესოდან — ლადო მესტიაშვილი, მეორედან — ვასილ მესტიაშვილი, მესამედან — ლევან მულალაშვილი და მეოთხედან — სილოვან ფირანაშვილი. ხაზინადრად — დიაკონი გრიგოლ კოლელიშვილი“.

დიაკონ ტიმოთეს შექმნილ დიაკონ-მედავითნეთა კავშირს დიდი გამოხმაურება მოჰყვა მთელი საქართველოში და დიდი არეულობაც შეიტანა საეკლესიო ცხოვრებაში. როგორც დროებითი მმართველობის წევრი, იგი აქტიურად მონაწილეობდა დროებითი მმართველობის ჩატარებულ სხდომებზე და ითხოვდა დიაკონ-მედავითნეთა პრობლემებისა და საკითხების გადაჭრას. სამწუხაროდ, როგორც ჩანს, მას ამ სხდომაზე ყურს არავინ უგდებდა და 1917 წლის 15 მაისს იგი დაუპირისპირდა დროებითი მმართველობის თავმჯდომარეს, გურია-სამეგრელოს ეპისკოპოს ლეონიდეს (ოქროპირიძე). კრებაზე მან შეურაცხყოფა მიაყენა ყოვლადსამღვდლო ლეონიდესა და მმართველობის მთელ შემადგენლობას. რის გამოც მმართველობამ მიხეილ ვასილის ძე მა-



ქანდაკერიანი შაგვინი დიაკონ ტიმოთე პირადი საქმა

ჩაბელსა და პართენ გოთუას დაევაღათ, დასწრე-
ბოდენ თბილისის სამღვდლოების კრებას და იქ
ეთხოვათ, რათა დიაკონი ბაკურაძე და მედავითენ
ყუბანეიშვილი გაეთავისუფლებიათ მმართველო-
ბის შემადგენლობიდან. მართლაც, ასე მოხდა. მი-
უხედავად საქართველოს სხვადასხვა კუთხეებიდან
გამოგზავნილი რამდენიმე თხოვნისა, რომ აღედგი-
ნათ იგი თანამდებობაზე, გადწყვეტილება ძალაში
დარჩა. აქედან დაიწყო მისი დაპირისპირება მეუფე
ლეონიდესთან, რაც დამთავრდა იმით, რომ 1917
წლის სექტემბერში, კათოლიკოს-პატრიარქის არ-
ჩევნების დროს, დიაკონ ტიმოთეს აგიტაციის წყა-
ლობით მთელი საქართველოს ტერიტორიაზე კი-
რიონის სასარგებლოდ, რუსეთიდან ახლად დაბრუ-
ნებულმა ეპისკოპოსმა კირიონმა რამდენიმე ხმით
აჯობა თბილელ მიტროპოლიტ ლეონიდეს.

„ვინ მოკლა რუსი ეგზარქოსი ნიკონი?“, ქ. თბილი-
სო 2014წ. გვ. 227-229.

ლიტ: დეკანოზი ნიკიტა თალაქვაძე „მოქალა-
ქე-მღვდლის დღიურიდან“ ქ. თბილისი, 2013წ. გვ.
109-113;

„საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის
დროებითი მმართველობის სხდომის ყურნალები
1917 წლის 13 მარტი-14 სექტემბერი“ (გამოსაცე-
მად მოამზადეს, წინასიტყვაობა, კომენტარები და
ბიოგრაფიული ცნობები დაურთეს ისტორიის დოქ-
ტორებმა ნ. შიოლაშვილმა და ირ. არაბიძემ) ქ. თბი-
ლისი, 2016წ. გვ. 292-293.

მღვდელი
გიორგი მაჩუროშვილი

თუ თქვენს საოჯახო არქივში მოიპოვება სასულიერო პირთა და საქართველოს ეკლესია-მონასტართა
ფოტოგრაფიები, გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ, რათა ერთობლივი ძალისხმევით დავიწყებისგან ვიხსნათ ისინი.
ჩვენი ტელეფონები: 593 19 36 04; 599 88 66 90; 2 32 48 66; 2 98 95 41

გთხოვთ, გაზათს გაუფრთხილდეთ მასში დაგვიწერილი მასალების გამო
საბანკო ანგარიში: სს „ლიბერთი ბანკი“ ბანკის კოდი: LBRTGE22.
ანგარიში: № GE57LB0115123530407000. საბანკო კოდი — 45 01 56.
რედაქტორის მოადგილის ელ.ფოსტა:
bokuchavananal@gmail.com.
მის: ერეკლე II-ის მოედანი 1, საქართველოს
საპატრიარქოს პრესცენტრი. ტელ. 2 98-95-41



რედაქტორის მოადგილე: ნანა ბოკუჩავა ტ: 599 23 10 54
სარედაქციო კოლეგია: მიტროპოლიტი დიმიტრი
(შიოლაშვილი), მარიამ გაგუა, ნინო გაგომაშვილი,
თამარ ასათიანი, მღვდელი გიორგი მაჩუროშვილი, ია ხაზ-
არაძე, სერგო კერესელიძე, ბულაღტერი: ვლასი ჯიბლაძე;
გაერცელები: ცარო ვარდიშვილი, მამუკა კვაჭანტირაძე;
დასავ. საქართველოში გაერცელება ზაზა უგულავა 595343056
დამკაბდონებელი: ვალერიან ფულელი

უკვე ცნობილია, რომ უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილების შემდეგ 21 შტატი ემზადება, სრულად აკრძალოს ან მკაცრად გააკონტროლოს აბორტების ლიმიტი. პირველი შტატი, სადაც კანონი ამოქმედდა, იყო მისური „რესპუბლიკელებით“ დაკომპლექტებულმა ადგილობრივმა პარლამენტმა ჯერ კიდევ 2019 წელს ამოქმედა „კანონი არდაბადებული ბავშვის სიცოცხლის უფლების შესახებ“.

სამხრეთ დაკოტის გუბერნატორის თქმით, შტატში ამიერიდან აკრძალულია აბორტი, „გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საქმე ეხება დედის სიცოცხლეს“. მსგავსი საკანონმდებლო ნორმა ძალაში შევიდა იუტის შტატშიც.

**ვინიუსისა და ლიეტუვის
მიტროპოლიტმა ინოკენტიმ
კანონიკური დანაშაულებების
გამო ოთხი სასულიერო პირი
სამღვდელთა ხარისხიდან განკვეთა**

ვინიუსისა და ლიეტუვის ეპარქიის საეკლესიო სასამართლომ განიხილა ვიტალი მოცკუსის, ვიტალი დაუპარასის, გიორგი ანანიევისა და ვლადიმირ სელიავკოს საქმიანობა და განაჩინა, რომ მათ ბრალი ედებათ:

სამღვდელთა აღთქმის დარღვევა (მოციქულთა 25-ე კანონი), მმართველი მღვდელმთავრის დაუმორჩილებლობა და საზოგადო მსახურების

წარმართვა ეპისკოპოსის ლოცვა-კურთხევის გარეშე (მოციქულთა 39-ე კანონი), თავიანთი ეპისკოპოსისა და მოძმე მღვდელმსახურების წინააღმდეგ შეთქმულება, საეკლესიო მშვიდობის დარღვევა (IV მსოფ. კრების მე-18 კანონი და ტრულის კრების 34-ე კანონი), სხვა საეკლესიო იურისდიქციაში გადასვლა თავიანთი ეპისკოპოსის ლოცვა-კურთხევის გარეშე (I მსოფ. კრების მე-16 კანონი), ეკლესიისა და მისი იერარქების დისკრედიტაციაში მონაწილეობა (მოციქულთა 55-ე კანონი).

ანალოგიური ბრალდებებით 23 ივნისს სამღვდელთა ხარისხიდან განიკვეთა ეპარქიის კიდევ ერთი მღვდელმსახური გინტარას სუნგაილა.

თავად ერთ-ერთი ბრალდებული, ვლადიმირ სელიავკო აცხადებს, რომ მისი და კიდევ ოთხი პირის სამღვდელთა ხარისხიდან განკვეთის მიზეზი გახდა მათი პოზიცია უკრაინის ომთან დაკავშირებით.

ხუთმა სასულიერო პირმა ღიად დაგმო რუსეთის აგრესია უკრაინაში და გააკრიტიკა პატრიარქი კირილე მისი პოზიციის გამო. გარდა ამისა, სელიავკომ უარი განაცხადა საეკლესიო სასამართლოში მისვლაზე, რადგან მიწვევის წერილში არ იყო მითითებული, რაში ედებოდა ბრალი. ვლადიმერ სელიავკო აპირებს აპელაციით მიმართოს მსოფლიო პატრიარქს.

ისტორიის ფურცელი

მღვდელი ტიმოთე ბაკურაძე

1868-1920

II ნაწილი

**„ყოფილი დიაკონი, რომელიც მღვდლად აკურთხა
კათოლიკოზმა კირიონმა წმ. ილიას ეკლესიისათვის“**

1917 წლის ნოემბერში მისი მღვდლად კურთხევის თხოვნით კათოლიკოს-პატრიარქ კირიონ II-ს (საძაგლიშვილი) მიმართა მარია ხოლოზოვამ. იგი იყო დედა კონსტანტინე ანდრიას ძე ხოლოზოვისა, რომელსაც თავად ბებუთოვისაგან შეუძენია მიწა მახათის მთაზე და ძველი ქართული ტაძრის ნანგრევების ადგილზე აუშენებია წმ. ილიას ხის სამლოცველო, სადაც დიაკვნად მსახურობდა ტიმოთე ბაკურაძე (ქვის ტაძრის აშენება კ. ხოლოზოვს დე-

დისთვის ანდერძად დაუბარებია). მარია ხოლოზოვა მღვდელ ტიმოთეს ახასიათებს როგორც გულისხმიერ, სამართლიან და მოღვაწე ადამიანს. 1917 წლის 3 დეკემბერს ანჩისხატის ღვთისმშობლის შობის სახ. საპატრიარქო ტაძარში კათოლიკოს-პატრიარქმა კირიონ II-მ (საძაგლიშვილი) მღვდლად დაასხა ხელი და თბილისის წმ. ილია წინასწარმეტყველის სახ. ტაძარში განაწესა (შტატით იგი მიწერილი იყო სვეტიცხოვლის საპატრიარქო ტაძარს).

1918 წლის 4 მარტს მღვდელი ტიმოთე ბაკურაძე სიონის საკათედრო ტაძარში ყველიერის კვირიაკეს წირვას დაესწრო. იქვე იყო არმაზის მონასტრის მღვდელ-მონაზონი მირიანი (ბეჯაური). როგორც სიონის საკათედრო ტაძრის მნათის, ივანე რატიშვილის, მოხსენებიდან ჩანს, ორივე მოძღვარი მსახურების დროს გამუდმებით ლაპარაკობდა ერთმანეთთან და ხელს უშლიდნენ წირვის მსვლელობას. იგივე გააგრძელეს ამბიონზე ტფილელი მიტროპოლიტი ლეონიდეს (ოქროპირიძე) ქადაგების დროსაც, რის გამოც ივანე რატიშვილისგან მიიღეს შენიშვნა, რაც კონფლიქტში გადაიზარდა. 1918 წლის 6 მარტს მათი საქმე განიხილა თბილისის სამიტროპოლიტო სასამართლომ და ორივე მღვდელმსახურს მღვდელმოქმედება შეუჩერა. უნდა ითქვას, რომ ამ დროს კათოლიკოს-პატრიარქი კირიონი ავადმყოფობდა და საქმის კურსში არ იყო. როგორც კი გამოჯანმრთელდა და კვლავ დაუბრუნდა სამუშაო რეჟიმს, მან ორივე აღადგინა მღვდელმსახურებაში. აი, რას წერდა ამასთან დაკავშირებით **„ჭურნალი „ახალი სიტყვა“**:

„როგორც მოხსენებული გვექონდა, 6 მარტს, კრებაზე, საკათალიკოსო საბჭომ მღვდელ-მონაზონ მირიანსა და მღ. ტ. ბაკურაძეს აუკვეთა ღვთის მსახურება. ეს დადგენილება მიღებულ იქმნა მაშინ ერთხმად. ეს დადგენილება არ მოწონებია ზოგთ. აღუძრავთ საკითხი, მაგრამ საკათალიკოსო საბჭოს შემადგენლობას, ორი ხმის წინააღმდეგ, უარუყვია ეს აზრი და განზრახვა. საგულისხმიერო და დამახასიათებელია დეკ. ნ. თალაქვაძის ქცევა ამ საქმეში. უმაღლეს დაწესებულების, საკათ. საბჭოს, წევრი ორ სხდომაზე ერთსა და იმავე საგანზე გამოსთქვამს ორს დიამეტრალურად სანინააღმდეგო აზრს, იმისდა მიხედვით, თუ ვინ თავჯდომარეობს კრებას, პეტრე თუ ივანე, მიტროპოლიტი თუ კათალიკოსი. მ. თალაქვაძე 6 მარტს მიემხრო ბრალდებულთა დასჯას, შემდეგ კი იმავე თავის მიერ დადასტურებულ დადგენილებაზე „პროტესტს“ აცხადებს. პირველ შემთხვევაში თავჯდომარეობდა მიტროპოლიტი ლეონიდე (კათოლიკოსის ავადმყოფობისა გამო), ხოლო მეორეში — კათოლიკოსი კირიონი“.

მღვდელი ტიმოთე სამჯერ არის ნახსენები 1918 წლის 23 მაისის სხდომაზე საკათალიკოსო საბჭოს წევრების მიერ კათოლიკოს-პატრიარქ კირიონისადმი წარდგენილ 14 პუნქტიან მოხსენებაში, სადაც მის შესახებ ვკითხულობთ:

„... 5) ვისაც ავტოკეფალიის გამოცხადების პირველ ჩვენი საეკლესიო ცხოვრებისათვის თვალის უღვევებია, იმან იცის — თუ რა საზიზღარ ოპოზიციას იწვევდა დროებით მმართველობას ცნობილი

დიაკონი ტ. ბაკურაძე, რომელიც რუსების სასულიერო მთავრობასთან ურთიერთობასაც კი არ მოერიდა, იმის მაგივრად, რომ ასეთი ადამიანი, როგორც სამშობლო ეკლესიის წინააღმდეგ მოქმედი, ჯეროვან პასუხისგებაში მიეცა, მისმა უწმინდესობამ ის, საბჭოს დაუკითხავად, აკურთხა. როდესაც საბჭოს ერთმა წევრმა შენიშნა, რომ საქართველოს ეკლესიის შეურაცხყოფააო, კათოლიკოსმა უპასუხა: „შენთვის საქართველოს ვეჭილობა არავის მოუნდვიაო“; ...7) მღვდელმა ტ. ბაკურაძემ და მღვდელ-მონაზონ მირიანმა ისეთი უწესობა ჩაიდინეს სიონის ტაძარში წირვის დროს, რისთვისაც საკათალიკოსო საბჭოს შეერთებულმა კრებამ, მიტროპოლიტ ლეონიდის თავჯდომარეობით დროებით მღვდელმოქმედება აუკრძალა მათ. საეკლესიო კანონებით მღვდელმოქმედების დაბრუნება იმათთვის შეეძლო მხოლოდ იმ ორგანოს და იმ მღვდელმთავარს, რომელთაც აუკრძალეს ის. ამათ, ე. ი. საკათალიკოსო საბჭოს და სასამართლოს შეერთებულ კრებას და მიტროპოლიტ ლეონიდს. მისმა უწმინდესობამ კი სასამართლოს წევრთა დაუსწრებლად და მხოლოდ საბჭოს რამოდენიმე წევრთა თანხმობით, წინააღმდეგ მიტროპოლიტ ლეონიდის სურვილისა, მათ დაუბრუნა აკრძალული მღვდელმოქმედება; ...11) ზემოდასახელებული ბაკურაძე მისმა უწმინდესობამ მღვდლად აკურთხა არა თავის, მცხეთის ეპარქიაში, არამედ თბილისისაში, რომელიც ადგილობრივ მღვდელმთავრის და სხვა სათანადო ორგანოს დაუკითხავად, თავის ეპარქიაში გადარიცხა, ამგვარ მტაცებლობისა და სხვა ეპარქიაში ხელის გარევისათვის საეკლესიო კრებები სასტიკ კანონს განაჩინებენ“.

მღვდელი ტიმოთე 1920 წლის 26 ივნისს, მეორე საეკლესიო კრების დაწყების წინ, უცნობმა პირებმა საკუთარ სახლთან მოკლეს.

მღვდელ ტიმოთე ბაკურაძეზე საინტერესო მოგონებები შემოგვინახა დეკანოზმა ნიკიტა თა-

თბილისში მახათის გორაზედ გაშენებული ნიში წმ. ილიას სახელობისა მიეწერა მცხეთის საკრებულო ტაძარს და იქ მღვდლად დაინიშნა ავლაბრის მთავარანგელოზის ტაძრის ყოფილი დიაკონი მ. ტიმოთე ბაკურაძე, რომლის ხელდასხმა შეასრულა მცხეთის მთავარეპისკოპოსმა და სრულიად საქართველოს პატრიარქ-კათოლიკოსმა კირიონ მეორემ ანჩისხეტის ტაძარში.

დიაკონ ტიმოთის კურთხევის ცნობა შურნალ „ახალ სიტყვაში“

ლაქვაძემ, რომელიც პირადად და ახლოს იცნობდა მას და მანვე დაკრძალა მოკლული მოძღვარი. აი, რას წერდა იგი: „თუმცა ბევრს ჰგონია, რომ კათოლიკოზ კირიონის არჩევაში მე ვითამაშე გადამწყვეტი როლი — ეს სრული ტყუილია, ჩემს ბუნებას არ ეხერხება აგიტაცია-აგენტობა; ამიტომ არც მეორე საეკლესიო კრებას გავმკლავებივარ, უმკლავებოდა მხოლოდ მღ. ტიმოთე ბაკურაძე, ყოფილი დიაკონი, რომელიც მღვდლად აკურთხა კათოლიკოზმა კირიონმა წმ. ილიას ეკლესიისათვის, ამ ეკლესიის ამშენებელ რუსთა ერთი ოჯახის თხოვნით; ეს ბაკურაძე დიდი მომხრე იყო კირიონისა, ხოლო მონინალმდევე ლეონიდ-დავიდოვისა; იყო მეტად მოუსვენარი, თავხედი და შეუპოვარი პიროვნება; ამან შექმნა საქართველოში „დიაკონთა მოძრაობა“ მღვდლების წინააღმდეგ; დადიოდა საქართველოს ყველა კუთხეებში და ეწეოდა ამ თაობაზე აგიტაციას; მეტად აყვია კაცი იყო და ყველა ერიდებოდა მასთან უსიამოვნებას; აი ამ ბაკურაძემ გასწია კირიონის



მღვდელი
ტიმოთე ბაკურაძე

მედავიტონეთა კავშირისათვის ბელადი წაერთმია და ეს კავშირი დარღვეულიყო, როგორც მავნე ეკლესიისათვის და მიზანსაც მიანღნია — ეს კავშირი უბაკურაძეოდ დაირღვა, მაგრამ ბაკურაძე დაუცხრომელ მებრძოლ პირად გაუჩნდა ლეონიდ-დავიდოვს და კომპანიას კირიონის დალუპვის შემდეგ; 1920 წელს, მეორე საეკლესიო კრების მოწვევის წინ, მღვდელ ბაკურაძეს საეკლესიო კრებისათვის შეუდგენია მოწოდება, რომელშიდაც ის სასტიკად მხილების კილოთი ამჟღავნებდა ყოველივე იმ ბოროტ-მოქმედებას, ეკლესიის სფეროში გამეფებულ ძარცვა-გლეჯას და უსაქციელობას, რომელსაც კირიონის მოკვლის შემდეგ ჰქონდა ადგილი. ეს „მოწოდება“ დაუბეჭდია უბედურ ბაკურაძეს და კრების გახსნის წინა დღეს რამოდენიმე ცალი საერო მთავრობის წარმომადგენელთათვის დაუგზავნია, ალბათ ზოგიერთ სხვა პირებსაც მისცემდა, ხოლო ამათგან გაიგებდნენ ისინიც, ვისაც ეს ეხებოდა და 1920 წლის ივლისში, კრების გახსნის წინა ღამით, შაბათ

სასარგებლოდ არჩევნები, კირიონი აირჩია პროვინციის დელეგატებმა, ხოლო ინტელიგენციამ და ქალაქმა ხმა მისცა ლეონიდს — დავიდოვის, პეტრე ბარათაშვილის, რ. ივანიცკის და დეკ. კ. კეკელიძის აგიტაციით და ხელმძღვანელობით; კირიონმა ბაკურაძეს დიაკონ-მედავიტონე წრიდან გამოყვანა განიზრახა და ამ აზრით უფრო ხელმძღვანელობდა, როდესაც წმ. ილიას ეკლესიის მღვდლად აკურთხა, ჯერ, ვინაიდან ეს ტაძარი შტატის არ იყო, ბაკურაძე ანჩისხატის ტაძარზე მოენერა კირიონს და როდესაც მე ამის თაობაზე უკმაყოფილება გამოვსთქვი, წაშალა, ხაზი გაუსვა ანჩისხატს და მცხეთაზე მიანერა (ამ წერილიდან ჩანს, რომ მღვდელი ტიმოთეც და არმაზის მონასტრის მღვდელ-მონაზონი მირიანიც ორივე უწმინდესი კირიონის ეპარქიას, მცხეთას ეკუთვნოდნენ და საკათალიკოზო საბჭოს და თბილელ მიტროპოლიტ ლეონიდეს კირიონის უკითხავად მათი დასჯის უფლება არ ჰქონდათ — გ.მ.). კირიონს უნდოდა ბაკურაძის მღვდლად კურთხევით

სალამოს, მღ. ტიმოთე, როდესაც ის ბრუნდებოდა ლოცვიდან სახლში, 8 საათზე, ვერაგულად მოკლულ იქმნა მისსავე სახლის მახლობლად ჩასაფრებულ პირისაგან. ეს მკვლველობა მისს ცოლს გადააბრალებს, რომელთანაც უსიამოვნება ჰქონდა ბაკურაძეს, ვითომცა და გარყვნილების ნიადავზე; ცოლი დაიჭირეს, მისი ვითომდა „საყვარელიც“, მაგრამ ორთავენი მალე გაანთავისუფლეს, ხოლო გამოძიება უცბად შესწყდა. გამოძიებამ მკვლევლობის შემდეგ მის სახლში აღმოაჩინა ბაკურაძის „მოწოდებანი“ დასარიგებლად გამზადებული, 500 ცალი... მე დავასაფლავე უბედური, მთავარანგელოზის ტაძრის გალავანში, ავლაბარში; დასაფლავებაზე წარმოვსთქვი სათანადო მოძღვრება, დავახასიათე ჩვენი ყოფა-მდგომარეობა და ასეთი უაზრო-უგზაკვალო მკვლევლობანი ეკლესიის სფეროშიაც კი; ხალხი ბლომად დაესწრო, სამღვდელოებაც დაესწრო, საკათალიკოსო საბჭოდან მხოლოდ ქრ. კაპანაძე იყო, დიდი დეკანოზები დამფრთხალი იყვნენ და ერიდებოდნენ



საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის პირველი საეკლესიო კრება. 1917 წელი. ცენტრში კათალიკოს-პატრიარქის უკან სხას დიაკონი ტიმოთე ბაკურაძე

კიდევ ასეთ კაცთან საქმის დაჭერას, თუგინდ კუბოს წინაშე პატივისცემას! დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია ბაკურაძის ასე საოცრად მოკვლამ“.

დარჩა მეუღლე — ოლლა ესტატეს ასული წვერა-ვა (დაბ. 1885წ.) და შვილი — ნინო (დაბ. 1907წ.).

წყარო: საქართველოს სახელმწიფო ცენტრალური საისტორიო არქივი, ფ. 489, აღწერა 1, საქმე №50823; საქართველოს საპატრიარქოს არქივი, აღწერა 1, საქმე №807; Журнал „Духовный вестник Грузинского Экзархата“ 1898წ. №12; 1899წ. №11; 1903წ. №4; №6; Журнал „Вестник Грузинского Экзархата“ 1917წ. №3-4; გაზეთი „ერთობა“ 1917წ. №91, გვ. 4; გაზეთი „საქართველო“ 1917წ. №99, გვ. 4; ჟურნალი „ახალი სიტყვა“ 1918წ. №1, გვ. 7; №4,

გვ. 12; №8, გვ. 10-12; ჟურნალი „გული გონიერი“ ვ. გურული „ვინ მოკლა რუსი ეგზარქოსი ნიკონი?“, ქ. თბილისი 2014წ. გვ. 227-229.

ლიტ: დეკანოზი ნიკიტა თალაქვაძე „მოქალაქე-მღვდლის დღიურიდან“ ქ. თბილისი, 2013წ. გვ. 109-113; „საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის დროებითი მმართველობის სხდომის ჟურნალები 1917 წლის 13 მარტი-14 სექტემბერი“ (გამოსაცემად მოამზადეს, წინასიტყვაობა, კომენტარები და ბიოგრაფიული ცნობები დაურთეს ისტორიის დოქტორებმა ნ. შიოლაშვილმა და ირ. არაბიძემ) ქ. თბილისი, 2016წ. გვ. 292-293.

მღვდელი გიორგი მაჩურიშვილი

თუ თქვენს საოჯახო არქივში მოიპოვება სასულიერო პირთა და საქართველოს ეკლესია-მონასტართა ფოტოები, გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ, რათა ერთობლივი ძალისხმევით დავინახავსგან ვიხსნათ ისინი. ჩვენი ტელეფონებია: 593 19 36 04; 599 88 66 90; 2 32 48 66; 2 98 95 41

გთხოვთ, გაზათს გაუფრთხილდეთ მასში დაგაქვდილი მასალების გამო საბანკო ანგარიში: სს „ლიბერთი ბანკი“ ბანკის კოდი: LBRTGE22. ანგარიში: № GE57LB0115123530407000. საბანკო კოდი — 45 01 56. რედაქტორის მოადგილის ელ.ფოსტა: bokuchavanani@gmail.com. მის: ერეკლე II-ის მოედანი 1, საქართველოს საპატრიარქოს პრესცენტრი. ტელ. 2 98-95-41



რედაქტორის მოადგილე: ნანა ბოკუჩავა ტ: 599 23 10 54
სარედაქციო კოლეგია: მიტროპოლიტი დიმიტრი (შიოლაშვილი), მარიამ გაგუა, ნინო ვაგოშაშვილი, თამარ ასათიანი, მღვდელი გიორგი მაჩურიშვილი, ია ხაზარაძე, სერგო კერესელიძე, ბუღალტერი: ელასი ჯიბლაძე; გაერცვლება: ცარო ვარდიშვილი, მამუკა კვაჭანტორაძე დასავ. საქართველოში გაერცვლება ზახა უგულავა 595343056 დამკაბადონებელი: ვალერიან ჯუღელი

მიღებასთან, არამედ V ს-ში ჩვენი წინაპრების მიერ მოპოვებული ავტოკეფალიის აღიარებასთან კონსტანტინეპოლის მთავარეპისკოპოსის, ახალი რომისა და მსოფლიო პატრიარქის, დიმიტრიოსის მიერ. ეს რა თქმა უნდა ისტორიული სამართლიანობის აღდგენაა და დიდი აღიარება და სიხარულია ქართველი ხალხისთვის. უწმინდესმა და უნეტარესმა შეძლო თანამედროვე ეპოქაში გამოენართო ქართველი ადამიანის ბუნება და ის სულიერებისკენ შემოებრუნებინა, რათა მომზადებული შეხვედროდა ჩვენი დროის გამოწვევებს.

უწმინდესი და უნეტარესი ილია II ერთადერთი საჭეთმპყრობელია, რომელმაც 2002 წელს პაპა-

ნაქება სიცხეში კიბის ათასეული საფეხური აიარა ფეხშიშველმა სინას მთის იმ წვერამდე, სადაც მამა ღმერთმა სჯულის ფიცრები გადასცა მოსეს. სწორედ ამ ადგილზე უწმინდესმა და უნეტარესმა საქართველოსა და მასში მცხოვრები ხალხისთვის ასეთი სიტყვებით ილოცა:

მამაო ჩვენო, დიდება შენდა! ძეო ღმრთისაო, დიდება შენდა! სულო წმინდაო, დიდება შენდა! ყოვლადწმინდაო სამებაო, ერთარსებაო, შემოქმედო და განმგებლო ორთავ სამყაროსო, დიდება შენდა!

მასალა მოამზადა
ია ხაზარაძემ

ისტორიის ფურცელი

დეკანოზები იოანე და

გაბრიელ ქართველიშვილები

დეკანოზი იოანე ქართველიშვილი 1772 წლის 20 სექტემბერს ქართლში სოფ. ფხვენისში სამეფო ყმის ოჯახში დაიბადა. მამამისი, ოთარ ქართველიშვილი, ბატონიშვილთა ნაყმევი, ყმობიდან გათავისუფლებული, სოფ. გომისჯვარში ცხოვრობდა. მოგვიანებით იქიდან აყრილა და სამშვილდეში, აბდულა-ბეგთან მისულა. აბდულა-ბეგს (იესე მეფის შვილს) ოთარისა და მისი ძმისათვის მამული მიუცია და თავის კარზე დაუყენებია. სამშვილდეს აკლესების შემდეგ ოთარი და მისი ძმა შიდა ქართლში გადავიდნენ. ოთარი სოფელ ფხვენისში დასახლდა და სხვადასხვა სამუშაოთი ირჩენდა თავს. გარდაიცვლა მაშინ, როდესაც იოანე ჯერ კიდევ პატარა იყო. ჰყავდა ერთი და — მარიამი (გარდ. 28.11.1790წ.). დაობლებულ შვილს დედა — თამარი (გარდ. 4.05.1800წ.) თავიდანვე მღვდლად ამზადებდა: ჯერ ფხვენისის მღვდელს მიაბარა სასწავლებლად, შემდეგ სოფ. შინდისის მღვდელს და ბოლოს — ცხინვალისას. 1784 წელს იოანე დედამ თბილისში ჩაიყვანა და კალოუზნის წმ. გიორგის სახ. ტაძრის მღვდელ იოანეს ჩააბარა.

1787 წლის ივნისში იოანე არქიმანდრიტ ტრიფილეს (ჯორაშვილი) ძმისწულზე დაინიშნა. ამავე პერიოდში იგი იპოვდა მსახურობს თბილისის სიონის საკათედრო ტაძარში და თან მეცადინეობას

აგრძელებს — სწავლობს მხედრულს, რადგან მანამდე მხოლოდ ხუცური წერა-კითხვა იცოდა.

1788 წლის 16 იანვარს იოანემ ჯვარი დაინერა, მაგრამ არა ტრიფილეს ძმისწულზე, არამედ ლეკყოფილ დიმიტრის ასულ მარიამზე. 1788 წლის 12 მარტს სიონის ღვთისმშობლის მიძინების სახ. საკათედრო ტაძარში თბილელმა მიტროპოლიტმა გერმანემ დიაკვნად აკურთხა. 1788-1789 წლებში, თავისი მოძღვრის ლოცვა-კურთხევით, გადანერა ლოცვები მხედრულად და წიგნი „მარგალიტად“ წოდებული, ასევე — სადღესასწაულო ცხრა თვე. 1791 წლის აპრილში კათოლიკოსმა ანტონ II-მ დიაკვანი იოანე სასწავლებლად არქიმანდრიტ ვარლაამს (ერისთავი) მიაბარა. მასთან რიტორიკა, გრამატიკა, კატეგორია, ლოგიკა და მეტაფიზიკა ისწავლა. 1792 წლის 6 იანვარს თბილისის მაცხოვრის შობის სახ. ტაძარში ანტონ II-მ მღვდლად დაასახელები. იმავე წლის 12 თებერვალს მას შეეძინა პირველი ვაჟი — შიო, რომელიც ალექსანდრე ბატონიშვილს მოანათვლინა. 1793 წლის 23 სექტემბერს ასული — თეკლა შეეძინა (გარდ. 6.09.1795წ.), რომელიც ქვათახევის მონასტრის წინამძღვარმა, არქიმანდრიტმა ანტონმა (თარხნიშვილი) მონათვლა. 1794 წელს კათოლიკოს-პატრიარქ ანტონ II-ის ლოცვა-კურთხევით, სწავლის გასაგრძელებლად



ილონ ბატონიშვილი



სიონის საკათედრო ტაძარი

სიონის საპატრიარქო ტაძრის დეკანოზ იოანე ოსეს ძე ბარათაშვილს მიეზარა. მასთან მამა იოანემ ფიზიკა და დოგმატიკა შეისწავლა.

იმავე წლის ოქტომბერში იულონ ბატონიშვილმა ახალგაზრდა მოძღვარი თავისი შვილების მასწავლებლად აიყვანა. ამის შემდეგ მამა იოანეს ცხოვრება მჭიდროდ დაუკავშირდა იულონ ბატონიშვილს. 1796 წლის 20 თებერვალს ეყოლა ასული თებრონია, რომელიც იულონ ბატონიშვილის მეუღლე, სალომემ მონათლა. 1798 წლის აგვისტოში კვლავ შეეძინა ასული — სოფიო, რომელიც 17 სექტემბერს დავით ოსეს ძე ბარათაშვილმა მონათლა. 1800 წლის 27 იანვარს ეყოლა ვაჟი — გაბრიელი.

გიორგი XII-ის გარდაცვალების შემდეგ იულონ ბატონიშვილი მეფობის ერთ-ერთი აქტიური პრეტენდენტი გახდა. იმ პერიოდში მღვდელი იოანე მისი მწერალი იყო. დაძაბული სამუშაო რეჟიმის გამო, მან ავადმყოფი დედის სანახავად წასვლაც ვერ მოახერხა. იგი ყველგან თან ახლდა იულონსა და მის ჯარს მუხრანიდან მარტყოფში, აქედან ქიზიყში, ქიზიყიდან იორ-სართიჭალაზე, მუხრანი, ჭალა, ჯარიანის გავლით იმერეთში გადავიდა და 1801 წლის 29 აპრილს ბატონიშვილთან ერთად ქუთაისში ჩავიდა. მამა იოანე აქ რუსეთში გასაგზავნ წერილებს უწერდა სოლომონ მეფესა და იულონს.

1802 წლის იანვარში, იულონის ნებართვით, თბილისში მიდის დიდი ხნის უნახავი ცოლ-შვილის სანახავად, მაგრამ ცოლ-შვილი პატარძელში დახვდა წასული. გენერალმა ლაზარევმა არ მისცა პატარძელში გამგზავრების უფლება და ამიტომ მოძღვარმა ცოლ-შვილი თბილისში იხმო. პატარძელიდან ჩამოსული მამა იოანეს ოჯახი დარეჯან დედოფალმა ავლაბარს დაასახლა, ულუფა დაუნიშნა და თავისთან დაიტოვა. იმავე წლის 8 მაისს მღვდელი იოანე დაესწრო თბილისში გუბერნიის გახსნას და

კოვალენსკის საქართველოს განმგებლად დანიშვნის ცერემონიას. საბოლოოდ, მან ველარ მოახერხა იმერეთში დაბრუნება და დარეჯან დედოფალის კარზე დარჩა.

1804 წლის იანვარში საქართველოს მთავარმართებელმა, გენერალმა პავლე ციციანოვმა მამა იოანე თბილისის კეთილშობილთა სასწავლებელში ქართული ენის მასწავლებლად დანიშნა. სასწავლებლის დირექტორს, დეკანოზ ალექსი პეტრიაშვილს (შემდგომში — არქიმანდრიტი ათანასე) ევალებოდა სახელმძღვანელოების თარგმნა. ამ საქმეში მას მღვდელი იოანეც ეხმარებოდა. 1806 წელს სასწავლებელში წარმატებული მუშაობისათვის მამა იოანეს სამკერდე ოქროს ჯვრით დააჯილდოვეს და ხელფასიც მოუმატეს. მალევე მას დეკანოზის წოდება მიენიჭა.

1810 წელს მას ტორმასოვი ახვერდოვის პირით სთხოვეს, როგორმე დაეყოლიებინა თავისი აღზრდილი ლევან იულონის ძე ნებაყოფლობით ჩაბარებოდა რუსეთის მთავრობას. მამა იოანემ ეს მისია ვერ შეასრულა.

კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტში დაცული „კრებული“, რომელიც 1909-1910 წელში ქ. სანქტ-პეტერბურგში გადანიშნულ იქნა ვინმე თ. შარაშიძის მიერ და 1911 წელს ეს „კრებული“ ეპისკოპოსმა კირიონმა (საძაგლიშვილი) შესწირა საეკლესიო მუზეუმს. „კრებულს“ ბოლოში აქვს შენიშვნა: „თავფურცელი «ყოვლისა სოფლისა მოგზაური ანუ ცნობა ძუელისა და ახლისა სოფლისა, ესე იგი აღწერა... გამოცემული უფლისა აბბატომ (!) დელაპორტისა მიერ, როსსიულსა ენასა ზედა თარგმნილი ფრანციცულითგან, ხოლო ქართულსა ენასა ზედა თარგმნილი როსსიულთაგან, მხოლოდ ოდენ ქართლი და იმერეთი, ტფილისის საკეთილშობილოს სასწავლებლის მოძღურის პროტაიერის იოანე ქართველოვისა მიერ 1811 წელსა, ტფილისს“.

დეკანოზი იოანე ქართველიშვილი 1816 წლის 9 თებერვალს გარდაიცვალა.

დეკანოზმა იოანემ 1801-1802 წლებში დაწერა მემუარები „ვითარებათა აღწერა“. ეს მემუარები დაცული იყო იოანეს უმცროსი შვილის, შემდეგში სიონის საკათედრო ტაძრის დეკანოზისა და საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორის წევრის გაბრიელის (1800-1866) ოჯახში. მოგვიანებით იგი გაბრიელის ვაჟის — დავითის საკუთრებად იქცა. დავით ქართველიშვილის ოჯახიდან მემუარები მღვდელ პოლიევქტოს კარბელაშვილის ხელში მოხვდა. მან კი გადასცა გაზეთ „ივერიის“ რედაქციას,

რომელმაც იგი დაბეჭდა 1889 წლის შემდეგ ნომრებში: 203, 204, 205, 253, 255, 262, 266, 273. ქართველიშვილის მოგონებების ის ნაწილი, რომელიც ალა-მაჰმად-ხანის შემოსევასა და თბილისის აოხრებას ეხება, როგორც მემუარების ნიმუში, დაბეჭდეს თავის „სიტყვიერების თეორიაში“ არქიმანდრიტმა კირიონმა (საძაგლიშვილი) და გრიგოლ ყიფშიძემ 1898 წელს (გვ. 170-77). 1952 წელს ავთანდილ იოსელიანმა გამოსცა „ვითარებათა აღწერა“, რომელსაც იგი მემუარებს უწოდებს და თან დაურთო დეკანოზ იოანეს „შემოსავლების ნუსხა“.

ქართველიშვილის ამ შრომის ავტოგრაფი დაცულია საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში (A ფონდში — 1196). მიუხედავად ვიწრო ოჯახური დანიშნულებისა (ქართველიშვილი ამ შრომას თავის შვილებისათვის წერდა, უნდოდა გაეცნო მათთვის, რა სიძნელეები ნახა მან ცხოვრებაში), ეს შრომა მნიშვნელოვანი ძეგლია სწავლა-აღზრდის მეთოდების შესასწავლად XVIII ს-ის ბოლო წლების საქართველოში, ასევე იძლევა მდიდარ მასალას XVIII-XIX სს. მიჯნაზე საქართველოში არსებული პოლიტიკური დასების შესახებ.

მამის საქმიანობა გააგრძელა მისმა უფროსმა ვაჟმა, დეკანოზმა გაბრიელმა. მამის ჩანაწერების მიხედვით იგი 1800 წლის 27 იანვარს დაიბადა. მისი ნამსახურებათა სიის მიხედვით დაბადებულია 1782 წელს, ხოლო გარდაცვალების ცნობის მიხედვით — 1779 წელს.

მეორმოცე დღეს, ყრმა გაბრიელი, მამის თხოვნით, ლევან იულონის ძე ბატონიშვილმა მონათლა. 1813 წლის 12 აპრილს თბილელმა მიტროპოლიტმა არსენმა (ბაგრატიონი) სიონის ღვთისმშობლის მიძინების სახ. საკათედრო ტაძრის კერძო დიაკვნად დაადგინა. 1816 წლის 25 ივნისს სიონის საკათედრო ტაძარში საქართველოს ეგზარქოსმა ვარლაამმა (ერისთავი) დიაკვნად აკურთხა. 1817 წლის 17 იანვარს მღვდლად დაასხა ხელი და ამავე ტაძრის კრებულში დანიშნა. 1817 წლიდანვე სიონის ტაძრის ეკონომოსია.

მღვდლობის პირველ წლებში მღვდელი გაბრიელი ხელნაწერების გადანერითაც იყო დაკავებული. 1817 წელს მან გადანერა „სამართლის წიგნები“, რომელსაც აქვს მისივე ანდერძი: „დასასრული წიგნთა სამართლისათა. ძალითა ღვთისათა გაბრიელ ქართველოვისა მიერ, გარდაწერილ იქმნა წელსა 1817-სა“.

1818 წლის 8 დეკემბრიდან მღვდელი გაბრიელი სიონის ტაძრის კანდელაკია. 1820 წლის 16 თებერვალს ანანურის მაზრის ტაძრების რეგისტრაციაში ოფიციალურად გასაბარებლად და იქ ღვთისმსახურების მოსაწესრიგებლად მიავლინეს, ხოლო იმავე წლის 20 მაისიდან ინგუშებთან, დიგორის ხეობაში მსგავსი მისია დაეკისრა. 1821 წელს დი-



დეკანოზი გაბრიელ ქართველიშვილი

გორის ხეობაში მცხოვრებ ინგუშებში ქრისტიანულ სარწმუნოებას ქადაგებდა. 1826 წლის 18 აპრილს ხავერდისფერი სკუფია უბოძეს. 1828 წლის 25 მარტს დეკანოზის წოდება მიანიჭა. 1832 წლის 9 იანვარს იასამნისფერი ხავერდის კამილაკვა ეწყალობა. 1832 წლის 23 ივლისს სამღვდლო კადრების გამომცდელი კომისიის წევრად დანიშნა. 1833 წლის 16 თებერვალს საქართველოს ეგზარქოსმა მოსემ (ბოგდანოვი-პლატონოვი) ქალაგარეთა სამღვდელმთავრო რეზიდენციის ამშენებელი კომიტეტის წევრად დანიშნა. 1833 წლის 20 ივნისიდან 1836 წლის 15 თებერვლამდე იყო ღარიბ სამღვდლო პირთა შვილების სამზრუნველოს წევრი. 1834 წლის 6 თებერვლიდან 1864 წლის 21 იანვრამდე იყო საქართველოს საეკლესიო შემოსავლების ხაზინადარი. 1835 წლის 28 დეკემბრიდან 1848 წლამდე იყო ქ. თბილისის საეკლესიო დუქნების გამგე. 1836-1840 წლებში თბილისის საქალაქო სასამართლოში მსჯავრდებულთა და მონმეთა დაფიცება ევალებოდა. 1840 წლის 22 აპრილს (მეორე ვერსიით — 1841 წლის 26 დეკემბერს) სამკერდე ოქროს ჯვარი მიიღო. 1842 წლის 15 სექტემბრიდან (მეორე ვერსიით — 1843 წლის 14 აგვისტოდან) სიონის საკათედრო ტაძრის დეკანოზის შტატშია. 1844 წელს გათავისუფლდა საკათედრო ტაძრის კანდელაკის პოსტიდან. 1844 წლის 25 დეკემბერს (მეორე ვერსიით — 1845 წლის 3 თებერვალს) ნმ. ანას III ხარისხის ორდენით დაჯილდოვდა. 1846 წლის 15 აგ-

ვისტოს ენეკრი უბოძეს. 1855 წლის 16 აპრილს წმ. ანას II ხარისხის ორდენით დაჯილდოვდა. ჰქონდა ჯილდო — ყირიმის ომის (1853-1856) სამახსოვრო წმ. ვლადიმერის ლენტიანი ბრინჯაოს ჯვარი. 1859 წლის 2 მაისს საიმპერატორო გვირგვინით შემკობილი წმ. ანას II ხარისხის ორდენით დაჯილდოვდა. 1863 წლის 13 აპრილს წმ. ვლადიმერის III ხარისხის ორდენი უბოძეს. დეკანოზი გაბრიელი 1866 წლის 1 ნოემბერს გარდაიცვალა. დასაფლავებულია სიონის საკათედრო ტაძრის ეზოში. ადრე დაქვრივდა. დარჩა შვილი — მიხეილი (დაბ. 1817წ.).

წყარო: საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივი, ფ. 488, აღწერა 1, საქმე №3813; საქმე №21118; საქმე №25252; ფ. 489, აღწერა 1, საქმე №10085; საქმე №14715.

ლიტ: საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ტ. II, ქ. თბილისი 1951წ., გვ. 7; გვ. 80; იოსელიანი პლ. «ცხოვრება გიორგი მეცამეტისა» ქ. თბილისი, 1978წ., გვ. 181; ბერძინშვილი მაქსიმე „მასალები XVIII-XIX საუკუნის პირველი ნახევრის ქართული საზოგადოებრიობის ისტორიისათვის“, ქ. თბილისი, 1980წ., ტ. II, გვ. 200-202.

მღვდელი
გიორგი მაჩუროშვილი

ილიაობა

„საქართველოს მისი ლოცვა იფარავს“

საჩხერისა და ჭიათურის მიტროპოლიტი — დანიელი (დათუაშვილი): „პატრიარქი არის პიროვნება, რომელიც წარუშლელ შთაბეჭდილებას ტოვებს ყველაზე, ვინც ოდესმე შეხვედრია, უფროსი იქნება თუ უმცროსი, საქართველოში მცხოვრები თუ მის გარეთ მყოფი. მასთან შეხვედრის შემდეგ ადამიანები სიკეთითა და სიმშვიდით აღსავსენი მიდიან. უწმინდესთან ურთიერთობის დროს მისგან უდიდესი სიკეთე, სულიერი ძალა, ღვთის რწმენა და სიყვარული გამოსჭვივის, იმხელა სიმშვიდე აქვს, აუცილებლად გადმოგეცემა. ერთხელ, როცა სომხეთის პრეზიდენტი ლევონ ტერ-პეტროსიანი გვსტუმრობდა, უწმინდესს უთხრა, მეორედ გენვიეთ სტუმრად და ის განცდა, სიმშვიდე, რაც თქვენთან ურთიერთობისას, სტუმრობისას მეუფლება, სხვაგან და სხვა დროს არასდროს განმიცდიაო. ასეთი რამ ხშირად მომისმენია. ადამიანები მოდიან, ესაუბრებიან და შემდეგ დამშვიდებული და გახარებული მიდიან. ეს იმიტომ, რომ პატრიარქს მუდმივად უხილავი კავშირი აქვს ღმერთთან და მასთან საუბრის შემდეგ ადამიანი სიკეთით, მაღლითა და ძალით ივსება. მასში არის სიყვარული, სიბრძნე და თანაგრძნობა. ერთი საოცარი თვისება აქვს - ადამიანის ფიქრებს ხედავს, მის სულიერ სამყაროს კითხულობს. საოცარი უნარი აქვს, ყველა ადამიანს მისთვის გასაგებ ენაზე დაელაპარაკოს და როდესაც გესაუბრება, ძალიან დიდ შვებას გრძნობ, სიმშვიდე გეუფლება. პირადად მქონია შემთხვევა, რალაცის კითხვა მინდოდა და სიტყვის დაძვრამდე თავად ზუსტად იმ თემაზე დაუნყია საუბარი, სანამ მე კითხვას დავუსვამდი, პასუხი გაცა... მხოლოდ მე კი არა, უამრავ ადამიანს უთქვამს ასე უწმინდესზე, რა თემაზეც მინდოდა საუბარი და კითხვის დასმა, სწორედ იმაზე გამცა პასუხიო. ადამიანის ასეთ მდგომარეობას ღვთის ძალით სისავსე ჰქვია და მას ჯერ მოპოვება სჭირდება, შემდეგ კი შენარჩუნება. ამხელა მაღლის მოპოვებას ისეთი

ცხოვრება სჭირდება, როდესაც ადამიანი ადამიანურ სურვილებისგან იკავებს თავს და მხოლოდ უფლის სურვილების, მისი მცნებების აღსრულებაზე ფიქრობს. ასეთ ადამიანებს ჰქვიათ ღვთის ქურჭელი - ტაძარი ღვთისა, ტაძარი სულისა წმინდისა... ეს პატრიარქი არის და ამას ყველა გრძნობს, მორწმუნეც და ურწმუნოც. შესაბამისად, მის მიმართ პატივისცემა ყველას უჩნდება. პატრიარქს სხვა საოცარ ღვთიურ თვისებებთან ერთად, ძალიან დიდი თანაგრძნობის უნარი აქვს, გაჭირვებულს გრძნობს. არაერთხელ უთქვამს, ჩადით, ეზოსთან მშვიერი ადამიანი დგას, ტრაპეზზე ამოიყვანეთ, დაანაყრეთო...

როდესაც ადამიანთან ხშირი, ყოველდღიური ურთიერთობა გვაქვს, შეიძლება შევეჩვიოთ, გავუშინაურდეთ და ჩვეულებრივი მოგვეჩვენოს, მასთან ასე არ ხდება - შესაძლოა ძალიან ხშირი, ყოველდღიური ურთიერთობა ჰქონდეს ადამიანს, მაგრამ მის მიმართ მოკრძალება მაინც არ გტოვებს. იშვიათად მემართება, რომ სურვილის, აზრის გადმოცემა მიჭირს, ასე მემართება პატრიარქთან, თუმცა იმით მიაღვილებს, რომ თავად ხვდება, კითხულობს ჩემს სათქმელს. ვინც მას არასდროს შეხვედრია, ტელევიზორით მოუსმენია, ისიც გრძნობს მის სიკეთეს, ლოცვას, რომელიც ცას სწვდება...

ნებისმიერი მნიშვნელოვან თარიღს, დაბადების, აღსაყდრების, თუ მფარველი ანგელოზის დღეს იმით გამოხატავს, რომ ყველას აძლევს საშუალებას მასთან მივიდნენ. პანდემიამდე და იმ დროსაც, როდესაც თავს უფრო ენერგიულად გრძნობდა, საპატრიარქოს კარი ღია იყო და იმ დღეების განმავლობაში, ყველას, ვინც კი საპატრიარქოსთან გაივლიდნენ, მასთან შეხვედრის შესაძლებლობა ჰქონდა. მდინარესავით შემოდინოდა ხალხი... იმ დღეს მთლიანად იხარჯებოდა, რათა ადამიანები დაელოცა, მათთვის მოესმინა, მოწყალება გაელო, სიკეთე ეკეთებინა. ასე ცხოვრობს, ყოველდღე, ყოველ წამს

ისტორიის ფურცელი

დეკანოზი ერმალოზ კანდელაკი — წმ. ფილიმონ ქორიძის მოძღვარი 1857-1914

დეკანოზი ერმალოზ ლუკას ძე კანდელაკი 1857 წელს ქუთაისის გუბერნიაში, ქუთაისის მაზრის სოფ. კულაშში აზნაურ ლუკა კანდელაკისა და დესპინე ნიჭარაძის ოჯახში დაიბადა. ჰყავდა დედამამიშვილები: პეტრე; ივდითი; ბარბარე; სონია და იულია.

ერმალოზმა დაამთავრა თბილისის სასულიერო სემინარია. საღვთო წერილი, გალობა და საეკლესიო ტიბიკონი ქუთაისის საკათედრო ტაძარში ისწავლა. 1882 წლის 13 სექტემბერს სამეგრელოს სასულიერო სასწავლებელში ყველა პარალელური კლასების, გარდა ქვედა განყოფილებისა ქართული ენის მასწავლებლად დაინიშნა. მასვე დაევალა მაღალ და საშუალო განყოფილებებზე მოსამზადებელ კლასებში მართლწერის სწავლება. იმავე წლის 24 სექტემბერს კლასის დამრიგებლად დაინიშნა. 1884 წლის 1 სექტემბრიდან, შეთავსებით, დაევალა III კლასებში გეოგრაფიის სწავლება.

ერმალოზი სასწავლებელში აქტიურ პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწეოდა. იმჟამად სამეგრელოს სასულიერო სასწავლებელში რამდენიმე პრობლემა არსებობდა, ამიტომ სასწავლებელი მარტვილიდან სენაკში გადმოიტანეს. ზოგიერთნი თვლიდნენ, რომ სენაკში წყალი და ჰაერი იყო „უვარგისი“, ხოლო მარტვილში ამის საუკეთესო პირობები იყო. ერმალოზი ბევრს წერდა ამ საკითხებთან დაკავშირებით და ცდილობდა მათი სატკივარი უმაღლესი საეკლესიო ხელისუფლებამდე ზუსტად მიეტანა. ახალი სენაკის სასწავლებლის დიდ ნაკლოვანებას წარმოადგენდა პარალელური განყოფილებების უქონლობა, რის გამოც ყოველ წელს უამრავი შეგირდი ირიცხებოდა სასწავლებლიდან. ერმალოზმა რამდენჯერმე საკმაოდ ვრცლად ისაუბრა ამ პრობლემებზე, რის გამოც 1885 წლის 16 იანვარს კეთილსინდისიერი და ნაყოფიერი პედაგოგიური მოღვაწეობისთვის საქართველოს ეგზარქოსმა პავლემ (ლებედევი) მადლობა გამოუცხადა. 1885 წლის 17 მაისიდან იგი უმაღლეს მოსამზადებელ კლასებში საღვთო სჯულისა და IV კლასში გეოგრაფიის პედაგოგად დაინიშნა. 1886 წლის 17 მაისს ერმალოზი თავს ანებებს სასწავლებელს და სასულიერო ასპარეზზე იწყებს მოღვაწეობას.

1886 წლის 30 აგვისტოს იმერეთის ეპისკოპოსმა გაბრიელმა (ქიქოძე) იგი დიაკვნად აკურთხა, იმავე წლის 7 სექტემბერს მღვდლად დაასხა ხელი და კუ-



ერმალოზ კანდელაკი პედაგოგობის პერიოდში

ლაშის მაცხოვრის ჯვარცმის სახ. ტაძრის წინამძღვრად განამწესა. 1888 წლის დეკემბერში გამოჩინებულის ოლქის მთავარხუცესად აირჩიეს. 1889 წლის 12 მაისიდან კულაშის ოლქის მთავარხუცესია.

საკმაოდ ბევრი სამუშაო ჩაატარა მღვდელმა ერმალოზმა თავის ოლქში. პირველ რიგში ყურადღება მიაქცია სასწავლებლის დაარსების საკითხს კულაშში. 1894 წლის თებერვალში ვინმე კონსტანტინე მკურნალის თაოსნობით დაარსდა ერთკლასიანი სასწავლებელი, რომელშიც სწავლა დაიწყო მღვდელ ერმალოზის ლოცვა-კურთხევით და ადგილობრივი დირექტორის თანდასწრებით. მასწავლებლად მოიწვიეს ინსტიტუტში სწავლა-დამთავრებული ყმანვილი გ. ხოშტარია. ამის შემდეგ მოძღვარმა დაიწყო ზრუნვა სამკითხველოს დაარსებაზე. აი, რას წერდა

იგი ქართულ პრესაში: „ერთი რამ თვალსაჩინო და-წესებულეა აკლია კულაშის საზოგადოებას, — ეს გახლავთ სამკითხველო. მართალია ერთმა პა-ტივცემულმა კნეინამ იკისრა სამკითხველოს და-არსება, მაგრამ ვერ დაამთავრა. იმოდენად გან-ვითარებული თავადაზნაურობაა ჩვენს ტურფა სოფელში, იმედია, მათგან თანაგრძნობა არ მოგ-ვაკლდება. სამკითხველო შეიძლება ადვილად მო-თავსდეს რომელიმე სასწავლებლის ოთახში. მი-სი არსებობისათვის თითო აბაზი რომ გამოიღონ, საკმარისია და ჩინებულადაც გაჩაღდება ეს გონე-ბის განმავითარებელი საუნჯე“.

1891 წლის 1 ივლისს ქუთაისის სასულიერო სას-წავლებელთან გაიხსნა ძმობა წმ. დავით აღმაშენებ-ლის სახელზე, რომელთაც დაევალით ღარიბ სასუ-ლიერო პირთა შვილების მფარველობა და შენევნა. ამისთვის ეპისკოპოსმა გაბრიელმა მოუწოდა თავი-სი ეპარქიის სამღვდლოებას, ყველას გაელო შენი-რულება ამ ძმობის სასარგებლოდ. მღვდელმა ერმა-ლოზმა სასწრაფოდ შეკრიბა თავისი ოლქის სამღვ-დლოება, იმსჯელეს და შემდეგი დაადგინეს: „ჩვენ, სამღვდლო და საეკლესიო მოსამსახურეთ კულა-შის ოლქისა, მოვისმინეთ შინაარსი ქუთაისის სას-წავლებლის სამმართველოს მოწერილობისა ამ სასწავლებელთან დაარსებული ძმობის შესახებ და ვაცხადებთ, რომ ჩვენ ყველანი ღარიბნი ვართ: თვითოეული ჩვენგანი იხდის ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის შესანახავად ნახევარს იმა ჯა-მაგირისას, რაც გვეძლევა ხაზინისაგან; სამრევ-ლოსაგან შემოსავალი თანდათან კლებულობს, განსაკუთრებით ამ უკანასკნელ წლებში; მაგრამ მიუხედავად ამისა, გამსჭვალულნი ქრისტიანუ-ლის მზრუნველობით ღარიბ მშობელთა შვილე-ბის შესახებ, რომელთაც სწყურიათ განათლება, მაგრამ არა აქვთ შეძლება ამისათვის, ვსცანით მათთვის ფრიად სასარგებლოდ აღნიშნული ძმო-ბის დაარსება და თანაგრძნობით მივეგებეთ ჩვენი მთავარბუცესის მამა ერმალოზის წინადადებას, განვაცხადეთ სურვილი ჩავენეროთ ამ ძმობის წევრებად და ყოველ წლობით შევიტანოთ ქვემოთ აღნიშნული ხვედრი ფული 85 მანეთი“.

1894 წელს კულაშის მცხოვრებმა გლეხმა გოგია გულას ძე სტურუამ კულაშის ჯვარცმის ტაძარს შესწირა 370 მანეთად ღირებული ძვირფასად შემ-კული აღსავლის კარები და 11 თუმნად ღირებული შესამოსელი, რისთვისაც მღვდელმა ერმალოზმა გა-ზეთ „მწყემსში“ მას დიდი მადლობა გადაუხადა და მოუწოდა სოფლის სხვა უფრო მდიდარ მცხოვრებ-ლებს მიებაძათ ამ ქველმოქმედი კაცისათვის. 1896 წელს მღვდელმა ერმალოზმა საკმაოდ ვრცელი და საინტერესო ქადაგება წარმოსთქვა განსვენებული იმერეთის ეპისკოპოს გაბრიელის დაკრძალვაზე.

1898 წელს მღვდელი ერმალოზი სამტრედიის წმ. იოანე ნათლისმცემლის სახ. ტაძარში გადაიყვანეს.

1901 წლის 1 ივნისს კულაშის საზოგადოებას ეს-ტუმრა იმერეთის ეპარქიის ახალი ეპისკოპოსი ლე-ონიდე (ოქროპირიძე) დეკანოზ ნესტორ ყუბანეიშ-ვილთან და საკათედრო ტაძრის კრებულთან. სამ-ტრედიის სადგურში მეუფეს დახვდნენ მთავარბუ-ცესი, მღვდელი ერმალოზ კანდელაკი, სამტრედიის ბოქაული ბ-ნი მახარაძე და კულაშის საზოგადოების მამასახლისი და იქიდან წაუძღვნენ კულაშის ჯვარ-ცმის ტაძარში. იმ დღეს კულაშის ტაძრის ვებერთე-ლა ეზო ხალხით იყო გადავსებული. იქ შეკრებილი იყო ყველა: თავადი და გლეხი, ქალი და კაცი, მო-ხუცი და ყმაწვილი. სუყველა გრძნობდა ერთგვარ გამოცოცხლებას და ძალას. ეკლესიაში გალობდა კულაშის სკოლის მოსწავლეები, სკოლის ზედამხედ-ველ ბ-ნ მკურნალის ლოტბარობით, რომელიც მი-უხედავად მძიმე ავადმყოფობისა სხვებთან ერთად შეეგება მღვდელმთავარს. ტაძარში შესვლისთანავე მის მეუფებას ვრცელი სიტყვით მიმართა მღვდელმა ერმალოზმა. დასასრულს მან ეპისკოპოს ლეონიდეს ძვირფასად შემკული წმ. ნინოს ხატი აჩუქა მრევლის სახელით.

1905 წელს დეკანოზი ერმალოზი ქუთაისის კლა-სიკურ გიმნაზიაში კარის ეკლესიის წინამძღვრად და საღვთო სჯულის მასწავლებლად დანიშნეს. 1910 წლის მაისში იმერეთის ეპისკოპოსმა გიორგიმ (ალა-დაშვილი) იგი იმერეთის ეპარქიალური სასწავლო საბჭოს თავმჯდომარედ დანიშნა. 1910 წელს უცნობ-მა ავტორმა ქართულ პრესაში გამოაქვეყნა წერილი, სადაც სამრევლო სკოლებში ქართული ენის სწავლე-ბის დაკნინებაზე საუბრობდა. იგი წერდა, რომ სანამ რეაქცია ფეხს მოიკიდებდა, სამრევლო სკოლებში ქართული ენის სწავლების საქმე კარგად იყო დაყე-ნებული, შემდეგ კი სასულიერო მთავრობის განკარ-გულებით საქმე დაქვეითდა. დეკანოზი ერმალოზი გამოეხმაურა ამ ცილისმწამებლურ წერილს და აღ-ნიშნა, რომ ივნისის თვეში იგი თავად იყო ქუთაისის რამდენიმე სკოლაში რევიზიაზე და კარგი შთაბეჭ-დილებით დატოვა იქაურობა. იგი წერდა: „ბავშვებს მშვენივრად შეუსწავლიათ დედა-ენიდან ლექსები და იგავ-არაკები. მესამე განყოფილებაში „ბუნე-ბის კარი“ და „გუთანიც“ უკითხავთ და რაც გაუფ-ლიათ, შეგნებით იცინან. წერა ქართულად ყველგან საუცხოვოდ არის დაყენებული“.

1911 წელს დეკანოზ ერმალოზს ცუდი ამბავი გა-დახდა, რამაც იგი არასასურველ ვითარებაში ჩაა-ყენა და საქმე, საბოლოოდ, მისი დასჯითა და ბაქო-ში გადაყვანით დამთავრდა. აი, რას წერდა გაზეთი „სახალხო გაზეთი“ ამის თაობაზე: „ქუთაისის გიმ-ნაზიის მასწავლებელს იურკვესკის მძიმე ბრალ-დება აღმოუჩნდა. მას სწამებენ, რომ გამოცდე-

ბის დროს უფროს კლასელებს ქრთამებს ართმევდა და სამაგიეროდ წინდანინვე აუწყებდა მათ რა თემა ექნებოდათ რუსულ ენაშიო. ამაზე დიდი ხანია ლაპარაკობენ ქუთაისში, მაგრამ მხილების ინიციატივას არავინ ტვირთულობდა. ასეთი როლი თავს იდგა საღვთო სჯულის მასწავლებელმა დეკ. ერ. კანდელაკმა, რომელსაც ქალაქში გავრცელებულ ხმებზე ულაპარაკნია რამდენიმე მასწავლებელთა შორის. ერთს ამ უკანასკნელს უცნობებია დირექტორისთვის, ამ უკანასკნელს კი სამოსწავლო ოლქის მზრუნველისთვის, რის შემდეგაც ოლქის ინსპექტორი სლოვინსკი ქუთაისში გაჩნდა და იურკვესკი-კანდელაკის ინიციატივის საქმის გამოძიება დაევალა. რით გათავდება ეს საქმე წინდანინ ძნელი სათქმელია, რადგან გამოძიება საიდუმლოებით არის მოცული. მომავალი რასაკვირველია გვაჩვენებს რამდენად საფუძვლიანია დეკანოზ კანდელაკის ბრალდება, მაგრამ თვით აღძვრა ასეთი საკითხისა იმისი მომასწავებელია, რომ საშუალო სასწავლებელში, საცა 700-ზე მეტი მოსწავლეა, საქმე წესიერად არ არის წარმართული“.

სამწუხაროდ, ამ ინიციატივამ შეინირა დეკანოზი ერმალოზი. მიუხედავად იმისა, რომ მისი დანაშაული თითქმის არ იკვეთებოდა ამ საქმეში, იგი მოხსნეს კლასიკური გიმნაზიიდან და ქ. ბაქოში გადაიყვანეს. არ უშველა მას არც ეპისკოპოს გიორგისა და არც გინაზიის დირექტორის რეკომენდაციამ და თხოვნამ დაეტოვებინათ ძველ ადგილზე.

იმავე, 1911 წელს, მეორე მძიმე დანაკლისი განიცადა მოძღვარმა. 1911 წლის 12 ივლისს კურორტ ბახმაროში გარდაიცვალა მისი სულიერი შვილი, ცნობილი ქართველი ფოლკლორისტი, ლოტბარი, ქართული საოპერო ხელოვნების ერთ-ერთი ფუძემდებელი და ქართული მრავალხმიანი გალობის ნოტებზე გადამტანი, ან წმინდათა დასში შერაცხული ფილიმონ ქორიძე. მის ხსოვნას მან საკმაოდ ვრცელი წერილი მიუძღვნა გაზეთ „კოლხიდაში“.

1913 წელს ქ. ბაქოში მცხოვრებმა ქართველობამ წინააღმდეგობა დაუდგინა დღესასწაული დიდი ზარზეიმითა და პომპეზურობით იდღესასწაულეს. ამასთან დაკავშირებით ქართული პრესა წერდა: „წინააღმდეგობა დღეს ბაქოელებმაც იდღესასწაულეს. ამ დღეს პირველად ეღირსნენ აქაური ქართველები წირვა-ლოცვას დედაენაზე. წირვა სამმა ქართველმა მღვდელმა გადაიხადა აქაურ ფლოტის ეკლესიაში. გალობდა ამ დღისათვის შემდგარი ქართული გუნდი. მთელი წირვა და საგალობლები ქართულად შეასრულეს. მღვდელმა ერმალოზ კანდელაკმა მშვენიერი სიტყვა წარმოსთქვა. წირვას დაესწრნენ ქართული სკოლის მოსწავლენი და დიდძალი ქართველობა“.



მღვდელი ერმალოზი სიმაგრთან, ალექსი ახვლედიანთან და მეუღლესთან ერთად

ეკლესიაში ერთგული და დამსახურებული სამსახურისათვის დეკანოზი ერმალოზი დაჯილდოებული იყო 1889 წელს საგვერდულით; 1892 წლის მარტში — სკუფიით; 1895 წლის 6 მაისს — კამილაკით; 1899 წლის 6 მაისს — სამკერდე ოქროს ჯვრით; 1901 წლის 3 თებერვალს — წმ. ანას III ხარისხის ორდენით; 1903 წლის 15 მაისს — დეკანოზის წოდებით.

1914 წელს გაზეთ „ახალ ივერიაში“ ვინმე „გუცა“ წერდა: „კვირას, 5 ოქტომბერს, ქუთაისში გარდაიცვალა დეკანოზი ერმალოზ ლუკას ძე კანდელაკი. გარდაიცვალა ადამიანი, რომლის შესახებ არავის შეეძლო ეთქვა: სოფელში იყო და სოფელს კი არა-რა არგო. ჯერ კიდევ ორი-სამი წლის წინათ ვინ იფიქრებდა თუ ჯანლონით სავსე, მკვირცხლი ადამიანის ბაგე ასე მალე დადუმდებოდა და მოძმეთადმი სიყვარულით აღსავსე გული ასე უდროვოდ შესწყვეტდა ძვერას...“

მერე რამ მოუსწრაფა სიცოცხლე ამ იშვიათ ადამიანს, რამ დაუახლოვა მას სიკვდილი, რა ჭია ღრღნიდა მისი არსებობის წუთებს?

არა გვგონია აქ ბრალი არ მიუძღოდეს იმ ინიციატივას, რომელიც მას ამ სამი წლის წინათ შე-



დეკანოზი ერმალოზი მოჯახით

ემთხვა ცხოვრების გზაზე და რომელმაც სამუდამო დალი დაასვა მის არსებას.

თავის დროზე ამის შესახებ ბევრი რამ დაინერა ქართულ-ყურნალ გაზეთებში და აღარ გყვანდა ვისმე საბრალმდებლო ოქმი წარუდგინოთ, სანამ ჯერ კიდევ ძვირფასი ნეშთი არ გაცივებულა. ვიტყვით მხოლოდ, რომ ამ დღიდან ძვირფასი ადამიანის შუბლი არ გახსნილა, ლალი და მხიარული ღიმილი აღარ აღბეჭდია მის სახეს...

ეს იყო ის ქია, რომელმაც თანდათანობით ღრღნა და ხუთ ოქტომბერს სამუდამოდ მოუსწრაფა სიცოცხლე საყვარელ ერმალოზს...

ან აღარ ამეტყველდება ის ბაგე, რომელსაც არაერთი და ორი უნუგეშებია. აღარ ამოძრავდება მაჯა, რომელსაც არა ერთისა და ორისათვის გაუნევია დაუფასებელი სამსახური. დღეს მეტყველებს მხოლოდ მისკენ ნაამაგდართა ოხვრა, მეტყველებს ცრემლები, რომელსაც მის კუბოზე მისი სოფლის გლეხობა აფრქვევს; დღეს მეტყველებენ მხოლოდ ის მწუხარებით აღსავსე თვალები

ბი, რომელიც მრავლათ ღვრიან ცრემლებს ძვირფასი ცხედრის წინაშე.

მეც სიყვარულით აღსავსე ამბორს უძღვნი მის ხსოვნას და ვემშობობები ჩვეულებრივი სიტყვებით: საუკუნო იყოს ხსენება შენი კეთილო და პატიოსანო ადამიანო!"

დეკანოზ ერმალოზს ჰყავდა მეუღლე — ივდით ალექსის ასული ახვლედიანი (დაბ. 1865წ.) და შვილები: ვასილი (დაბ. 1889წ.); ოლიმპიადა; ეკატერინე; ქეთევანი; თამარი; ევგენი; აკაკი.

წყარო: საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივი, ფ. 489, აღწერა

1, საქმე №42690; გაზეთი „მწყემსი“ 1885წ. №17, გვ. 6; 1891წ. №24, გვ. 11-12; 1894წ. №15-16, გვ. 18; გაზეთი „ივერია“ 1894წ. №149, გვ. 3; გაზეთი „ცნობის ფურცელი“ 1897წ. №310, გვ. 4; Журнал „Духовный вестник Грузинского Экзархата“ 1892წ. №9; 1895წ. №11; 1901წ. 15-16; 1903წ. №11; 1899წ. №11; გაზეთი „სახალხო გაზეთი“ 1910წ. №85, გვ. 4; 1911წ. №331, გვ. 3; გაზეთი „კოლხიდა“ 1911წ. №95, გვ. 2-3; გაზეთი „შინაური საქმეები“ 1913წ. №2, გვ. 11; Журнал „Вестник Грузинского Экзархата“ 1914წ. 24; გაზეთი „ახალი ივერია“ 1914წ. №7, გვ. 1; №8, გვ. 3; გაზეთი „სახალხო ფურცელი“ 1915წ. №395, გვ. 1.

ლიტ: კეზევაძე მ. „ეგზარქოსობისდროინდელი იმერეთის ეკლესიები და მღვდლები“, ქ. ქუთაისი, 2008წ. გვ. 82; გვ. 110.

მღვდელი
გიორგი მაჩურიშვილი

თუ თქვენს საოჯახო არქივში მოიპოვება სასულიერო პირთა და საქართველოს ეკლესია-მონასტართა ფოტოები, გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ, რათა ერთობლივი ძალისხმევით დავიწყებისგან ვიხსნათ ისინი.
ჩვენი ტელეფონებია: 593 19 36 04; 599 88 66 90; 2 32 48 66; 2 98 95 41

გთხოვთ, გაუთხროთ მასში დაგვიჩვენოთ მასალის გამო
საბანკო ანგარიში: სს „ლიბერთი ბანკი“ ბანკის კოდი: LBRTGE22.
ანგარიში: № GE57LB0115123530407000. საბანკო კოდი — 45 01 56.

რედაქტორის მოადგილის ელ.ფოსტა:
bokuchavanana1@gmail.com.

მის: ერეკლე II-ის მოედანი 1, საქართველოს
საპატრიარქოს პრესცენტრი. ტელ. 2 98-95-41

რედაქტორის მოადგილე: ნანა ბოკუჩავა ტ. 599 23 10 54
სარედაქციო კოლეგია: მიტროპოლიტი დიმიტრი
(მოლაშვილი), მარიამ ვაგუა, ნინო გავრამიანი,
თამარ ასათიანი, მღვდელი გიორგი მაჩურიშვილი, ია ზაზა-
არიძე, სერგო კერესელიძე, ბუღალტერი: ვლასი ჯიბლაძე;
გაერცელები: ცარო ვარდიშვილი, მამუკა კვაჭანტირაძე;
დასავ. საქართველოში გაერცელება ზაზა უგულავა 595343056
დამკავალმდებელი: ვალერიან ჯუღელი



ბელი, რომელსაც ჩვენი ცხოვრება მივუძღვენით, ასეთია, მაშინ ჩვენ, რომლებიც საკუთარ თავს მორწმუნეებს ვუნოდებთ, შეგვიძლია დავთანხმდეთ ამ სიცოცხლის განადგურებას?", — განაცხადა რომის პაპმა ფრანცისკემ.

ნურსულთანში მიმდინარე კონგრესზე ქრისტიანებთან ერთად ჩასული იყვნენ: მუსლიმები, იუდეველები, ბუდისტები, ინდუისტები და სხვა კონფესიის წევრები, ჯამში — 100 დელეგაცია, რათა ემსჯელათ თანამედროვე მსოფლიოში კაცობრიობის განვითარებაში რელიგიის როლზე.

არქეოლოგები იუნესკოს მოუწოდებენ, დაიცვან აია სოფია

ბერძენი არქეოლოგები მოუწოდებენ იუნესკოს, დაიცვას კონსტანტინოპოლის აია სოფია, რელიგიური და კულტურული ძეგლი თანამედროვე სტამბოლში, რომელიც თითქმის 1500 წლისაა.

აია სოფიას ტაძარი თურქეთის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ტურისტული ობიექტია, რომელიც 1985 წლიდან იუნესკოს მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლთა ნუსხაშია. თუმცა ბოლო პერიოდში ბიზანტიური ეპოქის ძეგლი სულ უფრო ხშირად ხდება ვანდალიზმის მსხვერპლი. გასულ კვირას იუნესკოს გენერალური დირექტორის, ოდრი აზულეს სახელზე გაგზავნილ ღია წერილში ბერძენ არქეოლოგთა ასოციაციის წევრებმა

სთხოვეს ორგანიზაციას, „დაუყოვნებლივ ჩაერიოს, რათა შეცვალოს არსებული ვითარება“.

2020 წლის ივლისში თურქეთის უზენაესმა სასამართლომ აია სოფიას ტაძარს ჩამოართვა მუზეუმის სტატუსი და გასცა ნებართვა მეჩეთის მოსაწყობად.

როგორც არქეოლოგები ამტკიცებენ, უკანასკნელ წლებში ისტორიული ძეგლის ხელმძღვანელებმა შენობაში დაუბრკოლებლად დაუშვეს „სტუმართა არაკონტროლირებადი ნაკადი“, მხედველობაში არ მიიღეს ობიექტის ისტორიული და მხატვრული მნიშვნელობა.

„საიმპერატორო კარის ოსმალთა პერიოდის ხის ზედაპირი დაზიანებულია, კედლებიდან საფარი ჩამოფხეკილია, შადრევნები და კარები ფეხსაცმლის შესანახად გამოიყენება, იატაკის მარმარილოს ფილები განადგურებულია. უნიკალური ბიზანტიური მოზაიკა დაფარული და უხილავია. არქეოლოგებს არ შეუძლიათ ძეგლის ზედამხედველობა“, — ვკითხულობთ წერილში.

ბიზანტიის იმპერატორ იუსტინიანე I-ის ხელმძღვანელობით, 532-537 წლებში აშენებული აია სოფიას ტაძარი 900 წელზე მეტ ხანს ყველაზე დიდი ქრისტიანული ტაძარი იყო. 1453 წელს, როდესაც ოსმალეთის იმპერიამ აიღო კონსტანტინოპოლი, ეკლესია მეჩეთად გადაკეთდა. 1935 წელს თურქეთის ლიდერმა, მუსტაფა ქემალ ათათურქმა ის მუზეუმად გამოაცხადა.

ისტორიის ფურცელი

მიტროპოლიტი დავითი (ჭკადუა)

1926-1992

(გარდაცვალებიდან 30 წლისთავი)

I ნაწილი

მიტროპოლიტი დავითი, ერისკაცობაში — გრიგოლ/გივი ჭკადუა 1926 წლის 22 მარტს იოანე თეოდორეს ძე ჭკადუასა (შემდგომში — დეკანოზი) და ოლია ილარიონის ასულ ჯინჭარაძის ოჯახში დაიბადა. 1942 წელს დაამთავრა საშუალო სკოლა. 1955 წელს დაამთავრა ქ. პიატიგორსკის სამედიცინო ინსტიტუტის სტომატოლოგიური ფაკულტეტი. 1956-1978 წლებში მუშაობდა სტომატოლოგიური კაბინეტის გამგედ.

1978 წლის 13 აგვისტოს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ (შიოლაშვილი) მღვდლად დაასახა ხელი, სახელად გიორგი უწოდა და მარტყოფის „ღვთაების“ სახ. ტაძრის წინამძღვრად დაინიშნა. 1978 წლის 20 ოქტომბერს თბილისის საპატრიარქო



მამა-შვილი ივანე და გივი ჭკადუები

რეზიდენციაში მოწვეულ იქნა ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის წმიდა სინოდის სხდომა. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უნმინდესისა და უნეტარესის ილია II წარდგინებით წმინდა სინოდის სხდომამ განაჩინა: „მარტყოფის მონასტრის წინამძღვარი არქიმანდრიტი გიორგი ჭკადუა (შეგნიშნავთ, რომ ურნალ „ჯვარი ვაზისაში“ შეცდომა გაიპარა, არქიმანდრიტის მაგივრად ტექსტში უნდა ყოფილიყო მღვდელი გიორგი, რადგან არქიმანდრიტ სასულიერო პირს ეპისკოპოსად კურთხევის წინ სახელს არ უცვლიან. მომდევნო ნომერში შეცდომა გასწორდა და ტექსტში ვკითხულობთ: „მარტყოფის მონასტრის წინამძღვარი, მღვდელი გიორგი ჭკადუა“ — გ.მ.) დადგენილ იქნას ბათუმ-შემოქმედელ ეპისკოპოსად და ენოდოს მას სახელი დავითი“. იმავე საღამოს, მცხეთის სამთავროს წმ. ნინოს სახ. დედათა მონასტერში მღვდელი გიორგი ბერად აღიკვეცა და სახელად დავითი ეწოდა. მეორე დღეს არქიმანდრიტის ნოდება მიენიჭა. 1978 წლის 15 დეკემბერს სვეტიცხოვლის თორმეტი მოციქულის სახ. საპატრიარქო ტაძარში სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II-მ წმინდა სინოდის მღვდელმთავართა თანამწირველობით ეპისკოპოსად დაასხა ხელი და ბათუმ-შემოქმედის ეპარქიის კათედრაზე დაადგინა.



მიტროპოლიტი დავითი (ჭკადუა)

ეპისკოპოსად სახელდების ლოცვაზე არქიმანდრიტმა დავითმა ქადაგებით მიმართა მის უნმინდესობას და ტაძარში შეკრებილ მრევლს:

„თქვენო უნმინდესობავ და უნეტარესობავ, მაღალყოვლადუსამღვდელოესნო, პატიოსანნო მამანო, ჩემი ერის მორწმუნე შვილებო!

დღეს წარმოუდგენელი სიხარულის დღე დადგა ჩემს ცხოვრებაში. ჯერ არ შენელებულა ის დიდი მღვდელვარება, რომელიც მე განვიცადე ამ რამდენიმე თვის წინათ: მაშინ, მთელი რწმენით, ჩავიცვი ანაფორა. როდესაც მე შეუდექი ამ, მართლაც მძიმე და რთულ სამსახურს, — თქვენ, თქვენო უნმინდესობავ და უნეტარესობავ, გზა დამილოცეთ. ამ ხნის მანძილზე ხშირად ვეკითხებოდი ჩემს თავს: შევძლებ თუ არა, რომ გავამართლო თქვენი იმედები და, კიდევ, შევძლებ თუ არა, არ შევარცხვინო ჩემი წინაპრების — მამაჩემის პაპის და მისივე მამის — პაპაჩემის სახელი, რომელნიც უმნიკელოდ ემსახურნენ საქართვე-

ლოს ეკლესიას; არ შევარცხვინო თვით მამაჩემის სახელი, რომელიც დღესაც მისი მსახურია. ეს კითხვები ყოველთვის მანუხებდა და მალეღვებდა.

ერთის შეხედვით, მღვდლობა თითქოს სულ არ არის ძნელი. სინამდვილეში მღვდლობა ისეთივე მძიმე სამსახურია, როგორც ექიმობა. მათ შორის ძალიან ბევრია საერთო. ექიმი ავადმყოფის მკურნალია, — ეს ასეა, მაგრამ რაგინდ კარგი მკურნალიც უნდა იყოს ექიმი, თუ მას არა აქვს უნარი მორალურადაც დაამშვიდოს და განკურნოს ავადმყოფი, ამ შრომას სასურველი შედეგი მხოლოდ მაშინ აქვს და მადლიც მაშინ მოსდევს, როცა იგი ავადმყოფის სულს ჩასწვდება.

მღვდლობაც ასეა... მოძღვარი მორწმუნე ხალხის სულიერი მკურნალია. არ არის იოლი მისი გზა. მღვდელი მორწმუნისათვის სინმინდისა და სიკეთის მაგალითია, მისი გზის მანათობელი სანთელია. დიახ, სასულიერო პირი თავისი ცხოვრებით, თავისი გრძნობით მორწმუნე ადამიანებს გზის მანათობლად უნდა ევლინებოდეს. აი, ასე მესახებოდა მე ის გზა, რომელიც ავირჩიე. არ ვიცი, — შევძლებ თუ ვერ შევძლებ, მაგრამ ღმერთს მუდამ შევსთხოვდი და შევსთხოვ, მომცეს ძალა და შენევნა ამ დიდი სამსახურის შესრულებისათვის. მუდამ ამ ფიქრით ვემსახურები ჩვენს მრავალტანჯულ, მართლმადიდებელ ქრისტიანულ ეკლესიას.

ამჯერად კი უღელი, რომელიც მხრებზე დამედგა, კიდევ უფრო დამძიმდა. ვდგავარ რა თავდახრილი თქვენს წინაშე უღირსი მონა ღვთისა, ჩემს თავს ვეკითხები: მე რითა ვარ ღირსი ვატარო ეპისკოპოსის სახელი? სახელი, რომელსაც ატარებდა დიდი გაბრიელი, ან გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსი ალექსანდრე, ან ანტონ ჭყონდიდელი? ვატარო მათსავით ღირსეულად და შეურცხვენელად... დიახაც, დიდი ტვირთი და დიდი მოვალეობაა ეს.

ერთადერთს, ისევ თქვენ მოგმართავთ, თქვენო უნმინდესობავ და უნეტარესობავ: რადგან ზეგარდამო ღმერთის ნებით მიიღეთ ასეთი დადგინება, გთხოვთ, ილოცოთ ჩემთვის და შევედროთ უფალსა ჩვენსა, რათა მან შემაძლებინოს ეს უმძიმესი სამსახური ჩემი მშობელი ხალხის წინაშე, რათა გავამართლო მე თქვენი ნდობა და იმედები, თუნდაც — ნაწილობრივ მაინც.

მე მხოლოდ და მხოლოდ ის დამრჩენია, რომ მუ-

დამ მახსოვდეს პავლე მოციქულის სიტყვები: „კაცად-კაცადმან თვისი ტვირთი იტვირთოს“. პავლე მოციქული, აგრძელებს რა თავის აზრს, ამბობს: „ჯერ-არს ეპისკოპოსისა, რათა უბრალო იყოს, ფრთხილ, ნმიდა, შემკულ, სტუმართ-მოყუარე, სწავლულ“. ამ სიტყვების აზრი დიდია, დიდია ისევე, როგორც დიდია თვით ღმერთი მალალი. ასეთი სირთულის წინაშე ვდგავარ და ისევ შევებოვ უფალს — მის მონყალებას: რადგანაც მე მყო მღვდელმთავრად ბათუმ-შემოქმედის ეპარქიისა, მანვე სახიერმან მომცეს ძალა და გონება, რათა კეთილად აღვასრულო ნება მისი. მისი ბრწყინვალეობით იყოს განათლებული ჩემი შავი სამოსი და რთული გზა. ამინ!“

ბათუმ-შემოქმედის ეპარქიაში სამწლიანი მოღვაწეობის შედეგად, მეუფე დავითის ხელმძღვანელობით დაიწყო 1976 წელს დამწვარი ბათუმის ყოვლადწმინდა სამების სახ. ტაძრის მშენებლობა (ცხუმ-აფხაზეთის ეპარქიაში გადაყვანის შემდეგ მისი მშენებლობა დაასრულა და აკურთხა მიტროპოლიტმა შიომ (ავალიშვილი) 1983 წელს — გ.მ.), გაიხსნა სამი ეკლესია და ჯიხეთის დედათა მონასტერში აშენდა ოთხი სახლი მონაზვნების საცხოვრებლად, იკურთხა რამდენიმე სასულიერო პირი.

1980 წლის 1 ოქტომბრიდან 1984 წლის 14 იანვრამდე მეუფე დავითი იყო მცხეთის სასულიერო სემინარიის რექტორი. 1980 წლის 14 ოქტომბერს მთავარეპისკოპოსის წოდება მიენიჭა.

1981 წელს ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს ორგანო ყურნალი „უან უელდ“ წერდა (აღნიშნული წერილი ქართულად თარგმნა დ. ველიაშვილმა):

„წვეროსან მართლმადიდებელ პრელატთა რიგებში 53 წლის ეპისკოპოსი დავით ჭკადუა ისე გამოიყურება, თითქოს იგი სასულიერო პირად დაიბადა. სინამდვილეში, ეს ტანმორჩილი, მკვრივი აღნაგობის ქართველი ეპისკოპოსი, ორთოდოქსალური ეკლესიის მსახურთა შორის, მეტად უჩვეულო წარმოშობისაა. 30 წელი იგი კბილის ექიმი იყო, შემდეგ კი ბაბუისა და მამის ნაკვალევს გაჰყვა და საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკაში მართლმადიდებელი ეკლესიის მსახური გახდა.

ეპისკოპოსი დიდად განიცდის მსოფლიოს ჩაგრული ხალხის ბედს: „როგორც იცით, ჩვენმა ქვეყანამ სასტიკი ომი გადაიტანა ფაშისტური გერმანიის წინააღმდეგ. საბჭოთა კავშირის მილიონობით ხალხის სიცოცხლედ დაუჯდა გამარჯვება. ამ ომში უსაზღვროდ დიდი მსხვერპლი გაიღო საქართველომაც. ამ ფაქტმა ღრმა ნაკვალევი დააჩნია ჩემს მეხსიერებას. ეხლაც, როცა მესმის, რომ კაცობრიობა კვლავ ომის საშინელებების წინაშე დგას, მწუხარებით ვივსები. კვლავ ცოცხლდება მეხსიერებაში წარსულის საშინელებანი და ის უაზრო მსხვერპლი...“

„...მე ღრმად მჯერა, რომ მსოფლიოს ხალხებს



გაგა-შვილი ჭკადუაგი -
დეკანოზი იონა და ეპისკოპოსი დავითი

შორის უსათუოდ უნდა არსებობდეს თბილი, მეგობრული დამოკიდებულება. ასეთი იყო ჩემი რწმენა და ასეთივე დარჩა მას შემდეგაც, რაც ჩემი ცხოვრება მაცხოვრის სამსახურს მივიძღვენიო“ — თქვა მან.

დღეს საქართველოს ეკლესიას სათავეში უდგას მისი უწმინდესობა და უნეტარესობა ილია II, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი. მისი ლოცვა-კურთხევით, ეპისკოპოსი დავითი ჭკადუა ემსახურება საეკლესიო ცხოვრებას თავის ეპარქიაში. საქართველოში 15 ეპარქიაა. ბათუმ-შემოქმედის ეპარქია ეპისკოპოს ჭკადუას ეკუთვნის.

აღმოსავლეთის მართლმადიდებელ ეკლესიათა შორის ერთ-ერთი უძველესთაგანი, საქართველოს ეკლესია, I საუკუნეში დააარსა მოციქულმა ანდრია პირველწოდებულმა. იმ მოციქულთა შორის, ვინც ქრისტიანობა შემოიტანა საქართველოში, ანდრიას გარდა არიან: ნმიდა მოციქული სვიმონ კანანელი, მათე, ბართლომე და მათი მონაფეები. წმ. ბართლომემ იქადაგა ქრისტიანობა როგორც საქართველოში, ისე ჩრდილო კავკასიაში.

საქართველოში, რომელიც იმ დროს იბერიის სახელწოდებით იყო ცნობილი, ქრისტიანობა საბოლოოდ დამკვიდრდა მოციქულთა სწორის, ნმიდა ნი-



ალექსანდრიის პატრიარქი ნიკოლოზ VI (პარალკლუსი) სოსუმში სტუმრად მიუფა დავითთან, 1983 წელი

ნოს დროს, მე-4 საუკუნის დასაწყისში. იმ დროიდან ქრისტიანობამ მრავალი ჭირ-ვარამი გადაიტანა. უთვალავი იყო ბოროტი მცდელობა მისი განადგურებისა“.

1981 წლის 8 სექტემბერს მთავარეპისკოპოსი დავითი ცხუმ-აფხაზეთის ეპარქიაში გადაიყვანეს. 1983 წლის 26 ივნისს მას მიტროპოლიტის წოდება მიენიჭა.

წყარო: საქართველოს საპატრიარქოს არქივი, ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტ დავითის (ჭკადუა) პირადი საქმე; ჟურნალი „ჯვარი ვაზისა“ 1978წ. №2, გვ. 50; 1979წ. №1, გვ. 21; გვ. 26; 1981წ. №2, გვ. 51; 1983წ. №2, გვ. 17; გვ. 55; 1984წ. №2, გვ. 24-26; 1985წ.

№1, გვ. 45; 1986წ. №2, გვ. 18-20; 1995წ. №1, გვ. 110; გაზეთი „მადლი“ 1992წ. №19, გვ. 8.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

ლიტ: მიტროპოლიტი დავითი „რწმენა“ (მოთხრობები), ქ. თბილისი 1992წ., გვ. 3-4; ზ. ჟვანია, „საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი და მღვდელმთავარი 1917 წლიდან, ქ. ქუთაისი, 1994წ. გვ. 82; ს. ვარდოსანიძე „ქართველი მღვდელმთავრები (XX-XXI საუკუნეებში), ქ. თბილისი, 2010წ.

**მღვდელი
გიორგი მაჩუროშვილი**

თუ თქვენს საოჯახო არქივში მოიპოვება სასულიერო პირთა და საქართველოს ეკლესია-მონასტართა ფოტოგაბი, გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ, რათა ერთობლივი ძალისხმევით დავიწყებულს ვიხსნათ ისინი. ჩვენი ტელეფონებია: 593 19 36 04; 599 88 66 90; 2 32 48 66; 2 98 95 41

გთხოვთ, გაზათს გაუფრთხილდეთ მასში დაბეჭდილი მასალების გამო
საბანკო ანგარიში: სს „ლიბერთი ბანკი“ ბანკის კოდი: LBRTGE22.
ანგარიში: № GE57LB0115123530407000. საბანკო კოდი — 45 01 56.



რედაქტორის მოადგილის ელ.ფოსტა:
bokuchavanana1@gmail.com.
მის: ერეკლე II-ის მოედანი 1, საქართველოს
საპატრიარქოს პრესცენტრი. ტელ. 2 98-95-41

რედაქტორის მოადგილე: ნანა ბოკუჩავა ტ: 599 23 10 54
სარედაქციო კოლეგია: მიტროპოლიტი დიმიტრი (მილადიშვილი), მარიამ გაგუა, ნინო გაგომაძე, თამარ ასათიანი, მღვდელი გიორგი მაჩუროშვილი, ია ხაზარაძე, სერგო კერესელიძე, ბულაღტყვი: ელასი ჯიბლაძე; გაერცვლება: ცარო ვარდიშვილი, მამუკა კვაჭანტირაძე; დასავ. საქართველოში გაერცვლება ზაზა უგულავა 595343056
დამკაბადონებელი: ვალერიან ჯულელი

ადამიანთა პრობლემების მოგვარებით, რომელთა სქესი და გენდერული იდენტობა არ ემთხვევა ერთმანეთს. სქესის ქირურგიული კორექციის, ჰორმონალური თერაპიისა და ფსიქოთერაპიის დახმარებით შესაძლებელია ადამიანებს მნიშვნელოვნად დავეხმაროთ საკუთარ სქესსა და გენდერულ იდენტობასთან ჰარმონიის მიღწევაში“, — ვკითხულობთ ერთ-ერთ სახელმძღვანელოში.

სხვა წიგნში ავტორები ფაქტების კონსტატაციას ახდენენ, რომ ზოგიერთ ქვეყანაში ჰომოსექსუალობა მისაღებია ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე, მაგრამ არსებობენ ქვეყნები, სადაც ჰომოსექსუალური ურთიერთობა და ქორწინება

კანონით იკრძალება. მოსწავლეებს რეკომენდაციას აძლევენ, კლასში გამოიკვლიონ ჰეტეროსექსუალობისა და ჰომოსექსუალობის ბიოლოგიური ასპექტები.

ა.ნ. 11 სექტემბერს, ბელგრადის წმინდა საბას სახელობის საკათედრო ტაძრის წინ სიტყვით გამოსვლისას პატრიარქმა პორფირემ მოუწოდა მორწმუნეებს, ელოცათ ოჯახისა და ქორწინების დაცვისათვის, ხოლო განათლების ორგანოებს — ბიოლოგიის სახელმძღვანელოების ამოღებისკენ და განაცხადა, რომ სერბული საზოგადოება შეეჩეხება ლგბტ იდეოლოგიის „წყნარად“, მშვიდად და ნერგვის შედეგებს.

ისტორიის ფურცელი

მიტროპოლიტი დავითი (ჭკადუა)

1926-1992

(ბარდაცვალებიდან 30 წლისთავი)

II ნაწილი

1983 წლის 24 ივლისიდან 10 აგვისტომდე კანადაში, ქ. ვანკუვერში მიმდინარე ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს VI გენერალურ ასამბლეაზე მიტროპოლიტი დავითი ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს ახალი ცენტრალური კომიტეტისა და სამედიცინო კომისიის წევრად აირჩიეს. 1984 წლის 14 იანვარს საქართველოს საპატრიარქოს საგარეო განყოფილების თავჯდომარედ დაინიშნა. იგი მონაწილეობდა მსოფლიო სხვადასხვა ქვეყანაში მართლმადიდებელ და არამართლმადიდებელ ეკლესიათა მიერ მოწყობილ ფორუმებში, როგორც საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წარმომადგენელი. ყურნალ „ჯვარი ვაზისას“ არქივში შემორჩენილია ამის დამადასტურებელი მასალაც. 1985 წელს ეკლესიათა მსოფლიო საბჭოდან დირექტორის დროებითი მოვალეობის შემსრულებელი რეჟინალდ-ამონუ-ლარსტონი მიტროპოლიტი დავითს სწერდა:

„ძვირფასო მიტროპოლიტო დავით! ქრისტიანული სამედიცინო კომისიის წევრებისა და პირადად ჩემი სახელით გულწრფელ მადლობას გიხდით ჰოლანდიაში, ველდჰოვენში, ქრისტიანული სამედიცინო კომისიის კრებაზე დასწრებისა და თანამშრომლობისათვის. დარწმუნებული ვარ, კრებაზე გამოთქმული თქვენი რჩევა სასურველ მიმართულებას მისცემს ქრისტიანული სამედიცინო კომისიის მომავალ მუშაობას. გვინდა ყურნალ „კონტაქტში“ გამოვაქვეყნოთ ველდჰოვენის კრების შთაბეჭდილებანი. ვიმედოვნებთ, ახლო

მომავალში მოგვანვდით მოკლე მოხსენებას ამ საკითხთან დაკავშირებით.

დიდად მადლობელი დავრჩებით, თუ შეადგენთ პატარა საინფორმაციო ტექსტს, სადაც რეტროსპექტრულად იქნება აღწერილი ერთი კვირის განმავლობაში შექმნილი მნიშვნელოვანი გამოცდილებანი.

ამავე დროს, გთხოვთ, მოგვანოდოთ თქვენი ორგანიზაციიდან იმ პირების სახელები და მისამართები, რომელთაც სურვილი ექნებათ ყურნალ „კონტაქტის“ მიღებისა, რათა შევძლოთ მათი სიაში შეტანა.

წერილს თანდართული აქვს ველდჰოვენის კრების მოკლე მოხსენება, მადლობელი ვიქნებით, თუ შეიტანთ მასში რაიმე დამატებებს ან შესწორებებს“.

იმავე წელს ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს ქრისტიანული სამედიცინო კომისიის წევრი, ექიმი ერიკ რემი მიტროპოლიტი დავითს სწერდა:

„ამ მოკლე ბარათით გაცნობებთ, თუ რა დიდი სიამოვნება იყო ჩემთვის ველდჰოვენიდან გამოგზავნილი თქვენი წერილები. დიდად მადლიერი ვარ თქვენი ლოცვებისა და იმ მორალური მხარდაჭერისა, რაც თქვენგან მიმიღია. მათი დახმარება დიდად საგრძნობია.

გავიგე თქვენი დაძაბული, მაგრამ შედეგიანი მუშაობის შესახებ. დიდი კმაყოფილებით ავიკითხე მოხსენებები. თქვენ შესანიშნავი სამუშაო

ჩაატარეთ. მე მხოლოდ ვწუხვარ, რომ პირადად არ ვიყავი თქვენთან ერთად ჰოლანდიაში. მაღლს ვწირავ უფალს; იგი გხელმძღვანელობდათ მუშაობაში.

ჩვენ, ქრისტიანული სამედიცინო კომისიის (ქსკ-ს) წევრები, ყველანაირად შევეცდებით ხორცი შევასხათ დასახულ ამოცანებს. განსაკუთრებით ვაფასებთ თქვენს დამოკიდებულებას ჩვენდამი, როგორც ადამიანებისადმი და მზადყოფნას, დაგვეხმაროთ და ჩვენთან ერთად იმუშაოთ.

უახლოეს თვეებში დაგიკავშირდებით.

ჩემი ავადმყოფობის ერთდერთი დადებითი მხარე იყო ის, რომ მთელი ჩემი ოჯახი ქრისტეს შობას შეხვდა ერთად.

მაღლობა თქვენ, თქვენი ლოცვებისათვის. გთხოვთ, არც მომავალში შეწყვიტოთ ლოცვების აღვლენა ჩემთვის და მთელი ქსკ-სათვის. მომწერეთ, როცა გექნებათ დრო.

ვიმედოვნებ, უახლოეს მომავალში საშუალება მექნება ვენვიო თქვენს ეკლესიას“.

მიტროპოლიტი დავითი არჩეული იყო ამერიკის შეერთებული შტატების ექვსი ქალაქის საპატრიო მოქალაქედ (1984 წლის 3-22 მაისს იგი ვიზიტით იმყოფებოდა ამერიკის შეერთებულ შტატებში, საბჭოთა კავშირის რელიგიურ მოღვაწეთა დელეგაციაში). სხვადასხვა წლებში დაჯილდოებული იყო საქართველოს, კონსტანტინეპოლის, ალექსანდრიის, იერუსალიმის, ბულგარეთის საპატრიარქოებისა და ჩეხოსლოვაკიის, ამერიკისა და სხვა ეკლესიების ორდენებით. 1986 წელი გაერთიანებული ერების ორჰანიზაციამ გამოაცხადა მშვიდობის წლად. იმავე წლის 10 აპრილს ამერიკის შეერთებულ შტა-



მიტროპოლიტი დავითი (ჭააღუა)

ტებში გაემგზავრა საბჭოთა კავშირის ქრისტიანულ ეკლესიათა დელეგაცია (ეს გახლდათ მეოთხე ვიზიტი, რომელიც ორი კვირა გაგრძელდა). გაიმართა უამრავი შეხვედრა. ვიზიტის მთავარი მოტივი გახლდათ „კაცთა შორის სათნოებისა და ქვეყანასა ზედა მშვიდობის“ იდეა. მეუფე დავითმა წაიკითხა თემა „ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის როლი



მიტროპოლიტი დავითი ანსტარღავში



საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის ცნობა

საზოგადოების განვითარების საქმეში. წარსული და მომავალი", რამაც სასურველი რეაქცია გამოიწვია. საქართველოში დაბრუნებულ მიტროპოლიტი დავითს აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავჯდომარემ ვ. ო. კობახიამ დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით გადასცა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელი „მშვიდობისათვის მებრძოლი“, რომლითაც იგი დაჯილდოვდა მშვიდობის დაცვის საქმეში აქტიური მოღვაწეობისათვის.

1990 წელს მიტროპოლიტი დავითი შედიოდა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის იმ დელეგაციის შემადგენლობაში, რომელმაც კონსტანტინეპოლიდან ჩამოიტანა საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორიული ავტოკეფალიის მტკიცებულების სიგელი. 1990 წელს, ავსტრალიაში, ქ. კამბერაში იგი 7 წლის ვადით ხელმეორედ აირჩიეს მსოფლიო საბჭოს ახალი ცენტრალური კომიტეტისა და სამედიცინო კომისიის წევრად. ამავე ასამბლეაზე მეუფე დავითის მცდელობით მიიღეს რეზოლუცია საქართველოს თავისუფლების მხარდასაჭერად.

ცხუმ-აფხაზეთის ეპარქიაში მოღვაწეობის პერიოდში მიტროპოლიტი დავითის ხელმძღვანელობით

გაიხსნა 6 ახალი ეკლესია, 5 ეკლესიაში შესრულდა აღდგენითი სამუშაოები და აშენდა ახალი ტაძარი სოფ. ოხურეში. მისი თაოსნობით გაფართოვდა სოხუმის საკათედრო ტაძარი. მიტროპოლიტი დავითი დააჯილდოვეს მეორე პანალიისა და სკუფიაზე ბრილიანტის ჯვრის ტარების უფლებით.

სასულიერო და საზოგადოებრივ მოღვაწეობასთან ერთად მიტროპოლიტი დავითი ლიტერატურულ საქმიანობასაც ეწეოდა. მისი მოთხრობები, ქართული ჟურნალ-გაზეთების გარდა, იბეჭდებოდა გერმანიასა და ამერიკის შეერთებულ შტატებში. 1992 წელს გამომცემლობამ „კიდევაც დაიზრდებიან“ გამოსცა მისი მოთხრობების კრებული, სახელწოდებით „რწმენა“.

მიტროპოლიტი დავითს რთულ ეპოქაში მოუხდა მოღვაწეობა, განსაკუთრებით ეს ეხება მისი ცხოვრების ბოლო წლებს. 1992 წელს, მისი მმართველობის პერიოდში, დაიწყო კონფლიქტი აფხაზეთში, რაც გარე ძალების მიერ იყო ინსპირირებული. მალე ეს დაპირისპირება საომარ მოქმედებებში გადაიზარდა. 1992 წელს ქ. სოხუმში გამართულ ქართველობის მრავალათასიან მიტინგზე მიტროპოლიტი დავითი მგზნებარე სიტყვით გამოვიდა. მან აღნიშნა: „ის, რაც აფხაზეთში ხდება, ჩემთვის, არა



კონსტანტინეპოლის პატრიარქი ბართლომეოსი და მიტროპოლიტი დავითი

მხოლოდ როგორც ეკლესიის მსახურისათვის, არამედ როგორც მოქალაქისათვის, წარმოუდგენელი რამ არის. ბავშობიდანვე ვეზიარე მას, რომ ქართველები და აფხაზები ნათესავეები არიან. ყოველთვის ამას ვქადაგებდი ამბიონიდანაც, მაგრამ ახლა ეჭვი გამიჩნდა, დიდი ეჭვი; როგორ შეიძლება ძმა იყოს ის, ვინც მოსაკლავად გაგიმეტებს და ტყვიას გესვრის. მე ღვთისმსახური ვარ და ღვთისავე სახელით კაცს ნებისმიერ შეცდომას მივუტყევებ, მაგრამ ეს მაშინ ხდება, როდესაც მოინანიებს დანაშაულს და მიტევებას ითხოვს. სამწუხაროდ, აქ ჯერ ვერ ვხედავ ამას. პირიქით, დამნაშავე სხვისთვის სისხლის გადაბრალებას ცდილობს. ეს ორმაგი შეცდომა და მკრეხელობაა. ყველაფრის პატიება არ შეიძლება, ამისათვის შთამომავლობა მოგვთხოვს პასუხს. როდესაც დამნაშავეზე ვლაპარაკობთ, მთელს ხალხს როდი ვგულისხმობ, ხალხი არ შეიძლება დამნაშავე იყოს. დამნაშავენი პიროვნებები არიან. ვლოცულობ ქართველთათვის და აფხაზთათვისაც, რომლებსაც თავგზას უბნევენ უკეთურები. ყველა-

ფერს ვილონებ, რათა ორ ხალხს შორის მშვიდობა აღდგეს. ეს ჩემს მისიად მიმაჩნია“. სამწუხაროდ, მიუხედავად მიტროპოლიტ დავითის დიდი ძალისხმევისა, შერიგება ვერ მოხერხდა.

1992 წლის 7 ოქტომბერს ქ. თბილისში მყოფი მღვდელმთავარი მოულოდნელად გარდაიცვალა. ამასთან დაკავშირებით, გაზეთი „მადლი“ მოკლე ნეკროლოგს აქვეყნებს: „სრულიად საქართველოს საპატრიარქო მწუხარებით იუნწყება, რომ ღვთივ განისვენა მისმა მაღალყოვლადუსამღვდელოესობამ, ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტმა დავითმა (გივი ჭკადუა). ოთხშაბათს, საღამოს, მისი ცხედარი დასვენებული იქნება სიონის საკათედრო ტაძარში. ხუთშაბათს, დილის 9 საათზე შესრულდება წირვა, ხოლო 12 საათზე — წესის აგება. დასაფლავება ორ საათზე სიონის ტაძრის ეზოში“. განსვენებულს მღვდელმთავარს წესი აუგო სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უნმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ წმინდა სინოდის მღვდელმთავართა თანამონაწილებით. მისი ცხედარი სიონის საპატრიარქო ტაძრის ეზოში, სამხრეთ გალავანში დაასაფლავეს.

სტატიის დასასრული

წყარო: საქართველოს საპატრიარქოს არქივი, ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტ დავითის (ჭკადუა) პირადი საქმე; ჟურნალი „ჯვარი ვაზისა“ 1978წ. №2, გვ. 50; 1979წ. №1, გვ. 21; გვ. 26; 1981წ. №2, გვ. 51; 1983წ. №2, გვ. 17; გვ. 55; 1984წ. №2, გვ. 24-26; 1985წ. №1, გვ. 45; 1986წ. №2, გვ. 18-20; 1995წ. №1, გვ. 110; გაზეთი „მადლი“ 1992წ. №19, გვ. 8.

ლიტ: მიტროპოლიტი დავითი „რწმენა“ (მოთხრობები), ქ. თბილისი 1992წ., გვ. 3-4; ზ. ჟვანია, „საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი და მღვდელმთავარი 1917 წლიდან, ქ. ქუთაისი, 1994წ. გვ. 82; ს. ვარდოსანიძე „ქართველი მღვდელმთავრები (XX-XXI საუკუნეებში), ქ. თბილისი, 2010წ.

მღვდელი
გიორგი მაჩუროშვილი

საავტორო უფლება დაცულია

თუ თქვენს საოჯახო არქივში მოიპოვება სასულიერო პირთა და საპატრიარქოს ეკლესიის მონასტრის ფოტოები, გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ, რათა ერთობლივი ძალისხმევით დავინახებინებინოთ ისინი. დაგვიკავშირდით ტელ.: 593 19 36 04; 599 88 66 90; 2 32 48 66; 2 98 95 41

გთხოვთ, გაზათს გაუფრთხილდეთ მასში დაბეჭდილი მასალების გამო საბანკო ანგარიში: სს „ლიბერთი ბანკი“ ბანკის კოდი: LBRTGE22. ანგარიში: № GE57LB0115123530407000. საბანკო კოდი — 45 01 56.



რედაქტორის მოადგილის ელ.ფოსტა: bokuchavanana1@gmail.com. მის: ერეკლე II-ის მოედანი 1, საქართველოს საპატრიარქოს პრესცენტრი. ტელ. 2 98-95-41

რედაქტორის მოადგილე: ნანა ბოკუჩავა ტ: 599 23 10 54
სარედაქციო კოლეჯია: მიტროპოლიტი დიმიტრი (მილაშვილი), მარიამ გაგუა, ნინო გაგომიშვილი, თამარ ასათიანი, მღვდელი გიორგი მაჩუროშვილი, ია ხაზარაძე, სერგო კერესელიძე, ბუღალტერი: ვლასი ჯიბლაძე; გავრცელება: ცარო ვარდიშვილი, მამუკა კვაჭანტირაძე; დასავ. საქართველოში გავრცელება ზაზა უგულავა 595343056
დამკაბადონებელი: ვალერიან ჯუღელი


ისტორიის ფურცელი

დეკანოზი რაჟდენ გიგაური

1837 - 1904

„ის სულითა და გულით ქართველი იყო: იგონებდა წარსულს, ჰფიქრობდა მომავალზე და იტანდა ან-მყოს... პირ-ნათლად წარუდგება წინაპრებს და უშიშრად ეტყვის: „დიად, მე გავლიე წუთისოფელი და არ დამიკლია სამშობლოსათვის, რაც კი შევიძელ!“

დეკანოზი რაჟდენ სვიმონის ძე გიგაური 1837 წელს თბილისის მაზრაში, გლეხის ოჯახში დაიბადა. 1860 წელს თბილისის სასულიერო სემინარია მეორე ხარისხის დიპლომით (სხვა ვერსიით — სტავროპოლის სასულიერო სემინარია) დაამთავრა და იმავე წელს თბილისის სასულიერო სემინარიის პედაგოგად დაინიშნა. 1860 წლის 27 ივნისს თბილისის სასულიერო სემინარიაში ოსური ენის სწავლებისთვის საჩუქრად 90 მანეთი გადაეცა. 1860 წლის 15 ოქტომბერს ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში მასწავლებლად დაინიშნა. 1862 წლის 25 მაისს ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის ახალი შენობის აღმშენებელი კომიტეტის საქმის მწარმოებლად დაადგინეს. იმავე წლის 25 ოქტომბერს პატიოსანი და თავდადებული შრომისათვის საჩუქრად გადაეცა 50 მანეთი ვერცხლის ფული. 1863 წლის 25 მარტს იმერეთის ეპისკოპოსმა გაბრიელმა (ქიქოძე) დიაკვნად აკურთხა, იმავე წლის 28 მარტს მღვდლად დაასხა ხელი და ალისუბნის მთავარანგელოზთა სახ. ტაძრის წინამძღვრად განამწესა. მეორე დღეს მთავარხუცესად დაამტკიცეს. 1864 წლის 15 ოქტომბერს საგვერდულით დაჯილდოვდა. 1866 წლის 9 მაისს ქუთაისის საკათედრო ტაძრის კრებულში დაინიშნა. 1866 წლის 27 მაისს სამღვდელმთავრო გუნდის მგალობელთა ხაზინადრად დაადგინეს. 1867 წლის 2 იანვარს იმერეთის ეპარქიალური სარევიზიო კომიტეტის თავმჯდომარედ აირჩიეს. 1867 წლის 15 მარტიდან იმერეთის საეკლესიო ხაზინის ყოველთვიური შემოსავლების განმკარგავი კომისიის წევრია. 1868 წლის 26 მარტს სამღვდელოების მხრიდან აირჩიეს დეპუტატად ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის მდგომარეობის გასაუმჯობესებელი კომიტეტის წევრად და ქუთაისში სასულიერო სემინარიის გახსნის თაობაზე შექმნილი კომისიის წევრად. 1869 წლის 30 აგვისტოს სკუფია უბოძეს. 1870 წლის 30 სექტემბერს გათავისუფლდა მთავარხუცესობიდან და ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში საღვთო სჯულის პედაგოგად დაადგინეს. იმავე წლიდან დროებით მასვე დაევალა ქუთაისის ქალთა გიმნაზიის წმ. ნინოს სახ. ტაძარში წირვალოცვების ჩატარება. 1871 წლის 29 იანვარს ქუთაისის წმ. ალექსანდრე ნეველის სახ. საკათედრო ტაძრის კანდელაკისა და ეკონომოსის მოვალეობის შემსრუ-



ქუთაისის მთავარანგელოზთა სახ. ტაძარი

ლებლად დაინიშნა. 1871 წლის 19 მარტს სასულიერო პირთა მხრიდან აირჩიეს საკათედრო ტაძრის ინტერესების დამცველად. 1871 წლის 27 აპრილს დამტკიცდა კანდელაკად და ეკონომოსად. 1873 წლის 12 აგვისტოს „კამილაკა“ ეწყალობა.

1874 წლის 26 აგვისტოდან სამეგრელოს სასულიერო სასწავლებელში მმართველი საბჭოს წევრია. 1874 წლის 22 ნოემბრიდან იმავე სასწავლებელში საღვთო სჯულის სწავლება დაევალა. სამეგრელოს სასწავლებელში ყოფნის პერიოდში, 1874 წლის აპრილი-მაისში, მღვდელ რაჟდენს გაზეთ „დროების“ ფურცლებზე პოლემიკა ჰქონდა უცნობ კორესპონდენტთან, ფსევდონიმით — „ცქრიალა ბჭყალაძე“. საქმე ეხებოდა სასწავლებელში სწავლის დაბალ დონეს, იქ არსებულ სხვადასხვა პრობლემას, პედაგოგთა შემოსავლებს და სხვა. საბოლოოდ, უცნობი კორესპონდენტი თავად გაზეთის რედაქციასაც გაუნანყენდა და კამათი ამით შეწყდა (იხ. გაზეთი „დროება“ 1874 წლის №№ 418, 420, 422, 424).

1875 წლის 8 თებერვალს მღვდელი რაჟდენი ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის შემოსავალ-გასავლების სარევიზიო კომიტეტის წევრად აირჩიეს. 1876 წლის 17 აგვისტოს ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში საკათედრო ტაძრის სამღვდელოების მხრიდან დეპუტატად აირჩიეს. 1877 წლის 13 ივნისს სამკერდე ოქროს ჯვარი მიიღო. 1877 წლის 1 დეკემბრიდან ქუთაისის მთავარანგელოზთა სახ. ტაძრის წინამძღვრია;

1878 წლის 11 აგვისტოდან ამავე ტაძრის ქონებისა და მამულების განმკარგავი კომისიის წევრი. 1878 წლის 5 ოქტომბერს ქუთაისის ახლადგახსნილ წმ. ოლღას სახ. ქალთა გიმნაზიაში საღვთო სჯულის პედაგოგად დაინიშნა. 1878 წლის 8 ოქტომბრიდან ასევე იყო ქუთაისის ვაჟთა გიმნაზიაში ქართული ენის მასწავლებელი. 1879 წლის 13 იანვარს მთავარანგელოზთა ტაძარს 150 მანეთი შესწირა, რის გამოც ეპისკოპოსმა გაბრიელმა მწყემსმთავრული მადლობა გამოუცხადა. 1879 წლის 9 მარტს იმერეთის გარდაცვლილი ეპისკოპოსის, ექვთიმეს (წულუკიძე), დარჩენილი ქონების შემსწავლელი კომისიის თავმჯდომარედ დაინიშნა. 1879 წლის 9 აგვისტოს მწყემსმთავრული მადლობა გამოეცხადა სოფ. ღვანკითის ახალი ტაძრის მშენებლობის საქმეში შეტანილი წვლილისათვის. 1880 წლის 29 ივნისს დეკანოზის წოდება მიენიჭა. 1884 წლის 1 მაისს წმ. ანას III ხარისხის ორდენით დაჯილდოვდა. 1884 წელს დეკანოზმა რაჟდენმა ახალგორის საეკლესიო-სამრევლო სკოლას შესწირა 100 ცალი თავისი თხზულება, რამაც დიდად გაახარა იქაური სკოლის პედაგოგი სპირიდონ გაბელაშვილი და გაზეთ „ივერიას“ ფურცლებზე მადლობა გადაუხადა მამა რაჟდენს ამ საჩუქრისათვის.

დეკანოზმა რაჟდენმა ორი წიგნი შეადგინა, რომელიც მის სიცოცხლეშივე დაიბეჭდა:

1) „მოკლე ახსნა ღვთის ტაძრისა თვისის საზოგადო კუთვნილებებით და მნიშვნელობებით საზოგადო ღვთის მსახურებათა: მწუხრის, სერობისა, შუა-ღამისა, ცისკრისა, ჟამნების: 1, 3, 6 და 9-სა კვეთისა, ესე იგი წირვის ან ლიტურგიის პირველის ნაწილისა, შედგენილი ქუთაისის საკათედრო სობოროს კანდელაკის, მღვდ. რაჟდენ ს. ძის გიგაუროვის მიერ. ქუთაისი, ლუბერნსკის სტ. 1875. კანი, 49 გვ. (17/12). 25 კ.;

2) „ცხოვრება, შრომა და მიცვალება: წმიდათა დიდებულთა და ყოვლად ქებულთა — ოთხთა მოციქულთა და მახარებელთა: მათეისი, მარკოზისა, ლუკასი და იოანე ღვთის მეტყველისა. შედგენილი ქუთაისის საკათედრო სობოროს კანდელაკის მღვდ. რაჟდენ გიგაუროვის მიერ. ქუთაისი, ლუბერნსკის სტ. 1877. კანი, თავფურცელი, II, 62 გვ. (17/12). 25 კ.

1884 წლის ივლისი-სექტემბერში დეკანოზ რაჟდენს პოლემიკა ჰქონდა გაზეთ „მწყემსის“ ფურცლებზე უცნობ კორესპონდენტთან, ფსევდონიმით — „ერის კაცი“, სადაც აღნიშნული კორესპონდენტი სამღვდლოებას სიზარმაცესა და გაუნათლებლობაზე ამახვილებდა ყურადღებას, რომ არ იქადაგებოდა ღვთის სიტყვა ეკლესიებში და არ ექცეოდა მოძღვრებით მხარეს შესაბამისი ყურადღება. წარმოებულ პოლემიკას გამოეხმაურა თავად გაზეთ „მწყემსის“ რედაქტორი, დეკანოზი დავით ლამბაშიძეც, რომელმაც თავისი აზრი დააფიქსირა ამ საკითხთან დაკავშირებით (იხ. გაზეთი „მწყემსი“ 1884 წლის №№14, 15, 16, 18, 19). საბოლოოდ, ყველაფერი დამთავრდა იმით, რომ ისევ გაზეთ „მწყემსში“ უცნობი კორესპონდენტი ფსევდონიმით — „სოფლის მღვდელი“ —

მცირე წერილს აქვეყნებს, რომელშიც ნათელი ეფინება ყველაფერს: „23-ს სექტემბერს ჩვენ შეგვხვდა წირვის მოსმენა ქუთაისის მთავარანგელოზთა ეკლესიაში, რომელშიაც მწირველად იყო მარტო ერთადერთი მ. დეკანოზი რაჟდენ გიგაუროვი. ამ ეკლესიაში ხალხი ძლიერ ბევრი დადის ხოლმე და ამ დღესაც, მართლა, ბევრი მლოცველები იყო. არც ერთ ეკლესიაში ქუთაისში ამდენი მლოცველები არ დადიან. რატომ? აი რისთვის: ეკლესია არის მშვენიერად მორთული; მამა დეკანოზს მოუხერხებია იმდენი, რომ ქართული გალობა გურულ კილოზედ გაუნწყვია და სასიამოვნოდ გალობენ ორი დიაჩოქი და ერთიც გარეშე პირი. თვითონ მ. დეკანოზი სწირავს მშვენიერი ტკბილი და სასიამოვნო ხმით და დიდის კრძალვით; ეკლესიაში სუფევს წესიერება და კრძალულება. წირვის გათავებისას მამა დეკანოზმა აუხსნა ხალხს ნაკითხული სახარება მდაბიური და გასაგონი ენით, რომელმაც მშვენიერი შთაბეჭდილება მოახდინა მსმენელებზე. მსმენელები იქამდის დარჩნენ მადლიერნი ამ სიტყვით, რომ ვერ დასძლიეს თავის გულის თქმა და იქვე ტაძარში სიტყვისა მრავალთა მსმენელთა წარმოსთქვეს: „შენც ღმერთმა მოგცეს კეთილი და აგისრულოს გულის სანადელი“. ერთის სიტყვით, ყველანი მშვენიერი შთაბეჭდლებით გამოვიდნენ ეკლესიიდან“. როგორც ვხედავთ, დეკანოზ რაჟდენს წირვალოცვაც რიგიანად ჰქონდა დაყენებული ტაძარში, მრევლიც დიდძალი ჰყავდა და არც ქადაგებას აკლებდა თავის სულიერ შვილებს. ამ ყველაფრის გამოძახილი იყო ის, რომ დეკანოზმა დავით ლამბაშიძემ გაზეთ „მწყემსის“ ფურცლებზე გამოაქვეყნა მამა რაჟდენის რამდენიმე ქადაგება.

დეკანოზი რაჟდენი 1904 წლის 15 დეკემბერს, სალამოს 6 საათზე, ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა. დაკრძალეს 19 დეკემბერს, ქუთაისის მთავარანგელოზთა სახ. ტაძარში, რომელიც, სამწუხაროდ, 1944 წელს დაანგრიეს და მამა რაჟდენის საფლავიც დაიკარგა.

1904 წლის 24 დეკემბერს გაზეთ „ივერიაში“ კ. ხუსკივაძე დეკანოზ რაჟდენ გიგაურის მოღვაწეობისა და დამსახურებების შესახებ წერდა: „19 დეკემბერს ქუთაისის მთავარანგელოზთა ეკლესიაში დაკრძალეს გვაში ამავე ეკლესიის დეკანოზის, მ. რაჟდენ გიგაურისა. მამა რაჟდენს ბევრი პატივისცემელი ჰყავდა ჩვენს ქალაქში. არ მოიძებნება ისეთი ინტელიგენტი ოჯახი, სადაც მამა რაჟდენის მოსწავლეთ ნამყოფი არ იყოს. ზოგიერთ ოჯახებში მამა, დედა და შვილები — ყველა მის ხელმძღვანელობით და ტკბილ სწავლა-დარიგებით აღზრდილია. არ ყოფილა ისეთი სასწავლებელი ქუთაისში, სადაც რამდენისამე წლით მაინც მის ნათელს და ღვთაებრივ მოღვაწეობას არ შეეშუქოს... მეც ერთი მისი მონაფეთაგანი გახლავართ სამოცდაათიან წლებში ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში მის სამსახურ-

რის დროს და გულწრფელად უნდა აღვიარო, რომ ერთი მაღლიერი და სიკვდილამდის მისი პატივისმცემელთაგანიც. ძნელია ასეთის ადამიანის საუკუნოდ დაკარგვა ხანგრძლივის ცხოვრებით მასთან გაბმულ მამა-შვილურ კავშირის შეწყვეტა. ეს ამბავი ყველას გულს უწყლულებს, გრძნობებს უღუნებს და მწუხარების ალში ახვევს. უსაზღვრო და ენით გამოუთქმელია ის გულწრფელი მწუხარება, ღრმად გულის ტკივილი, რომელიც მამა რაჟდენის სიკვდილმა აღძრა ყველა მის ნაცნობთა შორის. იმ დროს, როდესაც გარემოებამ ბუნებასთან ერთად მისი მორ-



აკაკი წერეთელი

ჩილი პირმშო — ადამიანიც გულცივობით, უგრძნობლობით და მარტო წუთიერ ცხოვრების წვრილ ანგარიშებით შეუმკია, მამა რაჟდენისებური გულკეთილი, ენა-ტკბილი, გრძნობაუხვი და ღმობიერი მამა სწორედ სანთლით საძებარი იყო ჩვენში.

ბევრს არ გვახსოვს ის მწუხარება, რომელსაც ახლად სოფლიდგან ჩამოყვანილი დედ-მამის თბილ გულმკერდს მოწყვეტილი, ნორჩი მოსწავლენი ვგრძნობდით ხოლმე. სასწავლებლის კედლებს შუა ყველაფერი გარეშე უცხო იყო. ყველაფრისა გვეშინოდა, გვერიდებოდა, სადღაც ცივ ადგილას ვგრძნობდით ჩვენს თავს. ამ დროს მამა რაჟდენის ტკბილი მოცემული ნუგეში, ალერსით სავსე გრძნობიერი გული, იმედიანის სიტყვებით თავზე ხელის გადასმა — მშობლიურ კერას მოგვაგონებდა ხოლმე და ღრმა მამა-შვილურ მისდამი სიყვარული ნორჩ გულის ფიცარზე ოქროს ასოებით, თავის თავად იწერებოდა.

ბავშვები იმას უფრო შეიყვარებენ, იმას უფრო ეთაყვანებიან, ვინც მათ გულში ჩაიხედავს, ვინც მათს უმანკო გულს სარკედ გაიხდის. ქრისტე ღმერთმა, ამ დიდებულმა ღვთაებრივმა მასწავლებელმაც ხომ ღირსეულად იცნო ყმანვილების უმანკო გული და თავის ქადაგების დროს ყმანვილებს თავის ღვთაებრივ ყურადღებას არ აკლებდა... ეს მაღლი და კურთხევა მამა რაჟდენის გულსაც უხვად ამკობდა და აბრწყინებდა. მაღლით გაბრწყინვალეული მისი გული სავსე იყო ბავშვების სიყვარულით... უსაზღვროდ უყვარდით... ჩვენვე ვამჩნევდით ამას, დიდად ვაფასებდით, მშობელ მამაში არ ვარჩევდით. ჩვენც ვგრძნობდით მის გონიერ დარიგებას და მიტომაც გულწრფელად გადაუშლიდით ხოლმე ნორჩ ბუნებას, თამამად გაუღებდით სხვისთვის ჩაკეტილ გულის კარს და უშიშრად ვაკითხებდით, თუ კი რამ ბინიერი, შემთხვევით,

ნაინერებოდა ამ ნორჩ და გამოუცდელ გულის ფიცარზე...

დარწმუნებული ვიყავით, რომ იმათთვისაც სასიამოვნო იყო და ჩვენც ყოველთვის, თავისუფლების დროს, სასწავლებლის ეზოში, გარს ვეხვიეთ და ყმანვილურის ტაკტიკით, თითქო თავს ვაბეზრებდით, მაგრამ მის ღმობიერ სახეზე კაცი ვერასოდეს ვერ შემამჩნევდა რაიმე საყვედურის, ანუ წყრომის ჩრდილსაც. იდგა ჩვენს შორის და ტკბილად, მამა-შვილურად გვემუსაიფებოდა.

სულ დიდი ხანი არ არის, რაც უკანასკნელად გამოემშვიდობა, მამა-შვილურად დალოცა გიმნაზიის მოწაფენი და სასწავლებლის კარს სამუდამოდ ზურგი შეაქცია. დღეს კი თავის მოსწავლეებიც და საყვარელი ცოლ-შვილიც გულდამწვარნი მიგვატოვა. დიდად, მიგვატოვა ყველანი, შესწყვიტა ჩვენს შორის ხორციელი, მამა-შვილური კავშირი, მაგრამ სულიერი ძაფი მაინც მუდამ იქნება ჩვენს შორის გაბმული და ამ წუთისოფლის ქარიშხალი ვერ შესძლებს მის განყვეტას. ბოლოს ისლა დაგვრჩენია, რომ ჩვენის ცოდვილის პირით შევავედროთ უფალს შენი ცხედარი...

შენ კი გთხოვთ, ამის მაგიერ, აჩრდილის მსგავსად მოველინო ხოლმე ჩვენს ქვეყანას და ჩვეულებრივის ტკბილის ენით შენი ლოცვა-კურთხევა გადმოგვივლინო ხოლმე“.

ქართველი პოეტი, მწერალი, პუბლიცისტი და საზოგადო მოღვაწე აკაკი წერეთელი, რომელსაც ახლო ნაცნობობა და მეგობრობა აკავშირებდა დეკანოზ რაჟდენთან, ვერ დაესწრო მის დასაფლავებას, რის გამოც სამძიმრის წერილი გამოაქვეყნა გაზეთ „ივერიაში“, სადაც გაიხსენა თავისი და მოძღვრის უკანასკნელი საუბარი. აი რას წერდა იგი: „მწუხარება მიმრავალკეცდება, რომ ვერ დავესწარ მამა რაჟდენ გიგაურის დამარხვას. სამართალი კი მოითხოვდა, რომ ან მე დავსწრებოდი მის დასაფლავებას, ან ის ჩემსას.“

ის სულითა და გულით ქართველი იყო: იგონებდა წარსულს, ჰფიქრობდა მომავალზე და იტანდა ანწყოს. დიდი ხანი არ არის, სულ სამი თვე არ იქნება რაც უკანასკნელად გამოვეთხოვე ძვირფას მეგობარს. იმას მაშინაც არ ჰქონდა სააქაო პირი, მაგრამ მაინც სამშობლოზე მელაპარაკებოდა: არა, ჩვენ ვერა ვართ კაი ქრისტიანები, მეუბნებოდა კვენსით, — ქრისტეს არც ცოლი ჰყოლია და არც შვილები, მოციქულებიც მისთანავე აერჩია: „დაუტყვე მამა, ცოლი, შვილი, სახლ-კარი, აილე ჯვარი

და შემომიდექი მეო“. — დი-
ახ, საზოგადო მოღვაწეო-
ბას ნუ დაიჩემებს ის, ვისაც
ცოლ-შვილი ჰყავს. დიდი ხა-
ნია უნდა დამენებებინა თავი
და კიდევ დავანებებდი თავს,
ჩემ „მთავარანგელოზს“,
რომ უცოლ-შვილო ვყოფი-
ლიყავი. მაგრამ ჰე, ავითანე
ყოლიფერი და გავძალუნდი.
არა, მეგობარო, ვუთხარი მე
— განა ცოლ-შვილის სიყვა-
რული იმას მოითხოვს, რომ
სამშობლოზე ხელი ავიღოთ
ხოლმე, როგორც ამას ჩადიან
ზოგიერთები? მსხვერპლის
შენიერვა განა მარტო ბრძო-
ლის ველზე სიკვდილი არის?
მაშინ როდესაც, ჩვენ მამუ-
ლის სიყვარულის გულისათ-
ვის უსამართლობასაც ვი-
ტანთ, ნუ თუ ეს მსხვერპლის
შენიერვა არ არის? შენ რომ
თავი დაგენებებია მთავარან-



დეკანოზი რაჟდენ გიგაური

გელოზის ეკლესიისათვის, მაგრამ არ დახვედროდი
მტრებს და უბრძოლველად გადამდგარიყავი მხო-
ლოდ იმ აზრით, რომ პირადი მდგომარეობა არ შე-
გენუხებია, რა გამოვიდოდა განა ამით? შენ მაგიერ
სხვა ხომ იბრძოლებდა შენს საომარს. არა არ ღირს
ამათზე ლაპარაკი. საკვირველ მაგალითს გვაძლევს
ბიბლია თავისის იობის შესახებ იგავ-არაკით. ჩვე-
ნი ხალხი ამბობს: იობს მატლი დაეხვია, მაინც არ
სთქვა ძვირი ღვთისა. დიად, ერთი ძვირი ღვთისა
რომ ეთქვა, მაშინვე მატლი დასცვივდებოდა და თი-
თონაც გამობრუნდებოდა, მაგრამ „მან არა სთქვა
ძვირი ღვთისა“. აიტანა ყველაფერი და გამობრუნ-
და თავის-თავად. ამისი არ იყოს, ვინც სამშობლოს
გულისთვის ბევრს აიტანს, ის თვითონ თუ არ მო-
ესწრება, შვილები და შვილიშვილები მოესწრებიან
უკეთესს დროს, და არავის ჰმართებს გულის გატე-
ხა მეთქი.

ამ სიტყვებმა ჩააფიქრეს მამა რაჟდენი, მან ცო-
ტა-ხნის სიჩუმის შემდეგ გაიღიმა და, იმავე დროს,

ობოლმა კურცხალმა დაუმ-
სა სპეტაკ წვერებზე, და ვინ
გამოიცნოს, რა იყო მათში?
ეგებო სააქაო მწუხარება
და საიქაო განსვენება, სა-
დაც პირ-ნათლად წარუდგე-
ბა წინაპრებს და უშიშრად
ეტყვის: „დიად, მე გავლიე
წუთისოფელი და არ დამიკ-
ლია სამშობლოსათვის, რაც
კი შევიძელ!...“

აი, ამისთანა ქართველს
გამოვეთხოვე, ამისთანა კა-
ცი დამარხეს 19 ამ თვეს. მე
ვერ დავესწარ, და ამის მეტი
არა დამრჩენია-რა სათქმე-
ლად: საუკუნოდ იყოს სახ-
სენებელი იმის საქართვე-
ლოსთან ერთად“.

დეკანოზ რაჟდენს ჰყავ-
და მეუღლე — მაკრინე შიოს
ასული (დაბ. 1841 წ.) და შვი-
ლები: ალექსანდრე (1865-
1915 წწ., შტაბს-კაპიტანი, წმ.

გიორგის კავალერის ორდენოსანი, დაიღუპა I მსოფ-
ლიო ომში დასავლეთ ფრონტზე, მეუღლე ნატალია
გაბაშვილი), კონსტანტინე (დაბ. 1869 წ.), მარიამი
(დაბ. 1871 წ.), ნატალია (დაბ. 1876 წ.), სერგი (დაბ.
1878 წ.), ნადეჟდა (დაბ. 1882 წ.), გრიგოლი (დაბ.
1884 წ.).

წყარო: საქართველოს ცენტრალური საისტორიო
არქივი, ფ. 488, აღწერა 1, საქმე №26027; ფ. 489, აღ-
წერა 1, საქმე №40420; გაზეთი „მწყემსი“ 1884 წ. №19,
გვ. 4; გაზეთი „ივერია“ 1888 წ. №243, გვ. 2; 1904 წ.
№294, გვ. 3; 1905 წ. №2, გვ. 2; გაზეთი „ცნობის ფურ-
ცელი“ 1904 წ. №2701, გვ. 1; გაზეთი „საქართველო“
1916 წ. №288, გვ. 1.

ლიტ: კეზევაძე მ. „ეგზარქოსობისდროინდელი
იმერეთის ეკლესიები და მღვდლები“, ქ. ქუთაისი,
2008 წ. გვ. 44; გვ. 131; გვ. 133.

მომზადა მღვდელმა
გიორგი მაჩუროშვილმა

საავტორო
უფლება
დაცულია

თუ თქვენს საოჯახო არქივში მოიპოვება სასულიერო პირთა და საქართველოს ეკლესია-
მონასტართა ფოტოები, გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ, რათა ერთობლივი ძალისხმევით
დავინახებინებინოთ ვინაა ისინი. დაგვიკავშირდით ტელ.: 593 19 36 04; 599 88 66 90; 2 32 48 66; 2 98 95 41

გთხოვთ, გაზეთს გაუფრთხილდეთ მასში დაბეჭდილი მასალების გამო
საბანკო ანგარიში: სს „ლიბერთი ბანკი“ ბანკის კოდი: LBRTGE22.
ანგარიში: № GE57LB0115123530407000. საბანკო კოდი — 45 01 56.



რედაქტორის მოადგილის ელ.ფოსტა:
bokuchavanana1@gmail.com.
მის: ერეკლე II-ის მოედანი 1, საქართველოს
საპატრიარქოს პრესცენტრი. ტელ. 2 98-95-41

რედაქტორის მოადგილე: ნანა ბოკუჩავა ტ. 599 23 10 54
სარედაქციო კოლეგია: მიტროპოლიტი დიმიტრი
(მოლაშვილი), მარიამ გაგუა, ნინო გაგომაშვილი,
თამარ ასათიანი, მღვდელი გიორგი მაჩუროშვილი, ია ხაზ-
არაძე, სერგო კერესელიძე, ბუღალტერი: ელასი ჯიბლაძე;
გაერცვლება: ცარო ვარდიშვილი, მამუკა კვაჭანტირაძე;
დასაე. საქართველოში გაერცვლება ზაზა უგულავა 595343056
დამკაბადონებელი: ვალერიან ჯუღელი

მაც 1932-1933 წლებში მოკლა 7-იდან 10 მილიონამდე უკრაინელი. შიმშილი — ეს ტრაგიკული ვითარებაა, მით უმეტეს, იმის გათვალისწინებით, რომ უკრაინელებისთვის ეს შიმშილი 1930-იან წლებში არ გამოუწვევია მწირ მოსავლიანობას.

ვიხსენებთ პოლოდომორს, რათა მსგავსი ტრაგედია აღარასდროს განმეორდეს. ეს არის დანაშაული კაცობრიობის წინაშე. ჩვენ დღესაც ვხედავთ არაადამიანურ და ძალადობრივ მოქმედებებს, რომლებიც ბარბაროსულია. გასულ წლებში ჩადენილი ეშმაკისეული ქმედებები ჩვენ თვალწინ მეორდება. რუსეთის ფედერაციის მხრიდან უკრაინის წინააღმდეგ წარმოებული საომარი აგრესია კვლავაც გვაიძულებს, განვიცადოთ წარსულის მოვლენები. დღევანდელი ომი იქცა სამწუხარო ყოველდღიურობად, რომელსაც მოაქვს აურაცხელი სიკვდილი.

ქრისტეს მიერ საყვარელნო ძმანო და დანო, ჩვენი უფალი და მხსნელი იესო ქრისტე კაცობრიობის გადასარჩენად იშვა. ქრისტეს ქვემარტი სწავლება არის სიყვარული, შენდობა და მოწყალება. სწორედ ამას მოგვინოვებს ჩვენი მხსნელი სახარებაში, რომ გვიყვარდეს ერთმანეთი ისე, როგორც მან შეგვიყვარა ჩვენ.

დაე, ჩვენმა საქმეებმა წარმოგვაჩინოს, რომ ვართ

მისი ქვემარტი მონაფეები და მშვიდობის ქვემარტი შემოქმედნი”.

უკრაინის უმაღლესი რადას კომიტეტმა მხარი დაუჭირა მოსკოვის საპატრიარქოს უკრაინული მართლმადიდებლური ეკლესიის აკრძალვის კანონპროექტს

ჰუმანიტარული პოლიტიკის კომიტეტმა მხარი დაუჭირა 3 კანონპროექტს:

- № 8221 - რუსეთის მართლმადიდებლური ეკლესიისა და მისი დაქვემდებარებული სტრუქტურების აკრძალვის შესახებ.

- № 8012 - უმაღლესი რადას მიმართვას მინისტრთა კაბინეტისადმი პოჩაევოს ლავრისა და კიევ-პეჩორის ლავრის უკრაინის მართლმადიდებლური ეკლესიისათვის შეუზღუდავი სარგებლობით გადაცემის შესახებ.

- № 8262 - მოსკოვის საპატრიარქოს უკრაინული მართლმადიდებელი ეკლესიიდან უკრაინის მართლმადიდებლურ ეკლესიაში გადასვლის გამარტივების შესახებ.

ამჟამად უნდა მოხდეს კანონპროექტების დღის წესრიგში ჩართვა და სახალხო დეპუტატების მიერ საკითხის კენჭისყრა.

ისტორიის ფურცელი

მღვდელი დიომიდე შილაკაძე

1874-1910

ყოფილი მღვდელი დიომიდე ნიკოლოზის ძე შილაკაძე 1874 წელს ქუთაისის გუბერნიაში, ოზურგეთის მაზრაში სოფ. ნითელმთაში მღვდლის ოჯახში დაიბადა. ჰყავდა ძმა — ანდრია (დაბ. 1896წ., სწავლობდა თბილისის სასულიერო სემინარიაში. 1910 წლამდე იღებდა დამხარებას, შემდეგ შეუწყდა).

პირველდაწყებითი განათლება დიომიდემ სოფლის სკოლაში მიიღო, შემდეგ სწავლობდა ოზურგეთის სასულიერო სასწავლებელში, რომლის დასრულების შემდეგ სწავლა თბილისის სასულიერო სემინარიაში განაგრძო. 1897 წელს მან წარჩინებით დაამთავრა აღნიშნული სემინარია პირველი ხარისხის დიპლომით.

1897 წელს გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსმა გრიგოლმა (დადიანი) იგი დიაკვნად აკურთხა, იმავე წელს მღვდლად დაასხა ხელი და ნითელმთის წმ. გიორგის სახ. ტაძრის წინამძღვრად დანიშნა. 1901-1902 წლებში მღვდელი დიომიდე იყო ოზურგეთის მაზრის სამრევლო-საეკლესიო სკოლების მეთვალყურე. ამავე პერიოდში ნაყოფიერი სამსახურისათვის საგვერდულით დაჯილდოვდა. ახალგაზრდა მეთვალყურემ ერთი წლის განმავლობაში, თავისი შრომისმოყვარე-

ობითა და პატიოსანი სამსახურით დიდი პატივისცემა და სიყვარული დაიმსახურა ადგილობრივ პედაგოგებში. მისი მეცადინეობით სკოლებში მოწესრიგდა მანამდე არსებული რამდენიმე პრობლემა, სწავლის დონე ახალ სიმაღლეებზე ავიდა, თითქოს ყველაფერი კარგად იყო, მაგრამ მოულოდნელად, 1902 წელს, ჩვენთვის უცნობი მიზეზის გამო, მან უარი თქვა ამ თანამდებობაზე. ამასთან დაკავშირებით, 1902 წელს ქართული პრესა წერდა: „გურიიდან გვენერენ: ოზურგეთის მაზრის სამრევლო სკოლების მეთვალყურე მღ. დიომიდე შილაკაძე თავს ანებებს მეთვალყურის თანამდებობას. მამა შილაკაძე ერთი წელიწადია, რაც ამ თანამდებობას ასრულებს და ამ მცირე ხნის განმავლობაშიაც მოასწრო დაემსახურებინა სახელი „საქმის“ კაცისა. დღეს გურიაში 30-მდე სრულიად უზრუნველ-ყოფილი სამრევლო სკოლაა. 20-მდე განაჩენია საზოგადოების მიერ დადგენილი, რომ ისინი უზრუნველ ჰყოფენ სკოლებს. სამრევლო სკოლის მასწავლებელნი დიდად სწუხან, რომ მამა შილაკაძე მეთვალყურის თანამდებობას თავს ანებებს“.

1904 წლის 31 იანვარს მღვდელი დიომიდე ბაბჯის

ოლქის მთავარხუცესის თანაშემწედ დაინიშნა. 1904 წლის 14 ივლისს იგი ოზურგეთის ოლქის მთავარხუცესად გადაიყვანეს. 1905 წლის 1 მარტს სკუფია უბოძეს.

1905-1906 წლებში, რუსეთის პირველი რევოლუციას, რომელიც საქართველოშიც მძვინვარებდა, რამდენიმე სასულიერო პირი შეინირა. ზოგი მოკლეს, ან ანამეს, ზოგი დააყაჩაღეს ან გაძარცვეს, ზოგიც დაიჭირეს, ზოგმაც ანაფორა გაიხადა. მათ რიგებში იყო მღვდელი დიომიდეც. აი, რას წერდა ქართული პრესა ამასთან დაკავშირებით: „სასინოდო კანტორამ მოისმინა საქმეები მღვდლების: ავქსენტი მეგრელიძის, დიომიდე შილაკაძისა და ვლადიმერ ელიაევის. პირველ ორ მღვდელს კანტორამ ნება დართო ანაფორის გახდისა, რადგან ისინი თხოვნაში პირდაპირ აცხადებდნენ, რომ დარიგება და ჩაგონება ეპისკოპოსისა ჩვენზე მეტი იქნებო. ვლადიმერ ელიაეას შესახებ კი დაადგინა, დასარიგებლად და ჩასაგონებლად გადაეცეს იგი მამა დავითის ეკლესიის წინამძღვარს, მ. ნესტორ მაჭარაშვილს“ (იგულისხმება თბილისის მამა დავითის ეკლესია — გ.მ.).

1913 წელს შედგენილ წითელმთის ტაძრის ნამსახურებათა სიაში ვკითხულობთ, რომ მღვდელმა დიომიდემ 1905 წელს ანაფორა გაიხადა ავადმყოფობის გამო, რაც სიმართლეს არ შეეფერება.

ცნობილი ფირალის, მელქისედეკ გუნთაიშვილის ძმა აპოლონ გუნთაიშვილი ასახელებს რევოლუციონერების დამხმარე მღვდლებს: გიორგი ერქომაიშვილსა და დიომიდე შილაკაძეს. მისი გადმოცემით — „გიორგი ერქომაიშვილი ტერორისტებს იარაღით ამარაგებდა, ხოლო დიომიდე შილაკაძე დღისით წირავდა, ღამით კი კომიტეტის დავალებებს ასრულებდა. მან მღვდლის ფორმა გაიძრო და ღობეზედ მიაკიდა. იბრძოდა ჩაგრული ხალხის განთავისუფლებაზედ და მთლიანად რევოლუციურ საქმეებში ჩაერთო. იყო ოზურგეთის საქალაქო სასწავლებლის ერთ-ერთი მეთვალყურე, შემოქმედის სასოფლო საზოგადოების სკოლების მდივანი, მონაწილეობდა თვითმმართველობის არჩევნების წესების შემუშავებაში. მიტინგებსა და კრებებზე გამოსვლისას ის ხალხს მოუწოდებდა შეიარაღებული აჯანყებისაკენ და დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნისაკენ. ყოფილი მოძღვარი ყოველ გამოსვლას ასეთი სიტყვებით ამთავრებდა: „რესპუბლიკავ, თავს გავსწირავ შენი გულისთვის!“

გურიაში მცხოვრები მიქელაშვილების გვარის წარმომადგენელი, გიორგი-გაგა მიქელაშვილი მოგვითხრობს, რომ მის წინაპარს, როსტომ მიქელაშვილს ალუზრდია დიომიდე შილაკაძე. მისი მონათხრობით — „მამა დიომიდე შილაკაძე განსაკუთრებული ფენომენი ყოფილა. ერთდროულად მღვდელიც იყო და ფირალიც. როდესაც ბოლშევიკებმა ტაძრები გააუქმეს, მხოლოდ მამა დიომიდე ალაღვლენდა წირვა-ლოცვას ქართულად ოზურგეთის



მღვდელი დიომიდე გუგულია და
შვილთან ერთად

ღვთისმშობლის მიძინების ეკლესიაში. ეკლესიას იყო. როდესაც მას კაზაკებმა ცეცხლი წაუკიდეს, მამა დიომიდეს წირვა არ შეუწყვეტია... ამის შესანიღბად ერთმორწმუნე რუსებმა მთელი ოზურგეთი გადაწვეს. ეს ისტორიაშიც ასე დარჩა, ოზურგეთის გადაწვა, მამა დიომიდე და ეკლესია — ხალხის გულებში“. მართალია აქ გადმოცემული ამბავი ნახევრად აცდენილია სიმართლეს, თუმცა მამა დიომიდეს ცხოვრების ერთი მხარის შესავსებად საინტერესო მასალაა.

ცნობილი რევოლუციონერი და 1933-1937 წლებში საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი, თენგიზ ულენტი (1887-1937 წწ.) თავის წიგნში — „1905 წელი გურიაში“ წერდა: „დღეს ხშირად უყვართ ლაპარაკი, რომ 1905 წელში გურიაში წამდელი ერთობა და ხალხოსნობა იყო. ეს ნაწილობრივ მართალია. გურული აზნაურობა და სამღვდლოების დიდი უმეტესობა ეკონომიურად თითქმის არაფრით არ განსხვავდებოდა გლეხობისაგან. სწორედ ამ გარემოებას უნდა მიეწეროს ის, რომ აზნაურ-სამღვდლოება, მცირედის გამონაკლისით, განმათავისუფლებელ მოძრაობას მიემხრო...“

თუ რამდენად ძლიერი იყო ახალთაობის ძალა და გავლენა მთელს ხალხზე, ამის საუკეთესო მაჩვენებელია თუნდაც ის ფაქტი, რომ ლიბერალური სამღვდლოება აქტიურად ებმებოდა მოძრაობის ფერხულში და ხალხთან ერთად ებრძოდა თვითმპყრობელობას. ასეთი იყო მაგალითად მღვდელი დიომიდე შილაკაძე, სკოლების ზედამხედველი, რომელიც ცხოველ მონაწილეობას ლეზულობდა მთავრობის საწინააღმდეგო მოძრაობაში. მან დასწერა რევოლუციონური ლექსი-სიმღერა, რომელიც ბათუმის კომიტეტმა არალეგალურ ფურცლადაც კი გამოუშვა. ლექსი შემდეგნაირად იწყებოდა: „გაიღვიძე დაჩაგრული მხედრობავ, შენს ხელში მთელი ქვეყ-



შაშოქაძის მონასტართან არსებული სკოლის მოწაფეები. ცენტრში მარცხნივ ზის - მღვდელი დიომიდე

ნის ბედია“ და სხვა. მღვდელი დიომიდე შილაკაძე მოკვდა ოზურგეთის საპრობლემატიკურში“. სამწუხაროდ თენგიზ ულენტი დიომიდეც გარდაცვალების წელს არ უთითებს.

ერთი გადმოცემით, ყოფილი მოძღვარი 1910 წელს ოზურგეთის საპრობლემატიკურში გარდაიცვალა. მართლაც, 1913 წელს შედგენილ ოზურგეთის ოლქის სამღვდლოების ნამსახურებათა სიაში იგი გარდაცვლილად მოიხსენიება. 1913 წელს მისი ოჯახი, მამის რევოლუციური მოღვაწეობის გამო, რუსეთის იმპერიისაგან არავითარი დახმარებასა და პენსიას არ იღებდა.

დარჩა მეუღლე — აზნაურის ქალი მარიამ გიორ-

გის ასული მდივანი და შვილები: შუშანიკი (დაბ. 1903 წ.); შალვა (დაბ. 1905 წ.) და მიხეილი (დაბ. 1906 წ.).

წყარო: საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივი, ფ. 489, აღწერა 1, საქმე №56304; Журнал „Духовный вестник Грузинского Экзархата“ 1897 წ. №12; 1904 წ. №5-6; №16; 1905 წ. №8; გაზეთი „ცნობის ფურცელი“ 1902 წ. №1923, გვ. 2; 1906 წ. №2998, გვ. 2; ურნალი „კარიბჭე“ 2011 წ. №7, გვ. 43-44.

ლიტ: თ. ულენტი „1905 წელი გურიაში“ ქ. ტფილისი 1927 წ., გვ. 25-26.

მღვდელი
გიორგი მაჩუროშვილი

ვაშინგტონში მხატვარ რუსუდან ფეტვიაშვილს მადლიერების ჯილდო გადაეცა

1 დეკემბერს ვაშინგტონში, კონგრესის ბიბლიოთეკაში ქართულმა საგამომცემლო სახლმა „სახე(ლ)ებმა“ დაჯილდოების ცერემონიალი და 2022 წელს გამოცემული მედიაპროექტების პრეზენტაცია გამართა.

წლის და საუკუნის სახელების დაჯილდოება სა-

ქართველოში 2002 წლიდან იმართება, ამერიკაში კი მეორედ ჩატარდა. მედიაპროექტის „საქართველო-ამერიკა: ძველი და ახალი კონტაქტები“ ეგიდით, ჯილდო - მადლიერების სიმბოლო დაწესდა მათთვის, ვინც თავისი პროფესიული საქმიანობიდან გამომდინარე,